

ინგა სანიკიძე

**ასპექტის მორფოლოგიური
კატეგორიის გამოხატვის სისტემა
ქართულში**



გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი 2007

ასპექტოლოგია, როგორც ენათმეცნიერულ სინამდვილეში არსებული ზმნური პროცესების შემსწავლელი დარგი, XX საუკუნის დასაწყისიდან გამსაკუთრებული სისწრაფით ვითარდება.

ზმნური ფორმების საფუძვლიანი ანალიზი ცხადყოფს, რომ ნებისმიერ ენას თავისი სემანტიკური პოტენციალის გამოყენებით სისტემაში მოჰყავს შინაარსთა მრავალფეროვნება და ზოგიერთ მათგანს მორფოლოგიური სტატუსით, ხოლო ზოგიერთს მხოლოდ სემანტიკური ნიშნის დონეზე აფორმებს, ასპექტური შინაარსი კი ის მოვლენაა, რომელიც შეიძლება უნივერსალიად მივიჩნიოთ. ასპექტური შინაარსისა და მისი ფორმოზოგიური მაჩვენებლების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეული ენის თეორიული და პრაქტიკული შემეცნების თვალსაზრისით.

ქართულ ენაში არსებული ასპექტის სემანტიკური მოდელები გადაჯაჭვულია დროისა, უღლების სისტემისა და სივრცითი მნიშვნელობების საერთო სისტემებთან, ამიტომ მოცემულ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ამ შინაარსობრივ ნიშანთა გადაკვეთისა და მათი გავრცელების ანალიზზე, ნაშრომში გამოყენებულია ძველი და ახალი ქართულის უბი ტექსტობრივი მასალა.

ჩვენი მიზანი იყო, გაგვეჩვენა, ასპექტის მორფოლოგიური კატეგორიის რა შინაარსობრივი მოდელები არსებობს ქართულში და მიგვეთითებინა მათი ფორმოზოგიური გამოხატვის სისტემაზე, ამან კი, თავის შრივ, საშუალება მოგვცა, გამოგვეკვეთა ასპექტის კატეგორიის განვითარების საერთო ტენდენციები და გამოხატვის საშუალებანი ზოგადი ენათმეცნიერული თვალსაზრისით.

სინამდებარე მონოგრაფია განკუთვნილია სპეციალისტთა ფართო წრისათვის, ამასთანავე დახმარებას გაუწევს სტუდენტებსა და ასპექტოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ სხვა პირებს.

რედაქტორი – პროფ. ე. ბაბუნაშვილი

რეცენზენტი – ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი ნ. მეტრეველი

ასპექტის კატეგორიის ზოგადი დახასიათება

§ 1. ასპექტის მორფოლოგიური კატეგორია

თითოეული კონკრეტული ენის გრამატიკული აგებულების საფუძველს ამავე ენის გრამატიკული კატეგორიები ქმნის.

რამდენადაც ენა ცალკეული სიტყვებისაგან ანუ სიტყვათფორმებისაგან შედგება, ინფორმაციას ამ სიტყვათფორმების შესახებ იძლევა გრამატიკა ან, უფრო სწორად, მისი ერთ-ერთი ნაწილი – მორფოლოგია.

გრამატიკის უპირველეს ამოცანას განსხვავებული სიტყვათფორმების გამიჯვნა და მათი ჯგუფებად დაყოფა შეადგენს. სიტყვები, რომლებიც ერთმანეთისაგან გრამატიკული ნიშნით განსხვავდებიან, რომელიმე კონკრეტული გრამატიკული კატეგორიის შემადგენლობაში ერთიანდება, ამიტომ გრამატიკული კატეგორიის ცნება, თავის მხრივ, ისეთი ნიშან-თვისების ერთიანობას გულისხმობს, რომელიც ყველა ენაში არსებობს. იგი ენობრივი საშუალებებით გამოხატული უზოგადესი გრამატიკული ცნებაა.¹

ენაში არსებული ნებისმიერი შინაარსი ფორმობრივ პლანში გამოიხატება, ამიტომ შინაარსი ფორმის გარეშე არ არსებობს და, პირიქით, ფორმა-შინაარსის გარეშე. ფორმისა და შინაარსის ერთიანობა ენაში გრამატიკული კატეგორიის ძირითადი საფუძველია, ხოლო საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენ და რომელ კატეგორიებს განარჩევს ესა თუ ის ენა, ამა თუ იმ ენისათვის

¹ В. М. Никитевич, Грамматические категории в современном русском языке, М., 1963, გვ. 5.

მთლიანად ან, უკიდურეს შემთხვევაში, „მთელი რიგი სიტყვები-
დან გამომდინარე უნდა გადაწყდეს“.¹

ფერდინანდ დე სოსიურის კლასიკური მაგალითი „არ შეიძლე-
ბა გავჭრათ ფურცლის ერთი მხარე ისე, რომ არ გაიჭრას მეორე
მხარეც“² მკვეთრად გამოხატავს ენაში ფორმისა და შინაარსის
ერთიანობის საკითხს. ნებისმიერ სიტყვით ერთეულში აღმნიშ-
ვნელი და აღსანიშნი ურთიერთშეპირობებული და ურთიერთ-
განსაზღვრულია. „შინაგანი, შინაარსობრივი მხარე რეალურ
ენობრივ სიდიდედ მხოლოდ გარეგან, აღმნიშვნელის მხარესთან
თავისი კავშირის საშუალებით იქცევა. ეს უკანასკნელი, თავის
მხრივ, მხოლოდ მაშინ ხდება განსაზღვრული მნიშვნელობის
მატარებელი“.³ ამრიგად, გრამატიკული კატეგორია აღსანიშ-
ნის, ანუ დესიგნატისა, და აღმნიშვნელის, ანუ დესიგნატორის,
განუხრელი ერთიანობაა.

გრამატიკული კატეგორიის ცნება, როგორც ენობრივი ორ-
განიზაციის უფრო მაღალი საფეხური, ვიდრე გრამატიკული
ფორმისა და გრამატიკული მნიშვნელობის ცნებებია, აუცილე-
ბლად უნდა ეყრდნობოდეს კონკრეტული ენის ფაქტებს.

საენათმეცნიერო ტრადიცია გრამატიკული კატეგორიის
ცნების ორი – ფართო და ვიწრო – გაგებით გამოყენებას იც-
ნობს. გრამატიკული კატეგორიის ფართო გაგება გაბატონებ-
ული იყო ადრინდელ გრამატიკებში. ა. პოტებნია პირდაპირ
მიუთითებს, რომ იგი გრამატიკული კატეგორიის ცნებას მე-
ტყველების ნაწილებთან მიმართებაში იყენებს.⁴ გრამატიკული
კატეგორიებისადმი ამგვარი მიდგომა დღესაც არსებობს რუსულ
საენათმეცნიერო ლიტერატურაში. მაგალითად, მ. დოკულინი ამ

¹ О. Есперсен, *Философия грамматики*, М., 1958, გვ. 54.

Ф. де Соссюр, *Курс общей лингвистики* М., 1933, გვ. 113.

И. П. Мучник, *Грамматические категории глагола и имени в современном рус-
ском лит. языке*, М., 1971, გვ. 5-6.

А. А. Потеня, *Из записок по русской грамматике*, М-Л, I-II, 1958, გვ. 82.

ცნების ქვეშ ისეთ ლინგვისტურ ობიექტებს აერთიანებს, როგორებიცაა არსებითი სახელი, ინფინიტივი, ზმნა და ა. შ.¹

გრამატიკული კატეგორიის ვინრო გაგება კი მეტყველების ნაწილთა კონკრეტულ შინაარსობრივ-ფორმობრივ დიფერენციაციას გულისხმობს. ლ. შჩერბა გრამატიკულ კატეგორიას უწოდებს „იმ ერთგვარ ჯგუფებს ენაში, რომელშიც ცალკეული მოვლენები ერთიანდება“.²

გრამატიკული კატეგორიის ზუსტი განსაზღვრის აღცილებლობამ საჭირო გახადა ტერმინის – გრამატიკული კატეგორია – დაზუსტება, რომელიც ა. ბონდარკოს შრომებში მოხდა: „გრამატიკული კატეგორია“ ზოგადი გამოთქმაა მაშინ, როცა იგი გრამატიკაში ნებისმიერი დაჯგუფებებისა და კლასებისათვის გამოიყენება, ხოლო როცა ერთგვარი გრამატიკული ობიექტების განსაზღვრული კლასის აღსანიშნავად იხმარება, საქმე გვაქვს ამ ცნების ვინრო, კონკრეტულ შინაარსთან“.³

ა. ბონდარკოს თვალსაზრისით, მეტყველების ნაწილები სიტყვათა გრამატიკულ კლასებს წარმოადგენს; სქესის, რიცხვის, ბრუნვისა და ა. შ. გრამატიკული კატეგორიები კი ამ კლასების განსაზღვრული სისტემებია, რომლებიც მეტყველების ნაწილთა ნიშან-თვისებებზე მიაწინებებს, ამიტომ მიზანშეწონილია სიტყვათა კლასებისა და მათი ნიშნების ერთი ცნების ქვეშ მოთავსება. ავტორის აზრით, უპირატესობა გრამატიკული კატეგორიის ვინრო გაგებას უნდა მიენიჭოს, რადგან იგი კერძო გრამატიკულ ჩარჩოში ჯდება.⁴

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გრამატიკული კატეგორიის ვინრო გაგებაა გაბატონებული. აკ. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ვკითხულობთ: „ცნება, რომლის გამოსახატავად ენას მოეპოვება გარკვეული გრამა-

¹ М. К. Докулин, К вопросу о морфологической категории, ВЯ, 1967, гв. 4-5.

² А. В. Бондарю, Теория морфологических категорий, Л., 1976, гв. 10-11.

А. В. Бондарю, იქვე, გვ. 8-10.

А. В. Бондарю, იქვე, გვ. 10

ტიკული საშუალება, წარმოადგენს გრამატიკულ კატეგორიას“.¹ ავტორის აზრით, გრამატიკული კატეგორიის ცნება მეტყველებ-ის ნაწილთა ქვეკლასების მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული.

გრამატიკული კატეგორიის ცნება, თავის მხრივ, მორფოლო-გიურ და სინტაქსურ კატეგორიებს აერთიანებს, რადგან „მორ-ფოლოგია და სინტაქსი ერთად სწავლობენ ენის გრამატიკულ ნიშებს, რომელიც ძირითად ლექსიკურ ფონდთან ერთად ენის საფუძველს შეადგენს“.²

მორფოლოგიისათვის მორფოლოგიური კატეგორიის ცნება უმთავრესი ცნებათაგანია. „მორფოლოგიური კატეგორია სი-ტყვის ფორმათა ისეთ სისტემას გულისხმობს, რომელიც საერ-თო გრამატიკულ ელემენტს ფლობს“.³

მორფოლოგიური კატეგორიის წევრებს შორის ურთიერ-ობის განსასაზღვრავად გამოიყენება ე. წ. ოპოზიციის იდეა, რომელიც ფონოლოგიაში წარმოიშვა და რომლის ფუძემდებელი ნ. ტრუბეცკოი იყო.

ნებისმიერი მორფოლოგიური კატეგორიის შინაგანი აგებ-ულება დამყარებულია ოპოზიციებზე. რომელიმე კონკრეტული კატეგორიის ერთ-ერთი წევრი უპირისპირდება მეორე წევრს. თუ ოპოზიცია ორი წევრისაგან შედგება, მაშინ კატეგორია ბინარულია (ასეთია, მაგალითად, გერმანულში, რუსულსა და ქართულში რიცხვის მორფოლოგიური კატეგორია), ხოლო თუ ოპოზიცია ორზე მეტ წევრს შეიცავს, საქმე გვაქვს მრავალწევრიან ოპოზიციასთან (რუსულში – სქესის კატეგორია, ქართულში – ზმნის გვარი, დრო, ქცევა).

მორფოლოგიური კატეგორია არ არსებობს, თუ არ ხდე-ბა დაპირისპირება მის შემადგენელ წევრებს შორის, ან უფრო ზუსტად, ოპოზიციის გარეშე დაუშვებელია მორფოლოგიური კატეგორიის არსებობა, ამიტომ თითოეული ფორმა შედის რომე-

¹ აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 34.

არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 234.

² И. Г. Милославский, Морфологические категории современного русского языка, М., 1981, гв. 24.

ლიმე დაპირისპირებაში, წყვილადი იქნება თუ უფრო რთული სისტემის დაპირისპირება.

მორფოლოგიური კატეგორია, ისევე როგორც გრამატიკული კატეგორია, ორი აუცილებელი – შინაარსისა და გამოხატვის – პლანისაგან შედგება. აუცილებლად მიგვაჩნია მათი ცალ-ცალკე განხილვა.

მორფოლოგიური კატეგორიის შინაარსი მისი „სემანტიკური პოტენციალია“, რომელიც სემანტიკური ნიშნების დიფერენციაციის სისტემაში გამოვლინდება (მაგალითად, მხოლობითისა და მრავლობითის, უსრულობისა და სრულობის სემანტიკა), ხოლო მორფოლოგიური კატეგორიის გამოხატვის პლანს გრამატიკული საშუალებები წარმოადგენს (მაგალითად, მრავლობითი რიცხვის ნიშანთა გამოყენება-არგამოყენება რიცხვის მორფოლოგიური კატეგორიის ოპოზიციურ ფორმებს ქმნის, ხოლო ასპექტის მორფოლოგიური კატეგორია ახალ ქართულში ზმნისნინის დართვა-დაურთველობასთანაა დაკავშირებული).

ამგვარად, თანამედროვე ენათმეცნიერებაში მორფოლოგიური კატეგორია განიხილება, როგორც ერთი მეტყველების ნაწილის შიგნით მსგავსი შინაარსის მქონე ურთიერთდაპირისპირებულ მორფოლოგიურ ფორმათა ერთიანობა. სინქრონულ დონეზე რთულია პრიორიტეტი მიენიჭოს მორფოლოგიური კატეგორიის რომელიმე მხარეს, რადგან „ენობრივი შინაარსი ისეთივე ძირითადი ობიექტია ენათმეცნიერული შესწავლისა, როგორც ენობრივი ფორმა“¹.

მორფოლოგიურ კატეგორიებს გარკვეული კავშირი აქვს სინტაქსურ კატეგორიებთან, რადგანაც თითოეული მათგანი წინადადების საერთო სტრუქტურაში აისახება და საკუთარი სინტაქსური პერსპექტივა გააჩნია.

მორფოლოგიური კატეგორია, როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, განსაზღვრული შინაარსის სიტყვათფორმებს შეიცავს, ამიტომ მისი „არსი ყველაზე უკეთ ვლინდება მდიდარი

¹ ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980, გვ. 4.

მორფოლოგიის მქონე ენებში, სადაც შედარებით სრულად შეიძლება იყოს რეალიზებული კატეგორიის პოტენციური სემანტიკური შესაძლებლობები¹.

კონკრეტული ენის კონკრეტული მორფოლოგიური კატეგორიების შესწავლა უნივერსალური შინაარსებისა და უნივერსალური კატეგორიების დადგენის საფუძველს იძლევა; „ენობრივი უნივერსალიები კი თავისი ბუნებით წარმოადგენენ ზოგად გამონათქვამებს იმ თავისებურებებსა და ტენდენციებზე, რომლებიც ნებისმიერ ენას ახასიათებს“².

რადგან ენა ინდივიდუალური მოქცევის ფორმაა და, ამასთანავე, ზოგადადამიანური კულტურის ფორმაც, საინტერესოა ისეთი გრამატიკულ-მორფოლოგიური კატეგორიების შესწავლაც, რომლებიც არა მარტო ერთი რომელიმე ენისათვის არის ნიშანდობლივი, არამედ ზოგადადამიანური აზროვნების კანონზომიერებამდე დაიყვანება.

* * *

სხვადასხვა ენაში ჩატარებული ზმნის ფორმათა შინაარსობრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ აქ ფორმათა დიდი უმრავლესობა მოქმედების ან მდგომარეობის სხვადასხვაგვარი განვითარების განსაზღვრულ სემანტიკას ატარებს. ამ მოქმედება-მდგომარეობის ღირებულება მოსაუბრე პირის მიერ იმისდა მიხედვით ფასდება, თუ როგორ პირობებში მიმდინარეობს იგი. საუბრის პროცესში მოსაუბრე პირს შეიძლება მხედველობაში ჰქონდეს ან გრძლივი, შეუწყვეტელი მოქმედების, ან მოქმედების სანყისი მდგომარეობისა და რეზულტატის, ან ამ მოქმედების შეწყვეტის მომენტობრივი მხარის ჩვენება. შინაარსთა ასეთი

¹ მ. მაჭავარიანი, ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა, თბ., 1981, გვ. 5.

Дж. Гринберг, Ч. Осгурд, Дж. Дженкине, Меморандум о языковых универсалиях, "Новое в лингвистике", т. V. М., 1970, (31-40), гв. 31.

მრავალფეროვნება თითოეულ ენაში არსებული, მისთვის დამახასიათებელი სემანტიკური პოტენციალით განისაზღვრება. ცხადია, რომ ენას ყველა მოცემული შინაარსის მორფოლოგიური გადმოცემის უნარი არ შესწევს, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე მათგანი შეიძლება გამოიხატოს მორფოლოგიურად, დანარჩენი შინაარსები კი, ჩვეულებრივ, სინტაქსურად, ე. ი. წინადადების სტრუქტურაში აისახება ხოლმე. მართლაც, ინდოევროპული ენების ნაწილი (იგულისხმება რომანული, გერმანიკული ენები) არ იცნობს ასპექტის მორფოლოგიურ კატეგორიას, მიუხედავად იმისა, რომ ზემოჩამოთვლილი შინაარსები თავისთავად არსებობენ ამ ენებში.

ასპექტის მორფოლოგიური კატეგორია კარგად არის გამოხატული სლავურ ენებში, რომლებშიც იგი მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. „ზმნის ასპექტი სლავური ენების სპეციფიკურ მოვლენას წარმოადგენს, რასაც სხვა ინდოევროპული ენები არ იცნობენ“.¹ ამიტომ მიზანშეწონილი ჩანს, ასპექტის მორფოლოგიური კატეგორიის არსის გარკვევის მიზნით, სლავური ენების ასპექტური სისტემის განხილვა.

ვ. ვინოგრადოვის რედაქციით გამოსული „რუსული ენის გრამატიკის“ პირველ ტომში ასპექტის მორფოლოგიური კატეგორია ასეა განსაზღვრული: ასპექტის კატეგორია აღნიშნავს, რომ ზმნით გამოხატული მოქმედება წარმოგვიდგება: ა) მის მიმდინარეობაში, დასრულების პროცესსა და ამასთან ერთად განგრძობითობასა და განმეორადობაში, მაგალითად, жить (ცხოვრება), пять (მღერა), работать (მუშაობა), ходить (სიარული), читать (კითხვა), ბ) ან როგორც განსაზღვრული, დასრულების რაღაც საზღვართან განონასწორებული მოქმედება, რომელიც მოქმედების დაწყების ან მისი დასრულების, რეზულტატის მომენტს უჩვენებს, მაგალითად: запеть (დამღერება), кончить (დამთავრება), побежать (გაქცევა), пропеть (დამღერება), прийти (მოსვლა), узнать (გაგება), уйти (ნასვლა).²

¹ А. М. Ломов, Очерки по русской аспектологии, 1977, გვ. 17.

Грамматика русского языка, под ред. В. В. Виноградова, т. I, М., 1960, გვ. 424.

ამრიგად, „რუსული ენის გრამატიკის“ მიხედვით, ზმნები, რომლებიც გრძლივ მოქმედებას გამოხატავენ, უსრული ასპექტის ზმნებია, ხოლო ზმნებს, რომლებიც დასრულების რომელიმე მომენტს, მის საზღვარს ან რეზულტატს უჩვენებენ, სრული ასპექტის ზმნები ეწოდებათ.

ზემოგანხილული განსაზღვრება ასპექტის კატეგორიის ფართო და მრავალმხრივ ენათმეცნიერულ შესწავლას ეყრდნობა.

სლავურ ასპექტთან დაკავშირებული საკითხების თავისებური გაშუქება მოცემულია პეტერბურგის ლინგვისტური სკოლის მიერ, რომელსაც რუსი ენათმეცნიერი იური მასლოვი ხელმძღვანელობდა.

ი. მასლოვის კონცეფციის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ ზმნური ასპექტი არის გრამატიკული კატეგორია, რომელიც ზმნით გამოხატული მოქმედების ცნობილ ტიპებს აერთიანებს.¹ თავისთავად ცხადია, რომ ასპექტის სემანტიკური არაერთგვარობა ყოველთვის და ყველაფერში ვერ იქნება მორფოლოგიური ასახვის პარალელური, ამიტომ თუ კვლევა ასპექტის სემანტიკური მხარის შესწავლის მიმართულებით წარიმართება, მხოლოდ მორფოლოგიური მხარის გათვალისწინება არ იქნება საკმარისი. საჭიროა, მოიძებნოს სხვა, სინტაქსური, კრიტერიუმიც: „როგორც ჩანს, – აღნიშნავს ი. მასლოვი, – ასეთ კრიტერიუმს უნდა წარმოადგენდეს ზმნების განსხვავება განსაზღვრულ სიტყვათმეერთებებში შესვლის უნარის მიხედვით,² უფრო ზუსტად, მხედველობაშია მისაღები შესასწავლი ზმნების „ვალენტური“ დიფერენციაცია.

ასპექტი თავისი მნიშვნელობით დროის გაგებას უკავშირდება, მაგრამ იგი გვიჩვენებს აღსანიშნი მოქმედების არა ტემპორალურ ლოკალიზაციას, არამედ ამ მოქმედების შინაგან ტემპო-

¹ А. В. Бондарко, О видах русского глагола, „русский язык за рубежом,“ 1975, №5-6, გვ. 63.

² Ю.С. Маслов, Вид и лексическое значение глагола в совр. русс. лит. языке. Изв. Акад. наук ССР, ОЛЯ, 1948, Т. VII, . გვ. 305.

რალურ სტრუქტურას, რომელიც მოსაუბრის მიერ მოქმედების ალქმის ხასიათს ემყარება.

ყველა მეცნიერი, რომელიც ასპექტურ შინაარსებთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება, ცდილობს, ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნოს, ერთი მხრით, ასპექტის მორფოლოგიური კატეგორია და, მეორე მხრით, ასპექტის სემანტიკური კატეგორია ანუ „მოქმედების სახე“, რომლებიც ასპექტურობის ზოგად ცნებაში ერთიანდებიან და ასპექტურობის ფუნქციონალურ-სემანტიკურ კატეგორიას ქმნიან.¹

ასპექტურობის შინაარსი მოქმედების მიმდინარეობის ხასიათში მდგომარეობს, ხოლო მისი გამოხატვა მორფოლოგიური, სიტყვათწარმოებითი ან წინადადებაში შემავალი ლექსიკური ელემენტებით ხდება; ამიტომ საჭიროა ასპექტის მორფოლოგიური კატეგორიის ასპექტურობის სხვა დანარჩენი ელემენტებისაგან გამოყოფა, რადგან ეს უკანასკნელნი გრამატიკულ ხასიათს არ ატარებენ.

ასპექტზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, – აღნიშნავს ი. მასლოვი, როცა ენაში ასპექტური მნიშვნელობები და ამ მნიშვნელობის მატარებელ ფორმათა დაპირისპირება არსებობს. ასეთი შიდაგრამატიკული ურთიერთდაპირისპირებების შესწავლა მორფოლოგიის სფეროში შემოდის.

იური მასლოვის დამსახურებად ახალი ტერმინის – „ასპექტური ფუძის“ – შემოტანა უნდა ჩაითვალოს.

ასპექტური ფუძის ძირითად კომპონენტებს შეადგენენ: (ზმნური) ძირი, (ზმნური) პრეფიქსი ანუ თავსართი, სიტყვათმწარმოებელი სუფიქსი, (რის საშუალებითაც ზმნა სახელისაგან ან სხვა მნიშვნელობის ზმნისაგან არის ნაწარმოები) და იმპერფექტივაციის სუფიქსი, (რითაც პერფექტული ფუძისაგან იმპერფექტული ფუძის წარმოებაა შესაძლებელი).²

¹ Ю.С. Маслов, Очерки по аспектологии, Л., 1984, გვ. 8-9.

Ю.С. Маслов, Система основных понятий и терминов словянской аспектологии, в кн.: Вопросы общего языкознания, Л., 1965 გვ. 58.

ამგვარი ასპექტური ფუძეები ქმნის ასპექტურ ოპოზიციებს მსოფლიო ენათა სხვადასხვა ენობრივ ოჯახში.

ორნევრიანი ასპექტური ოპოზიციიდან ყველაზე მეტად გავრცელებულ სახეს სრულობა-უსრულობის ურთიერთდაპირისპირება წარმოადგენს, რომლის ერთი ნევრი მეორე ნევრისაგან მნიშვნელობის ხუთი ელემენტით განსხვავდება, ესენია:

I. მოქმედება, როგორც პროცესი, შეიძლება დაუპირისპირდეს სრულ მოქმედებას (выходил-вышел, видел-увидел).

II. მოქმედება, როგორც რეზულტატის მოპოვების ცდა, შეიძლება დაუპირისპირდეს რეზულტატურ მოქმედებას (уговоривал-уговорил).

III. მოქმედება განუსაზღვრელი მიმდინარეობით უპირისპირდება განსაზღვრულ მოქმედებას (читал-прочитал, кивал-кивнул...).

IV. ჩვეულებრივ განმეორებადი მოქმედება უპირისპირდება განსაზღვრულად განეორებად (ერთჯერად) მოქმედებას (переписывал-переписал, кричал-прокричал...).

V. ზოგადი მოქმედება შეიძლება დაუპირისპირდეს კონკრეტულ მოქმედებას (встречал-встретил, принимал-принял).¹

თითოეული ზემოჩამოთვლილი ნიშანი ზოგჯერ მთლიანად ახასიათებს ერთ, კონკრეტულ ზმნას.

უსრულობისა და სრულობის ასპექტური ოპოზიცია ინგლისურ, ესპანურ, პორტუგალიურ და სხვა ენებშიც დასტურდება, სადაც პროგრესივი რომელიმე კონკრეტულ ფაქტთანაა დაკავშირებული, ხოლო არაპროგრესივი ზოგადი მნიშვნელობის აღმნიშვნელია. მას ნეიტრალური ასპექტური მნიშვნელობა აქვს და „ზოგადი ასპექტის“ გაგებას შეიცავს (ვნერ საერთოდ, ჩვეულებრივ, არაერთჯერად და ა. შ.).

ასპექტური ოპოზიციის მეოთხე ტიპი მრავალჯერადობა-ერთჯერადობის ურთიერთდაპირისპირებაში მდგომარეობს. ამ ოპოზიციას იტერატურულ ოპოზიციას უწოდებენ, რომელიც ფარ-

¹ Ю. С. Маслов, Вид и лексическое значение глаголов в русском языке, Известия АН СССР, Отдел лит. и. языка, 1948, VII, გვ. 64.

თოდ და ზოგჯერ ტოტალურად ეუფლება მთელ ზმნურ ლექსიკას.

მრავალჯერადობა-ერთჯერადობის დაპირისპირება არსებობს ჩეხურ ენაში, სადაც იგი საკმაოდ რეგულარული და პარადიგმატულია. ვ. დრესლერის¹ მიერ გერმანიკულ ენებში ეს ოპოზიცია განსხვავებული წარმოებითაა დადასტურებული, მაგრამ, რადგან ვ. დრესლერი ასპექტის კატეგორის ვინრო გაგების მომხრეა, მოპოვებული მასალა მან მოქმედების გამოხატვის სფეროში მოაქცია (საერთოდ, გერმანისტიკაში არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ძველ გერმანულ ენებში, განსაკუთრებით გოთურში, არსებობდა სრულობა-უსრულობის გრამატიკული კატეგორია, რომელიც ასე თუ ისე თანხვედბოდა სლავური ენების ამავე კატეგორიას).²

ამრიგად, ი. მასლოვის გამოკვლევათა არსი არსებითად ძირითადი ასპექტური შინაარსებისა და შიდაშინაარსობრივ ოპოზიციათა დადგენაში მდგომარეობს, რაც, თავისი მხრით, უკავშირდება ისეთ ცნებებს, როგორებიცაა ზოგადი (ინვარიანტული) და კერძო ასპექტური მნიშვნელობები.³

ასპექტური შინაარსების ამგვარი მრავალფეროვნებითაა შეპირობებული ვ.ბონდარკოს მიერ ენაში ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიების არსებობის აღიარება. ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიები კი მორფოლოგიურთან ერთად სხვა ტიპის კატეგორიებსაც აერთიანებენ, ამიტომ ისინი, მორფოლოგიური კატეგორიებისაგან განსხვავებით, მხოლოდ და მხოლოდ სიტყვის ენობრივ დონეს გულისხმობენ.⁴

ასპექტის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია თავისი არსით ერთი კონკრეტული მორფოლოგიური კატეგორიის ფარ-

¹ W. C. Dressler, Studien zur verbalen pluralität, Wien, 1968.

Ю. С. Маслов, Очерки по аспектологии, Л., 1974, გვ. 209.

Ю. С. Маслов, Симтема основных понятии и терминов славянской аспектологии, в кн.: Вопросы общего языкознания, Л., 1965, გვ. 58.

А. В. Бондарко, Грамматическая категория и котнект, Л., 1971, გვ. 10-12.

გლებს სცილდება და ზოგადი შინაარსებისა და გამოხატვის ფართო სფეროში გადადის.

ასპექტის კატეგორიის გაცილებით უფრო კონკრეტული განსაზღვრა შეიმუშავა მოსკოვის ენათმეცნიერულმა სკოლამ, რომელიც ასპექტს განმარტავს, როგორც „ზმნის გრამატიკულ (არც სიტყვათნარმოვებით და არც ლექსიკო-გრამატიკულ) კატეგორიას, რომელშიც ასპექტური დაპირისპირებები შეიძლება ერთი სიტყვის პარადიგმის შიგნით განხორციელდეს“.¹ ზმნა ისევე იცვლება ასპექტის მიხედვით, როგორც ეს დროის, პირის, რიცხვისა და სხვა კატეგორიათა მიხედვით ცვლილების დროს ხდება.

რადგან ასპექტური განსხვავება ზმნურ ძირებს ახასიათებს, ამიტომ ამ კატეგორიის ძირითადი ფორმალურ-გრამატიკული ნიშანი ერთი ზმნური ფორმის მეორე ფორმასთან დაპირისპირება ანუ ასპექტური კორელაციაა, რომლის საფუძველზეც იქმნება ასპექტური წყვილი.

ამრიგად, ასპექტური კორელაცია ქმნის ასპექტს, როგორც ფორმას, ამიტომ „ასპექტი წარმოადგენს ურთიერთდაპირისპირებას ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე ერთი სიტყვის, ერთი ლექსემის ფარგლებში, „ასპექტური კორელაციის ნევრებად მხოლოდ ისეთი წყვილი შეიძლება ვალიაროთ, რომელიც ფაქტიურად ერთ ლექსემას წარმოადგენს“.²

ასპექტის მორფოლოგიური კატეგორია ასპექტური კორელაციის გარეშე არ არსებობს. ამ ფაქტზე ის მრავალფეროვანი განმარტებებიც მიუთითებს, რომლებიც უმეტესად კორელაციის პრინციპის დაცვით არის შესრულებული. „ასპექტი, როგორც გრამატიკული კატეგორია, განსახორციელებელი და განუსაზღვრელი პროცესის განხორციელებულ და განსაზღვრულ პრო-

¹ Т. Н. Молошная, О видовой парности глаголов в слав. языках, М., 1973, გვ. 243-254.

² Н. С. Авилова, О категории вида в современном русском лит. языке, „Русский язык в национальной школе“ 1959, N 4, М., (21-26), გვ. 21.

ცესთან ურთიერთდაპირისპირებებს გვიჩვენებს";¹ ან: „რუსული და უსრული ასპექტები ერთმანეთისაგან განცალკევებულად კი არ დგანან, პირიქით, მჭიდრო კავშირში იმყოფებიან, რადგან ერთი და იმავე მოქმედების აღნიშვნა საჭიროებს როგორც ერთი, ისე მეორე ასპექტური ფორმის გამოყენებას“;² ან „რუსული ზმნის სისტემაში არ არსებობს თითქმის არც ერთი გრამატიკული ფორმა, რომელიც ასპექტურ მნიშვნელობას არ გამოხატავდეს. ამით ასპექტი სხვა გრამატიკული კატეგორიებისაგან განსხვავდება. მის, როგორც გრამატიკული კატეგორიის, საფუძველს კი ზმნური ნყვილები წარმოადგენენ“.³

თანამედროვე რუსულში ასპექტური კორელაციის დროს სრული ასპექტის უსრულისაგან განსხვავების ძირითადი ნიშანი ზმნისწინის დართვა-დაურთველობაა. აქედან, ზმნისწინი, როგორც ფორმობრივი მარკეტი, სრული სახის ზმნებს დაერთვის.

ამრიგად, ასპექტის მორფოლოგიური კატეგორიის ცნება ზმნის მოქმედების ან მდგომარეობის დროში მიმდინარეობასთან დაკავშირებულ მრავალფეროვან შინაარსთა მორფოლოგიური გამოხატვის რთულ სისტემას გულისხმობს.

¹ Б. Н. Головин, Приставочное внутриглагольное словообразование в совр. русском языке, М., 1966, გვ. 32.

А. Н. Гвоздев, О соотношении форм несовершенного и совершенного видов, "Русский язык в школе", 1955, N 2, გვ. 13.

³ Н. М. Шанский, А. Н. Тихонов, Современный русский язык, ч. II, М., 1981, გვ. 168-169.

§ 2. ასპექტის გრამატიკულ-მორფოლოგიური კატეგორია და მოქმედების სახე

ზმნური ფორმების მნიშვნელობათა კვლევა მიუთითებს, რომ ძირითად ასპექტურ მნიშვნელობას თან სდევს ზოგ ენაში მეტად, ხოლო ზოგან ნაკლებად განსაზღვრული მნიშვნელობები და წარმოდგენები მოქმედება-მდგომარეობის მიმდინარეობის, განვითარების შესახებ. ამ მოქმედება-მდგომარეობის შეფასება შეიძლება იმის მიხედვით მოხდეს, თუ რა პირობებში უწევს მას შესრულება, სახელდობრ, ითვალისწინებს თუ არა მოსაუბრე პირი მოცემული მოქმედების სისრულეს ან დაუსრულებლობას, მრავალჯერადობას ან ერთჯერადობას, განსაზღვრულობას ან განუსაზღვრელობას, რეზულტატის ჩვენებას ან არჩვენებას, გრძლივი ან არაგრძლივი მოქმედების გამოხატვას და ა. შ. ზმნაში ამგვარი მნიშვნელობების არსებობა ზმნის ასპექტურ შინაარსს გვაძლევს.

თითოეულ კონკრეტულ ენას თავისი შესაბამისი შინაგანი სემანტიკური პოტენციალი გააჩნია, რომელიც სხვადასხვა სახის მოქმედებათა გარჩევას უდევს საფუძვლად. ზოგიერთ მათგანში გარკვეული შინაარსი შეიძლება შესაბამისი მორფოლოგიური ნიშნით გამოიხატოს, ბევრ შემთხვევაში კი ასპექტურობა სინტაქსურ კონსტრუქციასთანაა დაკავშირებული.

„ზოგიერთ ენაში ასპექტი შედარებით სუსტადაა გამოხატული, ხოლო იმ ენებში, სადაც მოქმედების ხასიათის დროში მიმდინარეობასთან დამოკიდებულება წარმოდგენილია არასაკმარისად მკვეთრად და, რაც მთავარია, იგი გადმოიცემა ლექსიკური და სხვა არასპეციალური საშუალებებით, ასპექტი, როგორც გრამატიკული კატეგორია, არ არსებობს“.¹ თუმცა ეს ნიშნავს იმას, რომ რომელიმე მოცემულ ენას ასპექტური შინაარსის გადმოცემა არ შეუძლია, რადგან, როგორც აღვნიშნეთ,

¹ В. М. Никитевич, Грамматические категории в современном русском языке, М., 1963, გვ. 117.

თითოეულ მათგანს თავისი სემანტიკური შესაძლებლობები აქვს მოქმედება-მდგომარეობის ნაირსახეობათა გამოსახატავად.

ამასთან დაკავშირებით, საჭირო ხდება ასპექტური შინაარსისა და ასპექტის მორფოლოგიური კატეგორიის ურთიერთისაგან გამიჯვნა. პირველი მეცნიერი, რომელმაც 1908 წელს ცალკე გამოყო ასპექტური შინაარსის მატარებელი ზმნები (პოლონური ზმნის მაგალითზე) და შესაბამისი ტერმინი "Aktionsart" – დაძებნა გერმანულ ენაში, იგურდ საგრელი იყო.¹ ამ ტერმინის რუსული შესატყვისია "Способ действия", ხოლო ქართული – „მოქმედების სახე“.²

ს. აგრელმა პოლონურ ენაში მოქმედების 20 სახე აღწერა და, „მოქმედების სახის“ (Aktionsart-ის) ტერმინის შემოღებასთან ერთად, მისი განსაზღვრაც მოგვცა: „მოქმედების სახის ქვეშ მე ვგულისხმობ სლაურის ზმნის არა ორ ძირითად კატეგორიას, არა იმ ფორმებს, რომლებიც დასრულებულ ან დაუსრულებელ მოქმედებას გამოხატავენ (იმპერფექტული და პერფექტული ზმნები) – ამ კატეგორიებს მე ასპექტს ვუნოდებ. ტერმინით – მოქმედების სახე, – განაგრძობს ავტორი, – მე აღვნიშნავ თავსართიანი ზმნებით (აგრეთვე ზოგიერთი უთავსართო და სუფიქსურ წარმოების ზმნებს) აქამდე უყურადღებოდ და კლასიფიკაციის გარეშე დატოვებულ სემანტიკურ ფუნქციებს, რომლებიც აზუსტებენ, როგორ სრულდება მოქმედება, აღვნიშნავენ მისი არსებობის საშუალებას“.³

ასპექტი, მოქმედების სახისაგან განსხვავებით, გაიგება როგორც გარკვეული თვალსაზრისი, რომელიც მოქმედებას განიხილავს ან როგორც პროცესს (Verlauf), ან როგორც ფაქტს (Ereignis). „...პრინციპში თითოეული მოქმედების მიმართ შეიძლება ორივე თვალსაზრისი არსებობდეს, მაგრამ კონკრეტულ ენაში რამდენიმე ან ყველა მოქმედებასთან მიმართებაში დგინდება

¹ С. Агрель, О способах действия польского глагола, в кн.: Вопросы глагольного вида, М., 1962.

² ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986, გვ. 32.

С. Агрель, დასახელებული ნაშრომი, გვ. 36.

ესა თუ ის თვალსაზრისი“.¹ ამრიგად, ასპექტი თავის არსშივე შეიცავს პოლარულად განსხვავებულ მნიშვნელობებს, ე. ი. „ასპექტი შიდაზმნური მნიშვნელობის ისეთ განსხვავებას შეიძლება ვუნოდოთ, რომლის საშუალებითაც თითოეული მოქმედება კვალიფიცირდება როგორც „პროცესი,“ ან როგორც „ფაქტი“.²

მოგვიანებით ე. კოშმიდერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მოქმედების სახე ყოველთვის არ შეესაბამება ზმნის სიტყვათწარმოებით ჯგუფებს, რომ მას საკუთარი ფორმა არა აქვს. „მხოლოდ რამდენიმე მათგანს გააჩნია ფორმალური მაჩვენებელი, – ნერს იგი, – და თანაც ისინი, ჩვეულებრივ, მოცემული ჯგუფის ყველა ზმნისათვის საერთო არ არის“.³ აქედან გამომდინარე, გაკეთდა ლოგიკური დასკვნა, რომ მოქმედების სახეს ზმნების წმინდა სემანტიკური დაჯგუფებები ქმნის. ასეთი დაჯგუფებების რაოდენობა განუსაზღვრელია და სპეციფიკური თითოეული ენისათვის. ნაგულისხმებია, მაგალითად, დიურატიული, ნყვეტილობრივი, დანყებითი, რეზულტატიური, ინხოატიური და სხვა შინაარსის მატარებელი ზმნები.

რაც შეეხება პოლონურ ენაში ასპექტის ფორმალურ მაჩვენებელს, ე. კოშმიდერის აზრით, აქ ასპექტის ლოგიკური კატეგორია ლექსიკური საშუალებების დახმარებით გამოიხატება. ამასთან, არ არსებობს ისეთი გარეგნული კრიტერიუმი, რომელიც ენის არმცოდნე ადამიანს საშუალებას, მისცემს, ერთი შეხედვით განსაზღვროს, რომელ ასპექტს განეკუთვნება მოცემული ზმნა-სრულს თუ უსრულს.⁴

ჰ. იაკობსონმა ასპექტის მორფოლოგიური კატეგორიისა და მოქმედების სახის განსაზღვრისას აღნიშნა, რომ ასპექტის კატეგორია ასახავს მოქმედების შესახებ არსებულ სუბიექტურ

¹ В. Поршиг, О способах действия индоевропейских презентях образования, в кн.: Вопросы гоагольного вида, М., 1962, гв.41-42.

В. Поршиг, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

² Е. Кошмидер, Очерк науки о видах польского глагола, в кн.: Вопросы гоагольного вида, 1962, 113-114.

იქვე, 113-114.

შეხედულებას, ხოლო მოქმედების სახე-ობიექტურს, რომელიც თვით მოქმედებაშივე არსებობს. იგი წერს: „როცა საუბარია „პერფექტული“ და „იმპერფექტული“ ზმნების გარჩევაზე, იგულისხმება მოქმედების აღქმის სუბიექტური ფორმები, რომლებიც გამოხატავენ, თუ როგორ წარმოადგენს მოსაუბრე პირი მის (ე. ი. მოქმედების) მიმდინარეობას“.¹ ამის სანიხააღმდეგოდ, ისეთ ცნებებს, როგორებიცაა ინტენსიური, კაუზატიური ზმნები, თვით მოქმედებათა შორის ობიექტური განსხვავებები უდევს საფუძვლად.

მოქმედების სახის შესახებ მოძღვრებამ შესაბამისი ასახვა რუსულ ასპექტოლოგიაშიც პოვა. იური მასლოვი, რომელმაც განსაკუთრებით ღრმად დაამუშავა ასპექტისა და მოქმედების სახის ურთიერთობათა საკითხები, აღნიშნავს, „ასპექტის სემანტიკური არაერთგვარობა ყოველთვის და ყველაფერში არ არის მისი მორფოლოგიური არაერთგვარობის პარალელური, სემანტიკური განსხვავებანი არ დუბლირებენ მორფოლოგიურ განსხვავებებს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ფარავენ მას“.² სხვა შრომებში ი. მასლოვი ხაზს უსვამს, რომ „მოქმედების სახის განმსაზღვრელ ფორმალურ მაჩვენებელს წარმოადგენს არა ესა თუ ის სიტყვათმანარმოებელი მორფემა, არამედ ამ ნანარმოების სიტყვის აქტივობა, სინტაქსური გამოყენება და ასპექტის კატეგორიასთან ურთიერთმოქმედების ტიპი“;³ და, რომ მოქმედების სახე „საინტერესოა არა თავისთავად, არამედ მისი ასპექტის კატეგორიასთან ურთიერთმოქმედებით“.⁴ ამრიგად, იური მასლოვმა ერთმანეთისაგან მკაცრად გამიჯნა მორფემულად დახასიათებული და მორფემულად დაუხასიათებელი მოქმედების სახე, რომელიც შემდეგში საფუძვლად დაედო რუსული ენის

¹ Г. Якобсон, Из рецензии на книгу Якоба Вакернагеля, „Лекции по синтаксису“, в кн.: Вопросы глагольного вида, 1962, гл. 39.

² Ю. С. Маслов, Вид и лексическое значение, М., 1948, гл. 35.

³ Ю. С. Маслов, Глагольный вид в совр. зар. яз. в кн.: Вопросы глагольного вида, М., 1962, гл. 191.

იქვე, გვ. 191.

მოქმედების სახის აღწერას ა. ბონდარკოსა და ლ. ბულანინის ნიგნში "Русский глагол".

მოქმედების სახე საინტერესოა, როგორც ზმნის სემანტიკური ნიშან-თვისება, რომელიც «გაგებინების ძალას ფლობს ზმნათა ცალკეული ჯგუფების ასპექტური თავისებურებების შესწავლისას».¹ ამით არის გამართლებული მოქმედების სახის გრამატიკაში განხილვა, ისევე, როგორც გრამატიკაშივეა განხილული არსებითი სახელის სულიერობა-უსულობა, კრებითი, ნივთიერებათა და სხვა სახელები.

რამდენადაც ასპექტის მორფოლოგიური კატეგორია და მოქმედების სახე სიტყვის ასპექტურ-სემანტიკურ შინაარსთანა დაკავშირებული, რუსულ ენათმეცნიერებაში იყო ცდა მათი საერთო კატეგორიის ქვეშ გაერთიანებისა. ეს ცდა ეკუთვნის ალექსანდრე ბონდარკოს, რომელმაც ასპექტისა და მოქმედების სახის სინთეზურ კატეგორიას ასპექტურობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია უწოდა.

ტერმინი ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ავტორმა ო. ესპერსენისა და ი. მეშჩანინოვის მიერ დამკვიდრებული ცნებითი კატეგორიის პარალელურად შემოიტანა. ი. მეშჩანინოვი წერს: «გამოვლინდებიან რა ლექსიკის სემანტიკურ მხარეში, წინადადების სინტაქსური შემადგენლობისა და სიტყვის მორფოლოგიურ გაფორმებაში, ცნებითი კატეგორიები ენობრივ კატეგორიებად რჩებიან, თუმცა ისინი ენაში მოქმედი აზროვნების ნორმების გამოხატველებადაც გვევლინებიან».²

ა. ბონდარკოს აზრით, ტერმინი «ცნებითი კატეგორია ადეკვატურად ვერ ასახავს ამ კატეგორიით ნაგულისხმევ შინაარსს, რადგან იგი მხოლოდ აზროვნების სფეროზე მიუთითებს», ჩვენ კი საქმე გვაქვს ენობრივ სემანტიკასთან, ამიტომ ავტორს მიზანშეწონილად მიაჩნია გამოყენებულ იქნას ტერმინი – ფუნქცი-

¹ М. А. Шелякин, Категория вида и способы действия русского глагола, Талин, 1983, გვ. 23.

И. И. Мещанинов, Члены предложения и части речи, М.-Л., 1945, გვ. 196.

ურ-სემანტიკური კატეგორია ("Функционально-семантическая категория").¹

რადგან ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია გამოიხატება ან მორფოლოგიური, ან სინტაქსური, ან სიტყვათწარმოებითი და ზოგჯერ ლექსიკური საშუალებებით, ამიტომ მას საკუთარი, განსაზღვრული სტრუქტურა გააჩნია.

ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიებად ა. ბონდარკოს, გარდა ასპექტუალობისა, მიაჩნია აგრეთვე ტემპორალობა, ე. ი. დროის გამოსახვა, და პერსონალობა, ე. ი. პირის გამოხატვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ ა. ბონდარკომ შემოიღო ტერმინი ასპექტუალობა II ასპექტურობა განსაკუთრებული ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის აღსანიშნავად, რომელიც აერთიანებს, ერთი მხრივ, მოქმედების მიმდინარეობის ხასიათის გამოხატვის სხვადასხვა ხერხს (ფართო გაგებით), რომლის მორფოლოგიური ბირთვია ასპექტის კატეგორია, ხოლო, მეორე მხრივ, პერიფერიულ კომპონენტებს - მოქმედების სახესა და ლექსიკურ და სინტაქსურ მაჩვენებლებს. იგი წერს: „ასპექტუალობა - ასე შეიძლება ვუწოდოთ ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიას, რომელიც მოქმედების მიმდინარეობის ხასიათის გამოხატვის განსხვავებულ საშუალებებს მოიცავს“.²

შენიშვნა: ასპექტუალობა ევროპულ ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული ტერმინია. მისი ქართული თარგმანი იქნება არა „ასპექტუალობა“, არამედ „ასპექტურობა“ (ასპექტი - ასპექტური - ასპექტურობა), მაგრამ ამ ეტაპზე თავს ვარიდებთ უკვე ტრადიციად ქცეული „ასპექტუალობის“ „ასპექტურობით“ შეცვლას, თუმცა ვთვლით, რომ ეს უკანასკნელი ზუსტად შეესაბამება ქართული ენის ბუნებასა და მასში მოქმედ ენობრივ კანონებს.

აგრეთვე ვითვალისწინებთ, რომ მოცემული ტერმინის შეცვლით არსებითად არ იცვლება ქართულ ენაში უკვე არასწორად გაბა-

¹ А. В. Бондарко, К проблематике функционально-семантических категорий, в кн.: Вопросы языкознания N 2 М., 1967, გვ. 18.

А. В. Бондарко, იქვე გვ. 19.

ტონებული ამავე წარმოშობის (ტემპორალობა, პერსონალობა, ფუნქციონალობა...) სხვა ტერმინთა ფორმალური სახე.

რადგან ასპექტის მორფოლოგიური კატეგორია და მოქმედების სახე ერთმანეთს შინაარსის პლანით უკავშირდება, ამიტომ ლოგიკურია მათი ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის სახელწოდების ქვეშ გაერთიანება.

ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია სხვადასხვა ენობრივი დონის ელემენტებით იქმნება. ამ თვალსაზრისით, ის „კომპლექსური კატეგორიაა“.¹ ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიები ისტორიულად ცვალებადია. ცვალებადია მათი სტრუქტურა, ხდება მოცემული კატეგორიის ლექსიკური და გრამატიკული ელემენტების გადაჯგუფება, იცვლება სხვადასხვა კატეგორიასთან გამავალი საზღვარი და მათთან ურთიერთობა.

ასპექტუალობა, როგორც ზოგადი კატეგორია, ზოგი მეცნიერის აზრით, უნივერსალურია. ფრანგულ და ინგლისურ ენებში ფუნქციურ-სემანტიკური ველის განხილვისას ტ. აკიმოვა აღნიშნავს: „ასპექტუალობის ფუნქციურ-სემანტიკური ველი შეიძლება ჩაითვალოს უნივერსალიად, რომელიც ენების მთელ რიგს ახასიათებს. თუმცა, მრავალი ენისათვის დამახასიათებელი კომპონენტის გარდა, მასში ისეთი იდიოთნიკური ელემენტებიც შემოდის, რომლებიც სპეციფიკურია მოცემული ენისათვის ან მონათესავე ენათა ჯგუფებისათვის“.²

მ. მეგრელიშვილის აზრით, ქართული და ინგლისური ენების დროისა და ასპექტის სისტემათა შესწავლა საფუძველს იძლევა დავასკვნათ, „ქართული ჯგუფების შინაარსის პლანი ძირითადად ემთხვევა ინგლისური ასპექტისა და დროის ფორმათა შინაარსობრივ პლანს“,³ მიუხედავად იმისა, რომ ქართული და ინ-

¹ А. В. Бондарю, Грамматическая категория и контекст, М., 1971, გვ. 10.

Т. Акимова, О ядре и периферии функционально-семантического поля аспектуальности во франц. и англ. языках, в кн.: Вопросы сопоставительной аспектологии, Л., 1978, გვ. 75-88.

³ М. Мегрелишвили, Выражение темпорально-спектуальных отношении разностемных языках (на материале грузинского и английского языков), სადოქტორო დისერტაცია, 1983, გვ. 357.

გლისური წარმოდგენს ორ არამონათესავე და ტიპოლოგიურად განსხვავებულ ენას.

ზემოთქმული საშუალებას იძლევა, რომ ასპექტუალობის ფენქციურ-სემანტიკური კატეგორიის უაღრესად ფართო გაგების ქვეშ, მართლაც, უნივერსალური, თითქმის ყველა ენისათვის დამახასიათებელი შინაარსები და ზოგჯერ ამ შინაარსთა შესაბამისი ფორმებიც ვიგულისხმობთ; ამიტომ ენათმეცნიერებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ა. ბონდარკოს მიერ ტერმინის – ასპექტუალობის – შემოღებასა და მის საფუძვლიან განსაზღვრას. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ბევრად უფრო ადრე თავის ერთ-ერთ ნაშრომში ი. მასლოვი ამბობდა: „აზრობრივი შედგენილობით ასპექტი და მოქმედების სახე მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. შეიძლება ითქვას კიდევ – მნიშვნელობის ერთსა და იმავე ფართო სფეროს მიეკუთვნება. ასპექტიცა და მოქმედების სახეც ზმნური მოქმედების მიმდინარეობის ან მოსაუბრე პირის მიერ წარმოდგენილი ამ მიმდინარეობის განსხვავებებს ასახავს“.¹

სლავური ასპექტის განხილვისას ასპექტუალობის ცნებით გათვალისწინებულ შინაარსს ხშირად იყენებდნენ აგრეთვე სხვა რუსი ენათმეცნიერებიც (ა. პეშკოვსკი², ი. ივანოვა,³ ი. მასლოვი) და მას ასპექტის ფართო ცნებით გაგებას უწოდებდნენ.

ასპექტუალობის შემდგომი განხილვისას ა. ბონდარკო ასპექტის მორფოლოგიური კატეგორიისა და მოქმედების სახის კატეგორიის ერთმანეთისაგან გამიჯვნასაც ახდენს: „ასპექტი და მოქმედების სახე, – აღნიშნავენ ა. ბონდარკო და ლ. ბულანინი: – გამოხატვის პლანში პრინციპულად განსხვავდებიან. ასპექტის გრამატიკული კატეგორია თანამედროვე რუსულ ენაში მთელ ზმნურ ლექსიკას მოიცავს. ასპექტური დაპირისპირება შეიძლება

¹ Ю. С. Маслов, Вопросы грамматики болгарского литературного языка, М., 1959, გვ. 160.

² А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, М., 1956, гв. 104.

И. П. Иванова, Вид и время в совр. английском языке, Л., 1961, гв. 78.

ერთი ლექსემის, ერთი ლექსიკური მნიშვნელობის ფარგლებში გამოჩნდეს. ეს დაპირისპირება ასპექტური მნიშვნელობის გამოხატვის გრამატიკული საშუალებების სისტემაზეა დამყარებული. ამ გაგებით შეიძლება ვისაუბროთ ზმნური ასპექტის მკაცრ „პარადიგმატულ“ ხასიათზე,¹ მოქმედების სახე კი არ ემყარება ამა თუ იმ ასპექტური შინაარსის გრამატიკულ გამოხატვას. იგი მხოლოდ ლექსიკური საშუალებების დონეზე აღიქმება.

ასპექტის კატეგორიისა და მოქმედების სახის გამოხატვის საშუალებებზე აქცენტის გადატანით ზემოთ დასახელებულმა მეცნიერებმა ვერ შეძლეს დაეკონკრეტებინათ ის მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშან-თვისება, რომელიც, ერთი მხრივ, ამ ორ ოდენობას ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიაში აერთიანებს, ხოლო, მეორე მხრივ, მათი განსხვავების საფუძველს წარმოადგენს.

შვედაროთ ერთმანეთს ასპექტისა და მოქმედების სახის განსაზღვრებები ა. ბონდარკოსთან: „ზმნური ასპექტი – ეს არის გრამატიკული კატეგორია, რომელიც მოქმედების მიმდინარეობის განსხვავებულ წარმოდგენებს გამოხატავს და რომელიც ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ სრული და უსრული ასპექტის გრამატიკული ფორმების სისტემაში პოულობს ასახვას, ხოლო „მოქმედების სახე – ესაა ზმნების სემანტიკური დაჯგუფებები, რომლებიც მოქმედების მიმდინარეობის ერთგვარობის საფუძველზე გამოიყოფა“.²

ამრიგად, ძნელი აღმოჩნდა, მოძებნილიყო ის ზოგადი და ძირითადი ნიშან-თვისება, რომელიც საფუძვლიანად გამიჯნავდა ასპექტისა და მოქმედების სახის კატეგორიებს, რადგან ერთი ენისათვის რომელიმე კონკრეტული შინაარსი შეიძლება ასპექტის მორფოლოგიურ კატეგორიას მიეკუთვნოს, ხოლო მეორისათვის კი მოქმედების სახის კატეგორიის სფეროში მოხვდეს. მათი გამიჯვნა ზოგჯერ ერთი ენის ფარგლებშიც კი ძნელია.

¹ А. В. Бондарко, Л. Л. Булянин, Русский глагол, Л., 1967, გვ. 112.

² იქვე, გვ. 11.

„ასპექტუალობის ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიას ჯერ კიდევ არ მიუღია თავისი სამენტიკური საზღვრების ზუსტი განსაზღვრა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა განგვეხილა მისი გრამატიკული, ლექსიკო-სემანტიკური და სინტაქსური სხვადასხვაობა განსხვავების, ურთიერთკავშირისა და ურთიერთმოქმედების პლანში“.¹

მაგრამ, ერთი კი ცხადია, ასპექტის მორფოლოგიური კატეგორიისა და მოქმედების სახის საზღვარი იქ გადის, სადაც, ერთი მხრით, ასპექტის მორფოლოგიური გამოსატვა მთავრდება, ხოლო, მეორე მხრით, იწყება მოქმედების სახის სემანტიკური შინაარსის ჩვენება.

§ 3. ასპექტის მორფოლოგიური კატეგორიის შენსაჯლის ისტორია

ასპექტუალობა მრავალ ენას ახასიათებს, რადგან ყველგან მეტ-ნაკლები ინტენსივობით ჩანს მოქმედების დასრულება-დაუსრულებლობის, რეზულტატობა-არარეზულტატობის, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის, ერთჯერადობა-მრავალჯერადობის და ა. შ. შინაარსი.

„ჩვეულებრივ ასპექტის კლასიკურ ნიმუშად ასახელებენ, ერთი მხრივ, ძველ ბერძნულს, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება პრეზენსი, აორისტი და იმპერფექტი, მეორე მხრით, სლავურ ენებს, სადაც გარჩევა სრული (პერფექტული) და უსრული (იმპერფექტული) ასპექტი“.²

ბერძნულ და ლათინურ ენებში აორისტისა და იმპერფექტის ფორმები განსხვავდებიან ერთსა და იმავე ზმნაზე სხვადასხვა

1 М. А. Шелякин, Категории вида и способы действия русского глагола, Талин, 1983, გვ. 16.

2 ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986, გვ. 8.

დაბოლოების დართვით, სლავურ ენებში კი განსხვავების საფუძველს სრული და უსრული ასპექტის გარჩევისას პერფექტული და იმპერფექტული ზმნები წარმოადგენს.

აორისტი და იმპერფექტი წარსულ დროს გამოხატავს და ამიტომ დროის მიხედვით მათი სხვადასხვა ხაზზე განლაგება შეუძლებელია, ისინი არც მოქმედების ხანგრძლიობაზე არ მიუთითებენ. განსხვავება აორისტსა და იმპერფექტს შორის არის განსხვავება მოქმედების ტემპს შორის.¹ აორისტი აღნიშნავს, რა მოხდება იმპერფექტის მიერ წამოყენებული პირობის შემდეგ და აღწერს მოქმედებას უფრო სრულად, ვიდრე ეს იმპერფექტს შეუძლია.

თვითონ იმპერფექტი კი გამოიყენება მაშინ, როცა მოსაუბრე პირი ხაზს უსვამს ან ყურადღებას აქცევს მეორეხარისხოვან მოვლენებს. იმპერფექტს, აორისტისაგან განსხვავებით, მნიშვნელოვანი ემოციურობა ახასიათებს. „შეყოვნებული მოქმედების გარდა, ის ჩვეულებრივ მოქმედებასაც გამოხატავს წარსული დროის განსაზღვრულ პერიოდში“.²

რაც შეეხება სლავური ენების ასპექტს, იგი სრული და უსრული ასპექტური შინაარსის ზმნების დაპირისპირებამდე დაჰყავთ, ამიტომ „სლავური ენების თავისებურებას ზმნურ ნყვილთა სისტემის არსებობა წარმოადგენს“.³ სლავურის აორისტი არის ისტორიული დრო, რომელიც წარსულში მიმდინარე მოქმედებას გამოხატავს, მაგრამ ბერძნულისაგან განსხვავებით, ეს არის სრული ასპექტი.

სლავური ენების ასპექტის წარმოშობასთან დაკავშირებით დღემდე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

გ. კურციუსმა⁴ ინდოევროპული ფუძე ენის ზმნაში პირველმა იპოვა ასპექტური დაპირისპირებანი. ამ დროიდან მოყოლებული

¹ О. Есперсен, *Философия грамматики*, М., 1958,

О. Есперсен, *დასახელებული ნაშრომი*, გვ. 323.

² А. Мейс, *Общеславянский язык*, М., 1951, გვ. 228.

G. Curtius, *Die Bildung der Tempora und Modi im Griechischen und Lateinischen*, Berlin, 1846.

ლინგვისტთა ყურადღება ძირითადად სლავური ზმნების ასპექტზეა გადატანილი, თანაც მთელ რიგ შრომებში მოცემულია ცდა იმისა, რომ დამტკიცდეს სლავური ასპექტის ინდოევროპულიდან მომდინარეობის თეორია. ასეთ თვალსაზრისს იზიარებს გასული საუკუნის მეცნიერი ფრ. მიკლოშიჩი და დასძენს, რომ ძველ ბულგარულ ენაში ასპექტურ განსხვავებას ზმნურ ძირებში აქვს ადგილი.¹

ასპექტს ინდოევროპულიდან მომდინარედ მიიჩნევენ რუსი ენათმეცნიერი გ. ულიანოვი² და ჩვენი საუკუნის უდიდესი ლინგვისტები: ა. მეიე³ და ტ. მილევსკი.⁴

ანტუან მეიესათვის ასპექტი უმთავრესი საერთოსლავური ზმნური კატეგორიაა. მიუხედავად იმისა, რომ სლავური ენების ასპექტს არ შემოუნახავს უძველესი ასპექტური განსხვავებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდა ინდოევროპულ პრაენაში. თავისი მნიშვნელობით სლავური ზმნის სისტემა არ განსხვავდება ბერძნული ზმნის სისტემისაგან, განსხვავება მხოლოდ ფორმაშია. სლავურმა ენამ შემოინახა და გააფართოვა ასპექტის გამოყენების საზღვრები. ა. მეიეს აზრით, „სლავი ხალხები საშუალო საუკუნეების დიდი ცივილიზაციის დონეზე დარჩნენ“,⁵ ამიტომ მათ ამ ცივილიზაციის ძველი ტიპი და პროინდოევროპული ენის კონკრეტული კატეგორიები შემოინახეს.

პოლონელი ლინგვისტი ტ. მილევსკი, ისევე როგორც ა. მეიე, ასპექტის კატეგორიას ინდოევროპული ფუძე ენის კატეგორიების რიცხვს მიაკუთვნებს. ასპექტი მისთვის არქაული კატეგორიაა, რომელმაც უმაღლესი განვითარება სლავებთან პოვა,

¹ Fr. Miklosich, *Vergleichende Grammatik der slavischen Sprachen*, B. IV, Syntax, Wier, 1868-1874, გვ. 294.

² Г. Ульянов, значения глагольных основ в литовско-славянском языке, II, Варшава, 1985.

А. Мейе, დასახელებული ნაშრომი.

P. Milewski, O zie aspektow slowian`skich "Roznik slawistyczny", t. 15. Krakow, 1939, გვ. 4-6.

⁵ A. Meillet, Des innovations du verbe slave, "Revue des e`tudes slaves". t. II, Paris, 1922, gv. 44-46.

ხოლო სხვა ენებში ან საერთოდ გაქრა, ან დროის მორფოლოგიურ კატეგორიას შეერწყა. ოპოზიციის ის სისტემა, რომელშიც სლავური ენების ასპექტი გამოიხატება, ტ. მილევსკის სლავურ ახალწარმოებად მიაჩნია. ავტორის აზრით, ინდოევროპულ ენებში ამ კატეგორიის კვდომის ტენდენცია შეიმჩნევა. მოქმედების ზმნური ასპექტით ან ზმნური დროით გამოხატვა ორი საშუალებაა, რომლებიც თანაბრადაა შესაძლებელი ინდოევროპულ ენებში.

საერთო ინდოევროპულ ენაში ასპექტური დაპირისპირებანი ზმნის ძირითად დახასიათებას იძლევა. ასპექტური განსხვავებანი მოქმედების დროში განსხვავებას უდევს საფუძვლად. ახლანდელი დრო განვითარებად მოქმედებას დაუკავშირდა, აორისტი – მოქმედების დასრულების მომენტს, ხოლო პერფექტი – დამთავრების ცნებას. სწორედ ამ ფაქტზე დაყრდნობით მივიდა ა. მეიე შემდეგ დასკვნამდე: სლავურ ენებში ასპექტის კატეგორია ინდოევროპული ენების დროის ბუნებრივი გაგრძელებაა. თანამედროვე ინდოევროპული ენების არასლავურ ენებში დროის ფორმები, რომლებიც განყენებულ დროს (Отвлечённое время) გამოხატავენ, გვიანდელ მოვლენას წარმოადგენს.¹

თანამედროვე ასპექტოლოგიაში უფრო პოპულარულია თეორია, რომელიც სლავური ენების ასპექტს ახალწარმოქმნილად მიიჩნევს. ამ თეორიის ფუძემდებლად ითვლება ა. ა. პოტებნია. იგი წერს: „ასპექტი საერთოდ არ იყო სლავურ ენაში ისევე, როგორც არა გვაქვს იგი თანამედროვე გერმანულში“.² სრული და უსრული ასპექტის გამოხატვას წინ უსწრებდა გრძლივი მოქმედების გამოხატვა. ეს მოქმედება სხვადასხვა ხარისხით გადმოიცემოდა, შემდეგ კი გრძლივი მოქმედება სრულისა და უსრულის გამოხატვის სფეროში შევიდა. ა. პოტებნია გრძლიობის ოთხ საფეხურს გამოყოფს (катить-катать, катнуть-катывать) და

¹ В. М. Никитевич, Грамматические категории имени и глагола в русском языке, Алма-Ата, 1962, გვ. 186-187.

² А. А. Поттебня, Из записок по русской грамматике, т. IV, М.-Л., 1941, გვ. 47.

აქვე აღნიშნავს, რომ ეს ოთხი საფეხური სლავური ენების განვითარების სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება.¹

1927-1928 წლებში ნ. ვან-ვეიკი ახალ თეორიას ქმნის სლავური ენების ასპექტის წარმოშობის შესახებ, რომელიც რამდენადმე ჰგავს ა. პოტებნიას თეორიას. ის თვლის, რომ სრულობა-უსრულობის გრამატიკულ კატეგორიას წინ უსწრებდა განსაზღვრული და განუსაზღვრელი ასპექტის კატეგორია. ზმნები ლექსიკურ შინაარსზე იყვნენ დამოკიდებულნი, ამიტომ შესაბამისად გვექონდა განსაზღვრული ასპექტისა და განუსაზღვრელი ასპექტის მატარებელი ზმნები. განსაზღვრული ასპექტის ზმნები „გამოხატავენ ნაკლებად რთულ მოქმედებას, რომლებიც აუცილებლად რაღაც მიზნისაკენაა მიმართული, იმედროულად განუსაზღვრელი ასპექტის ზმნები გამოიყენებიან რამდენიმე ასპექტისაგან შემდგარი ან გრძლივი და მრავალჯერადი მოქმედების აღსანიშნავად“.²

პოლონელი მეცნიერი ე. კურილოვიჩი³ ასპექტური სისტემის ჩამოყალიბებაში ამოსავალ წერტილად განსაზღვრულობა-განუსაზღვრულობის კატეგორიას თვლის, ნ. ვან-ვეიკის თეორიას იზიარებს ე. კომშიდერიც.⁴

განსაზღვრულობა-განუსაზღვრულობის ცნების გრამატიკული თავისებურებების შესწავლას დიდი ტრადიციები აქვს რომანისტიკასა და გერმანისტიკაში. ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ფრანგულ გრამატიკაში ლუი მეიგრეს⁵ მიერ იქნა შენიშნული განსაზღვრულობა-განუსაზღვრულობის სხვა გრამატიკოსებისათვის უცნობი კატეგორია. შემდეგ კი XIX საუკუნეში ესპანურ

¹ A. A. Потебня, დასახელებული ნაშრომი, გვ. 64.

² N. Van-Wiyk, Sur l'origine des aspects du verbe slave "Revue des études slaves", f. 3-4, Paris, 1929, გვ. 252.

Е. Курилович, Происхождение славянских глагольных видов, в кн.: Вопросы глагольного вида, М., 1962, გვ. 258-2376.

Э. Кошмидер, Очерк науки о видах польского глагола, в кн.: Вопросы глагольного вида, М., 1962, გვ. 105-167.

L. Meigret, Le Prette de la Grammere Francoezc, Nach der einzigen Pariser Aufgabe (1550) neu herausgegab. Von W. Foerster, Heilbronn, 1888, გვ. 211.

მასალაზე დაყრდნობით ა. ბელომ კვლავ დაადასტურა ამ კატეგორიის არსებობა.¹

რომანული ენების მაგალითზე განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის გრამატიკული კატეგორიის შესწავლა განაგრძო ფ. დიცემ,² იმ განსხვავებით, რომ მან შეცვალა შესაბამისი ტერმინოლოგია. განსაზღვრულ ზმნებს სრული უნოდა, ხოლო განუსაზღვრელს – უსრული.

გერმანელი მეცნიერი ვ. შტრაიტიბერგერი³ შეეცადა გერმანიულ ენებში დაეძებნა ისეთივე ასპექტური ფორმები, როგორიც სლავურ ენებში არსებობს, მაგრამ ფაქტიურად მდგომარეობის ან ამ მდგომარეობაში გადასვლის გამომხატველი ზმნები დააფიქსირა, მაგ.: (standen-gestanda) დგომა-ადგომა, (sitan-gesitan) ჯდომა-დაჯდომა.

XX საუკუნის უცხოელი ენათმეცნიერების: ბ. დელბრუკის,⁴ ჰ. პედერსენისა⁵ და ა. ნურენის⁶ შრომებში განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიების ოპოზიციის უფრო სრული სურათი გვაქვს.

განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორია უძველესია და საერთოინდოევროპული ენის კუთვნილებას წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსაზღვრულობის და განუსაზღვრელობის ცნებათა დაპირისპირება (ჯერ კიდევ ზმნისწინიან ფორმათა ჩამოყალიბებამდე) მოქმედებისა და მდგომარეობის დაპირისპირება იყო, „განსაზღვრული ასპექტი კონკრეტულ მოქმედებას გამოხატავდა, განუსაზღვრელი – მდგომარეობას

¹ A. Bello, Grammatica de la lengua castellana destinada al uso de los americanos, Caracas, 1951, გვ. 544.

F. Diez, Grammatik der romanischen Sprachen, Teil 3, Bonn, 1844, გვ. 451.

³ W. Streitberger, Perfektive und imperfektive Actionsart im Germanischen, "Beiträge zur Geschichte der deutschen Sprachen und Literatur", B. XV, Halle, 1891, გვ. 85-87.

B. Delbück, Vergleichende Syntax der indogermanischen Sprachen, P. 2, Strausburg, 1897, ბმ. 560.

H. Pedersen, Zur Lehre von den Aktionsarten, 1904, Bd. 37, გვ. 219-250.

А. Нурен, Вид, вкн.: Вопросы глагольного вида, М., 1962, гв. 335-344.

ან მოქმედებას, როგორც მდგომარეობას. ამ მდგომარეობის ასახვას ჩვენ ყველა ინდოევროპულ ენაში ვხედავთ; მათთვის დამახასიათებელი თავისებურებების გამო ზმნური პრეფიქსების განვითარება მნიშვნელოვან ასპექტურ ცვლილებებამდე და განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის თავისებურ განვითარებასთან მივიდა¹.

განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის, როგორც ლექსიკურისა და ლექსიკო-გრამატიკული კატეგორიის, გაგებამ თავისი არსებობა შეწყვიტა. იგი გრამატიკალიზებული გახდა. ამ კატეგორიის საბოლოო გრამატიკალიზება სრულობა-უსრულობის კატეგორიაში გადასვლას ემთხვევა.

ერთი სიტყვით, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის ოპოზიციას დღემდე არა აქვს მყარი და საყოველთაოდ მიღებული ტერმინოლოგიური განსაზღვრა. ზემოჩამოთვლილი თითოეული მეცნიერისათვის ერთმანეთის ექვივალენტური რამდენიმე ინტერნაციონალური ტერმინი არსებობს (მაგალითად, ი. მასლოვი განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის პარალელურად იყენებს ტერმინებს: ტერმინატული-ატერმინატული)².

ამრიგად, ინდოევროპულ ენებში ზმნური ასპექტის ჩამოყალიბებასა და განვითარებას სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვანაირად წარმოგვიდგენს. ოტო ესპერსენი ინდოევროპულ ენებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ „ინდოევროპულ ენებს დროის ზმნური ფორმები არ გააჩნდათ, თუმცა გამოხატავდნენ განსხვავებულ ასპექტებს – სრულს, უსრულს, წამიერს, გრძლივს, დანყებითს და სხვ., და რომ ამ ასპექტური განსხვავების საფუძველზე თანდათანობით წარმოიშობოდნენ დროის ფორმათა სისტემები, რომლებსაც ჩვენ უძველეს ინდოევროპულ ენებში

¹ В. В. Бородыч, К вопросу о формировании совершенного и несовершенного вида в славянских языках, ВЯ, 1953, N 6, გვ. 175.

² Ю.С. Маслом, к основаршям сопоставительной аспектологии, в кн.: вопросы сопоставительной аспектологии, Л., 1978, გვ. 14-15.

ეპოულობთ და რომლებიც თანამედროვე დროული სისტემების ბაზას წარმოადგენენ“.¹

სლავურ ენებში ასპექტის თანამედროვე სისტემა ზმნისწინიან წარმოებაზეა დამყარებული, თუმცა ამ ფაქტს სლავური ენების ასპექტის წარმოშობის კვლევისას მეორეხარისხოვანი როლი უნდა მიენიჭოს. „პრასლავური ენის განვითარების განსაზღვრულ პერიოდში ზმნისწინიანი ზმნები იმავე ასპექტს ან იმავე მოქმედების სახეს გამოხატავდნენ, რომელსაც ცნობილი ზმნები *па*-თი, მაგრამ *па'*-ფორმიანი კატეგორია ინდოევროპული ერთიანობის ეპოქის გადმონაშთია. ზმნისწინიანი ზმნებიც ინდოევროპული ენების საფუძველზე წარმოიშვა“.²

ინდოევროპულ ენებში, სადაც ახლანდელი დროისა და აორისტის ფუძეთა დაპირისპირება თანდათანობით ქრება, იძებნება ახალი საშუალება, რათა სრული პროცესის მიმდინარე პროცესთან დაპირისპირებულობა გამოიხატოს. ამისთვის ზმნა, რომელსაც „განსაზღვრული (პერფექტული) მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, დაირთავს ზმნისწინს, რომლის რეალური მნიშვნელობა უკვე აღარ შეიგრძნობა. მაგალითად, გოთურში *ga* – აწარმოებს სრულ ასპექტს, ლათინურში – *cum* ძველ ირლანდიურში ამ როლს *ro* – ასრულებს და თვით ძველ სპარსულ ენაშიც ზმნისწინები ზმნებს განსაკუთრებულ ასპექტურ მნიშვნელობას ანიჭებენ“.³

ა. პოტებნია სლავურ ენებსა და, კერძოდ, ძველ რუსულში ასპექტის კატეგორიის ჩამოყალიბებასა და შემდგომ გამყარებას ასპექტზე ზმნისწინთა გავლენას უკავშირებს. ეს გავლენა კი, თავის მხრივ, ზმნისწინის შინაგანი ცვლილებებით იყო გამოწვეული. ზმნისწინის მნიშვნელობის სფეროში იგი ორ ფენას გამოყოფს: უფრო ძველს – სივრცით მნიშვნელობას (*пространственное значение*) და შედარებით გვიანდელს – დროის მნიშვნელობას (*временное значение*). კონკრეტული მნიშვნელობის

¹ О. Есперсен, философия грамматики, М., 1958, გვ. 334.

Е. Курилович, Происхождение славянских глагольных видов, в кн.: Вопросы глагольного вида, М., 1962, გვ. 259.

А. Мейе, Общеславянский язык, М., 1951, გვ. 233-234.

მატარებელი ზმნის ზმნისწინის მნიშვნელობასთან შეკავშირებას სრული ასპექტის განვითარებასთან მიეყვართ-„როგორც კი წარმოიშვნენ სრული ზმნები, სხვა დანარჩენები ამით უსრულნი გახდნენ“.¹

ნ. ვან-ვეიკის აზრით, წინდებულიან ზმნებში სრული ასპექტის მნიშვნელობა, პირველ რიგში, იქ ვითარდება, სადაც ზმნისწინი თავის საკუთარ მნიშვნელობას კარგავს და მხოლოდ მოქმედების სრულობაზე მიუთითებს; ე. კურილოვიჩი კი აღნიშნავს, რომ სლავური ასპექტის სისტემის ჩამოყალიბებას ბიძგი მისცა ფუძეთა დაპირისპირებამ და რომ ზმნისწინები არავითარ როლს არ თამაშობენ ამ პროცესში.²

ვერც ერთი ზემომოყვანილი მოსაზრება ბოლომდე ვერ ხსნის ასპექტის ფორმირების პროცესის არსს, რადგან ზმნისწინს სხვა ინდოევროპულ ენებშიც აქვს დროის მნიშვნელობა, მაგრამ იქ ასპექტის გრამატიკულ-მორფოლოგიური კატეგორია არ არსებობს.³

ვ. ბოროდიჩი წერს: „ეჭვგარეშეა, რომ სლავური ასპექტის გამოჩენას ენის ისეთი მდგომარეობა უსწრებდა წინ, როცა ზმნებს, რომლებიც გამოხატავდნენ განსაზღვრულ (ნ. ვან-ვეიკის ტერმინოლოგიით), კონკრეტულ-ერთეულეებრივ მოქმედებას (ა. პოტებნიას ტერმინოლოგიით) უპირისპირდებოდა განუსაზღვრელი, განყენებულ-კრებითი მნიშვნელობის ზმნები“.⁴

საერთოსლავურმა ენამ მხოლოდ წინაპირობა შექმნა ასპექტის განვითარებისათვის, ხოლო შემდეგ ეს პროცესი განავითარეს ცალკეულმა სლავურმა ენებმა. სრული და უსრული ასპექტის ცნება გაჩნდა იქ, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო, განსაზღვრულობა-განუსაზღვრე-

¹ А. А. Потехня, Из записок по русской грамматике, т. IV, М., 1941, гл. 19.

² Е. Курилович, Происхождение славянских глагольных видов, в кн.: Вопросы глагольного вида, М., 1962, гл. 259.

³ В. В. Бородыч, К вопросу о формировании совершенного и несовершенного вида в славянских языках, ВЯ, М., 1953, N 6, гл. 74.

В. В. Бородыч, იქვე 1953, გვ. 74.

ლობის, ცნება. ასპექტური დაპირისპირებულობის შექმნის მთავარი წყარო ზმნური სიტყვათნარმოება იყო. „განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორია გრამატიკალიზდა და მივიდა რა თავისი განვითარების განსაზღვრულ საზღვართან, სრული და უსრული ასპექტის კატეგორიად იქცა“.¹ სლავურ ენებში ასპექტი წარმოიშვა არა იმიტომ, რომ არსებობდა ზმნისწინიანი ფორმები, არამედ იმიტომ, რომ ამ ფორმებს უპირისპირდებოდა იმავე მნიშვნელობის, მაგრამ განუსაზღვრელობის სუფიქსიანი ფორმები.

ძველ რუსულ ზმნაში ასპექტის კატეგორია ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის, ამიტომ რამდენიმე დამოკიდებულება (მაგ.: დროში მოქმედების ზღვრადობა-არაზღვრადობა (ограниченность-неограниченность), რომელსაც დღეს ასპექტი გამოხატავს, ადრე დროის ფორმებით გადმოიცემოდა; სწორედ ამიტომ ძველ რუსულ ენაში დროის სისტემა ფორმათა სიმრავლითა და სირთულით გამოირჩევა. ღრმა წარსულიდან ძველმა რუსულმა ენამ ისეთი ასპექტური დაპირისპირებანიც შემოინახა, რომელიც ზმნის ფუძის ცვლილებით (მაგ.: *решати-решити, ити-пойти*) გამოიხატებოდა. უკვე უძველეს წერილობით ძეგლებში აისახა ასპექტის კატეგორიის შემდგომი განვითარების გზა – ესაა მოქმედების დროში შემოსაზღვრა (ე. ი. სრული და უსრული ასპექტის მნიშვნელობა), რომელიც ძველ რუსულში ისეთი მორფოლოგიური საშუალებით გამოიხატება, როგორცაა ზმნისწინი (нести-принести, ити-пойти).² ასპექტის კატეგორიის ამგვარმა განვითარებამ რუსულში დროის კატეგორიის სისტემის შეცვლა გამოიწვია.

ასპექტური დაპირისპირებულობის თანამედროვე ტიპი შედარებით გვიან ყალიბდება. „ძველ რუსულ ენაში მოქმედების ხასიათზე დამოკიდებული ასპექტის გრამატიკული გამოხატვის

¹ В. В. Бородыч, დასახელებული ნაშრომი, გვ. 83.

² Е. Голубева, А. Коневский, Л. Судавичене, Глагол, Вилნიუს, 1964, გვ. 3-4.

მკვეთრი განსხვავება, მისი ხარისხობრივი ერთგვარობა ან შინაგანი განსაზღვრულობა არა გვაქვს".¹

უკვე XVII-XVIII საუკუნეების ძეგლებში სრული ასპექტის ფორმათა გამოყენება თითქმის ისეთივეა, როგორც თანამედროვე რუსულში გვაქვს. ისინი თავისუფლად ფუნქციონირებენ წარსულ და მომავალ დროში. ასპექტის გრამატიკული კატეგორია, რომელმაც მდიდარი რუსული დროები შეცვალა, მთელ რიგ მეცნიერთა შრომებში დროის კატეგორიისაგან მკვეთრად გამოყოფილი არ იყო. ა. ვოსტოკოვმა „რუსულ გრამატიკაში“ („Русская грамматика“) სამი ასპექტი და დროის რვა ფორმა გამოყო ისე, რომ ვერ შეძლო ასპექტისა და დროის კატეგორიების ერთმანეთისაგან გამიჯვნა.²

თანამედროვე ბულგარულ ენაში, რომელიც მაკედონურ, ხორვატულ და სლოვენურ ენებთან ერთად ენების სამხრეთსლავურ ჯგუფს ქმნის, მდგომარეობა თითქმის ისეთივეა, როგორც რუსულში გვაქვს. ყველა ზმნა, რომელიც ზმნის ან სახელის ფუძეზე წინდებულის მიერთებითაა ნაწარმოები, სრული ასპექტის კუთვნილებას შეადგენს.³

პოლონურში, რომელიც სლავური ენების დასავლურ ჯგუფში შედის, ვითარება განსხვავებულია. აქ ასპექტურობა მოქმედების სახით არის გამოხატული.⁴ პოლონურ ენაში ასპექტურობის შინაარსი კი არსებობს, მაგრამ იგი ფორმობრივად არ გამოიხატება, ე. ი. არ არსებობს პირდაპირი სუფიქური მაჩვენებელი. შეიძლება ითქვას, რომ ასპექტის ლოგიკური კატეგორია პოლონურში ლექსიკური საშუალებებით გამოიხატება, რომელიც თავის შინაარსობრივ ფუნქციას კარგავს და ასპექტურ ფუნქ-

¹ Е. А. Бахмутова, Развитие видовой соотносительности в русском языке, Казань, 1962, გვ. 36.

² Н. С. Волгина, Д. Э. Возенталь, М. И. Фомина, В. В. Цопукевич, Современный русский язык, М., 1966, გვ. 231.

³ Ю. С. Маслов, Очерк болгарской грамматики, М., 1956, გვ. 187.

С. Агрель, О способах действия польского глагола, в сб.: Вопросы глагольного вида, М., 1962, გვ. 36.

ციას იძენს. ამასთან, არ არსებობს არც ერთი შინაგანი კრიტიკური უმი, რომელიც პოლონურის არმცოდნე ადამიანს ერთი შეხედვით გაარკვევინებს, სრულია თუ უსრული მოცემული ზმნა.¹

უ. რეფეროვსკაია ინდოევროპული ენების რომანული ჯგუფის საერთო მდგომარეობის განხილვისას აღნიშნავს, რომ „რომანული ენები სპეციალურ ფორმებს ფლობს დასრულებული მოქმედების გამოსახატავად ნებისმიერ დროით პლანში (ნარსულში, ანმყოსა და მომავალი)“,² ე. ი. მკვეთრად ჩამოყალიბებული ასპექტის მორფოლოგიური კატეგორია არც რომანულ ენებში არსებობს.

უნგრულ-ფინურ ენათა ოჯახში შემავალ ენათა შორის სლავისტ ენათმეცნიერთა ყურადღებას იპყრობს სამოედური ტომების ენა-კილოები, რადგან სწორედ ამ ენებში შეიმჩნევა კარგად განვითარებული ასპექტის კატეგორია. ი. მეშჩანინოვისათვის გარკვეულ ისტორიულ საფეხურზე ასპექტი თანაბრად დამახასიათებელი კატეგორიაა როგორც ზმნის, ისე სახელისათვის. ამ დასკვნამდე იგი სამოედური ენების ანალიზის შედეგად მიდის. ავტორი წერს: „აი, მაგალითად, ფოლკლორში შემონახული ძველი ნიმუშები მიუთითებენ, რომ ნენეცურ ენაში სახელი შემასმენლის შემადგენლობაში შეიძლება შეცვლილიყო ყველა თუ არა, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე ასპექტის მიხედვით მაინც“.³

თურქული, რომელიც ალათაურ ენათა ოჯახს მიეკუთვნება, ასპექტს გრამატიკული საშუალებებით ვერ გამოხატავს. მარტივი ზმნები აქ, ასპექტური თვალსაზრისით, ნეიტრალურად გამოიყურება, რთულ ზმნებს კი „მხოლოდ კონტექსტში, ზმნის ლექსიკური ხასიათიდან გამომდინარე“⁴ აქვს ასპექტური შინაარსის შექმნის უნარი.

¹ Э. Кошмидер, Очерк науки о видах польского глагола, опыт синтеза, в сб.: Вопросы глагольного вида, М., гв. 113-114.

Теория грамматического значения и аспектологические исследования, под ред. А. В. Бондарко, Л., 1984, гв. 92.

И. И. Мешанинов, глагол, Л., 1982, гв. 75.

Р. А. Ганиев, Видовая характеристика глаголов татарского языка, Казань, 1963, гв. 173.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ასპექტის კატეგორია და მისი გამოხატვის საშუალებები კავკასიურ ენებში. განსხვავებით სხვა ენობრივი ჯგუფებისაგან, კავკასიურ ენებში მოქმედების სრულობა-უსრულობის გარდა, შეინიშნება ერთჯერადი-მრავალჯერადი ასპექტის მორფოლოგიური გამოხატვის მტკიცე სისტემა.

ჯერ კიდევ პ. კ. უსლარი XIX საუკუნის ბოლოს შეეცადა ერთ-ერთ ნახურ ენაში, კერძოდ, ჩეჩნურში გამოეყო ნყვილეული ურთიერთობის ზმნები, რომლებიც ერთჯერად და მრავალჯერად მოქმედებას გამოხატავდნენ (къастар - გამოეყოფა, къахастар - გამოეყოფა ხოლმე).¹ თითქმის მთელი საუკუნის შემდეგ იმავე ჩეჩნურში ნ. იაკოვლევმა² დაადასტურა ერთჯერადი და მრავალჯერადი ასპექტის ფორმები. ორივე ზემოდასახელებულ მეცნიერს ასპექტური განსხვავებების მთავარ საშუალებად ფუძის ხმოვნის შენაცვლება მიაჩნდა.

განიხილავს რა ნახური ენების ასპექტურ-დროულ სისტემას, ტ. დეშერიევა აღნიშნავს, რომ მოცემულ ენებში ასპექტის კატეგორიის განსაზღვრა, პირველ რიგში, ენის სემანტიკის სფეროს განეკუთვნება. იგი ინდიფერენტულია გამოხატვის პლანის საშუალებების მიმართ, ამიტომ ერთასპექტიანი ზმნები თავისი ღირებულებით ისეთ ზმნებს უთანაბრდება, რომელთაც ნყვილეული ასპექტის გამოხატვის საშუალება აქვთ.³ ავტორის აზრით, ფუძის ფლექსია, როგორც ჩანს, არ შედის მორფოლოგიური განსხვავებულობის სფეროში.

ერთჯერად და მრავალჯერად მოქმედებას ლეზგიური ზმნაც გამოხატავს, განსაკუთრებით ახტისა და კიურიული დიალექტები, თუმცა „ამისათვის ზმნა არ მიმართავს რაიმე განსაკუთრებულ ფორმანტს. მასდარი დასმულია მრავლობით რიცხვში და ხელმე-

¹ Н. К. Услар, Этнография кавказа, Языкознание, Чеченский язык, Тифлис, 1888, გვ. 99.

И. Ф. Яковлев, Морфология Чеченского языка, Грозный, 1960, гв. 212.

³ Т. И. Дешериева, Исследование вида временной системы в нахских языках, М., 1979, гв. 109.

ორედ ერთვის მასდარის დაბოლოება „ენ“.¹ მაგალითად ტუნ-არ-ენ (ბევრჯერ ჭამა) -სუნ-არ-ენ (ბევრჯერ სმა) და ა. შ. ლეზგიურ ზმნას აქვს შესაძლებლობა, მორფოლოგიურად გამოხატოს (ხიშ პრეფიქსებით) მოქმედების განმეორებითობა, რაც ზმნის მთელ სისტემას გასდევს. გ. თოფურია ამგვარ ფორმებს განმეორებითობის ფორმებს უწოდებს.

ბაცბური ზმნისათვის ასპექტის კატეგორია უძველესი მოვლენაა. იგი ბევრად რელიეფურადაა წარმოდგენილი ბაცბურში, ვიდრე სხვა ვეინახურ ენებში. „ბაცბური ენის უძველესი ასპექტები ანტონიმების ორ წყვილს წარმოადგენს, რომლებიც, შესაბამისად, საგნების (სუბიექტის ან ობიექტის) მხოლობითობა-მრავლობითობას აღნიშნავს. ეს არის ანტონიმების პირველი „ასპექტური წყვილი“. ანტონიმების მეორე „ასპექტური“ წყვილი მოქმედების ერთჯერადობასა და მრავალჯერადობას აღნიშნავს“.² ბაცბურში საგნის მხოლობითობისა და მრავლობითობის გამოხატვა ზმნური ფუძის ცვლილებით ხდება, მაგალითად, *аага* (ერთის გაგდება) – *аахкiа* (ბევრის გაყრა). ასეთ ზმნათა რაოდენობა არც ისე ბევრია.

ი. დეშერიევს ბაცბური ზმნის უძველეს ასპექტურ კატეგორიად სწორედ მხოლობითობისა და მრავლობითის კატეგორია მიაჩნია, შედარებით გვიან მას მეორე ფენა ემატება. ეს არის ერთჯერადი და მრავალჯერადი მოქმედების გამოხატვა. ზმნები, რომლებიც მხოლობითისა და მრავლობითის ელფერს ატარებდნენ, ფუძისეული ხმოვნის ცვლილებით აწარმოებენ ერთჯერად და მრავალჯერად ასპექტს. ამრიგად, „ბაცბური ენის ერთჯერადი და მრავალჯერადი ასპექტის საფუძველში დევს არა განგრძობითობა, არამედ მხოლობითი (ერთჯერადი) მოქმედების დაპირისპირება მრავლობით (მრავალჯერად) მოქმედებასთან, რომელიც უცილობლად ზმნის ასპექტთანაა დაკავშირებული“;³

1 გ. თოფურია, ლეზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები, თბ., 1959, გვ. 86-87.

Ю. Ю. Дешериев, Бачбийский язык, М., 1953, гв. 135.

Ю. Д. Дешериев, იქვე 1953, гв. 133.

ზმნის ასპექტის სრულობისა და უსრულობის მიხედვით გარჩევა კი ბაცბურ ენაში არ დასტურდება. იგი დროის ნიშან-თვისებაა. დროის ერთ ენობრივ ფორმებს შეუძლია მოქმედების სისრულე გამოხატოს, მეორე ფორმებს კი უსრულობის აღნიშვნა ევალება.

ს. ჰაიდაკოვი ასპექტური თვალსაზრისით განიხილავს დაღესტნურ ენებს. იგი მოქმედების სახესაც გამოყოფს და აღნიშნავს: მოქმედების სახის ზმნურ კატეგორიას ამ ენებში ყველაზე ხშირად მოქმედების სიხშირესთანა აქვს საქმე, სადაც ერთჯერადი, ერთფაზიანი მოქმედება (*verba singularia tantum*) უპირისპირდება მრავალჯერად, მრავალფაზიან მოქმედებას (*verba pluralia tantum*). ერთფაზიანი მოქმედება ხასიათდება გრძლიობის უქონლობითა და საზღვრის ქონით, ხოლო მრავალფაზიანი მოქმედება, თავის მხრივ, დროში გრძლიობის ქონითა და საზღვრის უქონლობით გამოირჩევა. მაგალითად, ლაკურ ზმნაში მრავალფაზიან მოქმედებას „ლ“ აფიქსი გამოხატავს, რომელიც ყოველთვის ძირის შემდეგ დაისმის: *насл-анна* (ხშირად ავიღებ ხოლმე).

დაღესტნურ ენებში „ასპექტის კატეგორიაში ერთფაზიანი მოქმედება, როგორც სრული ოპოზიციის წევრის ერთადერთი კომპონენტი, რეზულტატის მაჩვენებელია და, პირიქით, მრავალფაზიანი მოქმედება ასპექტური ოპოზიციის მეორე წევრს წარმოადგენს, სტატუსით „დაუსრულებელი მოქმედება“.¹

განსხვავებული ვიარებაა დარგუული ენის ზმნაში, რომელშიც ასპექტური კორელაცია გრძლივი და არაგრძლივი მოქმედების დაპირისპირებაში მდგომარეობს. რაც შეეხება სრულობა-უსრულობას, იგი დროის ფორმების განსაკუთრებული ფორმატივებით გადმოიცემა, მაგალითად, სიტყვაში *сущн* (დაჭერა) არაგრძლიობას უჩვენებს სიტყვის ფუძე *сущ*, ხოლო წარსული დროის ფორმატივი -*н* მას სრული მოქმედების შინაარსს აძლევს.

დარგუული ენის ზმნის ასპექტთან უცილობელი კავშირი აქვს ასპექტურ აფიქსებს. „ასპექტური აფიქსები – ეს თანხ-

¹ С. М. Хайдаков, Система глагола в дагестанских языках., М., 1975, გვ. 40.

მოვანი ფონემებია, რომლებიც ძირის შემდეგ დგას".¹ მაგალითად, წარსული დროის არაგრძლივი ასპექტის ფორმიდან ნყ-ა-ინ (იჭერს) ინარმოება წარსული დროის გრძლივი ასპექტის ფორმა ნყ-რ-ა-ინ.

კავკასიური ენების მოკლე და ზოგადმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ, განსხვავებით ინდოევროპული ენებისაგან, აქ ასპექტის სხვაგვარ ოპოზიციებსაც აქვს ადგილი, ისეთებს, როგორიცაა გრძლივი-არაგრძლივი, ერთჯერადი-მრავალჯერადი ასპექტების ურთიერთდაპირისპირება.

§ 4. ასპექტის კატეგორიის საკითხი XVIII-XIX საუკუნეების ქართველ გრამატიკოსებთან

თუმცა ასპექტური შინაარსის მატარებელი ზმნები მსოფლიოს ყველა ენაში დასტურდება, მორფოლოგიურ კატეგორიად ჩამოყალიბებული იგი მხოლოდ განსაზღვრულ ენათა ჯგუფებში გვხვდება.

ქართულში ასპექტი მკვეთრად გამოხატული გრამატიკულ-მორფოლოგიური კატეგორიაა, რომელიც უკვე უძველეს ქართულში არსებობდა.

XVIII საუკუნის პირველი ქართული სასკოლო გრამატიკიდან მოყოლებული, ქართული ასპექტისა და დროის მორფოლოგიური კატეგორიები ერთმანეთში იყო არეული, ან, უფრო ზუსტად, ასპექტის მორფოლოგიური კატეგორია დროის სისტემაში იჯდა.

1737 წელს გამოდის ზურაბ შანშოვანის „მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა“, რომელიც ვახტანგ VI-ის დაკვეთით დაუნერია ავტორს.

¹ С. М. Гасанова, Глагол в даргинском языке, Махачкала, 1961, გვ. 18.

ასპექტური თვალსაზრისით, ზემოთ დასახელებულ გრამატიკაში ბევრი არაფერია ნათქვამი, თუმცა ავტორს კარგადა აქვს შემჩნეული სუბიექტური და ობიექტური პირების მიხედვით უღლების განსხვავებულობა და ისიც, რომ ეს სხვაობა ზმნას სრულ დროშიც გასდევს, ე. ი. მისთვის „სრული“ დროის კატეგორიის კუთვნილებაა და არა ასპექტისა. ზ. შანშოვანი წერს: „სასამძღრო მყოფი სამოქმედო: ვბან ან მანი ვინის ალაგს, – ვითამ მე მბან, ხოლო ესრეთვე სრული: დამბანე. ვითარ ზემონერილ არს: დავბანე, ბანი ვინის ალაგს არს“.¹ ავტორი ანმყოს მწკრივის ეკვივალენტად ხმარობს ტერმინს „მყოფი“, ხოლო წყვეტილის ეკვივალენტად – „სრულს“ და შესაბამისი მაგალითებიც მოჰყავს:

მყოფი:	სრული:
ვჭამ	ვჭამე
ვსვამ	ვსვი
ვკნავ	მოვკან

მაგალითების მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზ. შანშოვანი ძველი ქართულის ვითარებას წარმოგვიდგენს, რადგან სწორედ ძველ ქართულშია გავლებული მკვეთრი საზღვარი პირველ და მეორე სერიას შორის სრულობა-უსრულობის მიხედვით, სადაც, როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, პირველი სერია ყოველთვის უსრულია, ხოლო მეორე სერია – ყოველთვის სრული.

ზ. შანშოვანისათვის არ არსებობს ცალკე აღებული ასპექტი, როგორც ზმნის ერთ-ერთი ძირითადი გრამატიკული კატეგორია. რადგან „მოკლე ღრამმატიკა“ ევროპულ ენათა გრამატიკების ყაიდაზე არის შექმნილი, ამიტომ მისთვის ასპექტის მორფოლოგიური კატეგორია შეუნიშნავი დარჩა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს კატეგორია იმდროინდელ ევროპულ გრამატიკებშიც არ განიხ-

¹ ზ. შანშოვანი, მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა, გამოცემული აღ. ცაგარელის მიერ, სანკტ-პეტერბურღი, 1881, სტამბა საიმპერატორო აკადემიისა მეცნიერებათა, გვ. 46.

ილება. რაც შეეხება ტერმინს – „სრული“, მას ავტორი დროის კატეგორიასთან მიმართებაში იყენებს და უღლილების მისეულ სისტემაში წარმოგვიდგენს:

სამოქმედო

მყოფი:	მარადის სრული:
ვენა ვენათ	მიქნია გვიქნია
ქნა ქნათ	გიქნია გიქნიათ
ქნას ქნან	უქნია უქნიათ
უსრული	ზესრული
მექნა გვექნა	მექნა გვექნა
გექნა გექნათ	გექნა გექნათ
ექნა ექნათ	ექნა ექნათ
სრული:	მყოფადი:
ვეენ ვექენით	ვიქ ვიქთ
ჰვენ ჰვენით	იქ იქთ
ქნა ქნეს	იქს იქმონენ

და ა. შ.

შემდეგი გრამატიკის, რომელიც ანტონ I-ს ეკუთვნის, მნიშვნელობა „არა მარტო იმით განისაზღვრება, რომ ეს არის პირველი სრული სასკოლო გრამატიკა, არამედ იმითაც, რომ მისი გავლენა შემდგომი დროის გრამატიკოსებზე დიდზე დიდი იყო და გრამატიკული აზრის განვითარება საქართველოში სრულად არ იქნება წარმოდგენილი, თუ ანტონის გრამატიკა გამონვლილვით არ იქნება შესწავლილი“.¹

¹ ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970, გვ. 3.

ანტონ კათალიკოსის გრამატიკის პირველი ვარიანტი 1753 წელს არის დაწერილი და მხითარ სებასტიელის სომხური გრამატიკის ძლიერ გავლენას განიცდის, მხ. სებასტიელის გრამატიკა კი, თავის მხრივ, ბერძნულ-ლათინური გრამატიკების მიხედვით არის შექმნილი.

ანტონის გრამატიკის მეორე რედაქცია, რომელიც 1767 წელს არის დაწერილი, პირველ რედაქციასთან შედარებით უფრო დაზუსტებული და გასწორებული ვარიანტია, ამიტომ ჩვენი მსჯელობა „ქართული ღრამატიკის“ მეორე ვარიანტს ეყრდნობა.

ანტონ I-ის ზემოთ დასახელებულ ნაშრომშიც ის საერთო ტენდენცია შეიმჩნევა, რაც ნითელ ზოლად გასდევს მთელ იმდროინდელ ქართულ გრამატიკებს - ესაა დროისა და ასპექტის სისტემების ერთმანეთში არევა.

ანტონ კათალიკოსი გამოყოფს მწკრივებს და ასპექტურ ტერმინებს ამ მწკრივებთან მიმართებაში იყენებს:

საზღურებითისა სქესისა ანმყოფ

მხოლობითად	ვანყენ	ანყენ	ანყენს
მრავლობითად	ვანყენთ	ანყენთ	ანყენენ

ნამყოფ უსრული

მხოლობითად	ვანყენდი	ანყენდი	ანყენდა
მრავლობითად	ვანყენდით	ანყენდით	ანყენდენ

ნამყოფ სრული

მხოლობითად	ვანყინე	ანყინე	ანყინა
მრავლობითად	ვანყინეთ	ანყინეთ	ანყინეს

ნამყოი სუსრულესი

მხოლობითად	მინყენიეს	გინყენიეს	უნყენიეს
მრავლობითად	გყნყენიეს	გინყენიესთ	უნყენიესთ

ნამყო უუსრულესი

მხოლობითად	მენყინა	გენყინა	ენყინა
მრავლობითად	გუმნყინა	გენყინათ	ენყინათ

მყოობადი

მხოლობითად	ვანყინო	ანყინო	ანყინოს
მრავლობითად	ვანყინოთ	ანყინოთ	ანყინონ. ¹

ანტონისათვის, როგორც ჩანს, ზემოჩამოთვლილი თითოეული საუღლებელი ერთეული მოცემული დროის კუთვნილებაა. ასპექტი, როგორც კატეგორია, ცალკე გამოყოფილი არ არის. „უსრული“, „სრული“, „უსრულესი“, „უუსრულესი“ მხოლოდ დროის აღმნიშვნელი ტერმინებია.

ანტონ კათალიკოსი ანმყოსა და მყოფად დროსთან სისრულესა და უსრულობას არ მიუთითებს. მისთვის ამ კრიტერიუმით გაირჩევა ნამყო დრო. ამ უკანასკნელს იგი დამატებითად ახასიათებს:

1. ნამყო უსრული
2. ნამყო სრული
3. ნამყო უსრულესი
4. ნამყო უუსრულესი

ჩამოთვლილი ტერმინები ევროპული გრამატიკებიდან არის გადმოტანილი. იქ ასპექტი ანუ სახე ცალკე კატეგორიად არ გამოიყოფა, მაგრამ მოქმედების უსრულობისა და სრულობის გამოხატვის შესაძლებლობა შემჩნეულია. ანალოგიურ ვითარე-

¹ ანტონ I, ქართული ღრამატიკა, გამოცემული აღ. ეპისკოპოსის საფასით, თბ., 1885, გვ. 48-19.

ბას ვანყდებით ანტონის გრამატიკაშიც. ავტორი ცდილობს, მოცემული ტერმინები ქართულ მასალას მიუსადაგოს. იგი თავის ნაშრომში არაერთგან იმეორებს, რომ ე-ს აქვს უნარი ზმნით გამოხატული მოქმედების დასრულებულობა უჩვენოს. პარალელურად კი აღნიშნავს, რომ ბოლოკიდურ ი-ს ნამყო მოქმედების გამოხატვა შეუძლია, მხოლოდ დაუმთავრებელის: ვჰგუშმდი და ვჰგუშმე ან ვიგუშმებოდი და ვიგუშმე. პირველი ნამყო უსრულის მაგალითია, ხოლო მეორე ნამყო – სრულის. ანტონი წერს: „ესე, სრულსა შინა განიკიდურებს ე, მაგალითებრ: ვჰშალე“, ან „ესე სრულსა შინა საშუალ შემოიყვანს ე და დაბოლოვდების უქმოთა მაგალითებრ: ვიხსენ“.¹

გრამატიკის მეორე ნაწილში, სადაც ძირითადად თეორიული მსჯელობაა მოცემული, ანტონ კათალიკოსი სრულობის ნიშნებს ჩამოთვლის: „ნიშანნი სრულისანნი არიან: 1. ა, მაგალითებრ: შეეკარ, განვჰყავ; 2. ე, მაგალითებრ, შევიყუარე და ვეც; 3. ოდა, მაგალითებრ: მჰსუროდა; 4. ი, მაგალითებრ: განვარდი; 5. უ, მაგალითებრ: აღვიხუ; 6. შ, მაგალითებრ: ვისურუშ, ვჰსძარცუშ; 7. ჯ, მაგალითებრ: დავადჯ; 8. ვდ და ოდესმე დ, მაგალითებრ: ვჰსდევდ, განცხდიდ, ვჰსონდ და სხუანი“.²

ანტონ კათალიკოსისათვის სრული დრო ნიშნების ამგვარი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ეს ნიშნები კი, რა თქმა უნდა, ვერ ასახავენ ქართულში არსებულ რეალურ ვითარებას ვერც დროის და ვერც ასპექტის კატეგორიის თვალსაზრისით. ხაზგასასმელია, რომ ასპექტი ანუ სახე, როგორც ცალკე აღებული გრამატიკული კატეგორია მის გრამატიკაში საერთოდ არ ჩანს.

„ანტონ I-ის გრამატიკამ დიდი გავლენა იქონია მომდევნო პერიოდის გრამატიკოსებზე. ანტონის შემდგომი დელი გრამატიკოსები: გაიოზი (1789), ვარლამ არქიეპისკოპოსი (1802), იესე ჩუბინაშვილი (1816), გ. ფირალოვი (1820), სოლ. დოდაშვილი (1830), თავიანთ გრამატიკებში, რომლებიც, როგორც ცნობილია,

¹ ანტონ I, ქართული გრამატიკა, გამოცემული ალ. ეპისკოპოსის საფასით, თბ., 1885, გვ. 60.

ანტონ I, დასახელებული ნაშრომი, გვ. 187.

ანტონის გრამატიკის საფუძველზეა შედგენილი, ანტონის გრამატიკის შემოკლებულ გამოცემას გვანვდიან".¹

1789 წელს გაიოზ რექტორმა, რომელიც XVIII საუკუნის თვალსაჩინო სახელმწიფოებრივი და საეკლესიო მოღვაწე, თელავის სემინარიის პირველი რექტორი, ნაყოფიერი მთარგმნელი და მკვლევარი იყო, კრემენჩუკში ყოფნისას დანერა თავისი ქართული გრამატიკა. „მისი წიგნი ქართული გრამატიკის პირველი სახელმძღვანელო იყო, ქართულ ენაზე დაბეჭდილი“.²

გაიოზ რექტორის „ქართული ღრამატიკა“ ასპექტურ-დროული თვალსაზრისით ზუსტად იმეორებს ანტონ პირველის გრამატიკას. „უმთავრესი უკუშ დრონი ზმნისანი არიან სამ: ანმყო, მყოობადი და ნამყოჲ, რომლისაგანცა ინარმოებიან ნამყო უსრული, ნამყო სრული, ნამყო უსრულესი და ნამყო უუსრულესი და ნ. მყოობადი“,³ სადაც ანმყო ახლანდელი დროის გამომხატველია (ვნერ, ვინერები). ნამყო უსრული-დანყებულ და შეუსრულებელ მოქმედებას გამოხატავს (ვჰსწერდი, ვინერებოდი), ნამყო სრული – „საქმესა შესრულებულსა“ (დავჰსწერე, დავინერე), ნამყო უსრულესი – „საქმესა ადრე შესრულებულსა“ (დამინერიეს, დანერილ ვარ), ნამყო უუსრულესი „საქმესა ძუმლსა“ (დამენერა, დანერილ ვიყავ), მყოფადი-მომავალში შესასრულებელ მოქმედებას ანუ „ყოფადსა“ (დავჰსწერო, დავინერო).

გაიოზ რექტორს „აქებს“ ზმნა მოჰყავს საილუსტრაციოდ და ამ ზმნით გამოხატული დროების განაწილებას იმ სისტემის მიხედვით ახდენს, რომელიც ზემოთ ჩამოვყალიბეთ.

¹ ილ. ცერცვაძე, ბრუნვათა საკითხი XVIII და XIX ს-ს. ქართველ გრამატიკოსებთან, კრ.: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, 1956, გვ. 460.

ელ. ნიკოლაიშვილი, გაიოზ რექტორი, ქართული ღრამატიკა, თბ., 1970, გვ. 18.

გაიოზ რექტორი, „ქართული ღრამატიკა“, თბ., 1970, გამომც. „მეცნიერება“, გვ. 69.

საზღვრებითისა სქესისა ანმყო

მხოლობითი	მრავლობითი
ვაქებ	ვაქებთ
აქებ	აქებთ
აქებს	აქებენ

ნამყოფ უსრული

მხოლობითი	მრავლობითი
ვაქებდი	ვაქებდით
აქებდი	აქებდით
აქებდა	აქებდენ

ნამყოფ სრული

მხოლობითი	მრავლობითი
ვაქე	ვაქეთ
აქე	აქეთ
აქო	აქეს

ნამყოფ უსრულესი

მიქიეს	გუქიეს
გიქიეს	გიქიესთ
უქიეს	უქიესთ

ნამყოფ უუსრულესი

მექო	გუმქო
გექო	გექოთ
ექო	ექოთ

მყოობადი

ვაქო	ვაქოთ
აქო	აქოთ
აქოს	აქონ. ¹

გაიოზ რექტორი თავის ნაშრომში 6 „უღლულებას გამოყოფს, ხოლო ამ უღვლილებებში ცალ-ცალკე გვაძლევს „შემოქმედებით“, „ვნებით“, „უმემუშობით“ ზმნათა უღლების მაგალითებს.² იგი, ანტონ პირველის მსგავსად, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ბოლოკიდური ე ზმნას სრული მოქმედების გამოხატვის უნარს ანიჭებს; მაგრამ აშკარაა, რომ სრულობის შინაარსი მას აორისტიის მწკრივის თანამდეგ შინაარსად მიაჩნია, ამიტომ აქ „ნამყო“ და „სრული“, ორი განსხვავებული მორფოლოგიური კატეგორიის ტერმინები, ერთად ახასიათებს მხოლოდ დროის მორფოლოგიურ კატეგორიას.

ვარლაამ არქიეპისკოპოსის „მოკლე ქართული გრამატიკა“, რომელიც რუსულ ენაზე გამოიცა 1802 წელს, ასპექტური თვალსაზრისით ახალს არაფერს ამბობს. იგი ზუსტად იმეორებს წინა თვალსაზრისებს ამ საკითხთან დაკავშირებით.³

გ. ფირალოვის „თვთ მასწავლებელი“, რომელიც ასევე სანქტ-პეტერბურგშია გამოცემული, ავტორს ორ ენაზე შეუსრულებია. ერთი სვეტი რუსულია, ხოლო მეორე – მისი პარალელური – ქართული. ყურადღებას იქცევს დროის კატეგორიის მისეული დიფერენციაცია, რადგან ნამყო დროის ერთ-ერთ შიდა სადიფერენციაციო ნიშანს ერთჯერადობა-მრავალჯერადობის გამოხატვა შეადგენს.

გ. ფირალოვი 4 ნამყო დროს გამოყოფს: „ა. ნამყო-უსრული განუსაზღვრებელი; ბ. ნამყო-უსრული-ერთკეცი; გ. ნამყო უს-

¹ გაიოზ რექტორი, ქართული ლრამმატიკა, გვ. 74-78.

იქვე, გვ. 74-78.

ვარლაამ არქიეპისკოპოსი, მოკლე ქართული გრამატიკა, 1802, ს-პეტერბურლი.

რულესი; დ. ნამყო უსრულესი მრავალკეცი; და იქვე განმარტავს: „ნამყო უსრული ერთკეცი გამოხატავს მოქმედებას, ანუ ვნებასა ნივთასა ერთ-გზის ოდენ წარმოებულსა, გარნა არა სრულ-ყოფილსა, მაგალ.: შევსძარ, ვრეკე ან მეზრ სხვანი“, ან „ნამყო უსრულესი მრავალ-კეცი ჰნიშნავს მოქმედებას, ანუ ვნებასა ნივთასა ადრევე შესრულებულსა, მაგალ.: დამინერიეს, შემიძრავს და მეზრ სხვანი“.¹ პირველ შემთხვევაში მეორე სერიის წყვეტილის ფორმებია ილუსტრირებული, ხოლო მეორე შემთხვევაში ავტორს თურმეობითის ფორმები აქვს მიჩნეული მრავალჯერადი მოქმედების გამომხატველად.

მიუხედავად ზემომოცემული განმარტებებისა, გ. ფირალოვი თითქოს შიშობს ახალი ტერმინების შემოტანას და სიფრთხილისათვის სქოლიოში მიგვითითებს: „ქართულსა ღრამმატიკასა შინა ერთ-კეცი და მრავალ-კეცი დროჲ არა არსო“.²

არც სოლ. დოდაშვილის „შემოკლებულ ქართულ გრამატიკასა“³ და არც პლ. იოსელიანის ნაშრომში, რომელსაც ეწოდება „პირუშლ-დანყებითნი კანონი ქართულისა ღრამატიკისა“⁴ ასპექტი, როგორც დამოუკიდებელი მორფოლოგიური კატეგორია, არ განიხილება. ისინი წინამდებარე გრამატიკების მსგავსად სრულობისა და უსრულობის ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ შინაარსებს დროის კატეგორიის განმარტებისას იყენებენ.

პირველი გრამატიკოსი, რომელიც რუსულ და ევროპულ გრამატიკებზე დაყრდნობით, ასპექტის კატეგორიის ცალკე გამოყოფა მოახდინა, დიმ. ყიფიანი იყო. მან რუსული „Видъ“ კალკირებულად თარგმნა და ქართულად „სახე“ უწოდა. იქვე მიუთითა მის ფრანგულ შესატყვისზე – „l'aspect“.

ამ ავტორის ნაშრომშიც ის საერთო ტენდენცია შეიმჩნევა, რასაც მანამდე არსებულ ქართულ გრამატიკებში ვხვდებით

¹ გ. ფირალოვი, თვთ მასწავლებელი, სანკტ-პეტერბურგი, 1820, გვ. 56-57. იქვე, გვ. 57-58.

² სოლ. დოდაშვილი, შემოკლებული ქართული გრამატიკა, ტფ., 1830. პლ. იოსელიანი, პირუშლ-დანყებითნი კანონნი ქართულისა ღრამატიკისა, ტფ., 1963.

ასპექტის კატეგორიასთან დაკავშირებით. დიმ. ყიფიანმა, მართალია, სახის კატეგორიის 5 საკორელაციო ერთეული გამოყო, მაგრამ იქვე მიუთითა, რომ ისინი დროის კატეგორიის საოპოზიციო ერთეულებიც არიან:

1. „გავლილი გაუთავებელი“ ანუ „ნამყო უსრული“
2. „გავლილი გათავებული“ ანუ „ნამყო სრული“
3. „გავლილი დიად გათავებული“ ანუ „ნამყო უსრულესი“
4. „გავლილი ერთგზისი“
5. „გავლილი მრავალგზისი“.¹

ხოლო ზმნათა „მიმოხერის“ დროს სრულობა-უსრულობა კვლავ თან ახლავს დროის მორფოლოგიური კატეგორიის კორელაციის წევრთა აღმნიშვნელ ტერმინებს.

მომდევნო გრამმატიკოსი პ. კვიციარიძეა, რომლის „ქართული სწორმეტყველება“ ასპექტის საკითხის დამუშავების სიღრმით გამოირჩევა. მისი ნაშრომი, ამ თვალსაზრისით, ბევრად წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

პ. კვიციარიძე წერს: „ზმნას აქვს ერთი ფორმა, რომლითაც მას შეუძლია ცხადად გამოხატოს მოქმედების ხანგრძლიობა თუ ხანმოკლეობა. ეს ფორმა არის სახე, რომელიც აქვს ქართულ ზმნას ოთხი, შემდეგი:

გაუთავებელი – გვიხატავს მოქმედებას ხანგრძლივად სადმე წარმოებულს, თუ სანარმოებელს, შეუწყვეტლივ (ვქადაგობდი), გაუთავებლის მოპირისპირე სახე არის გამთავე, რომელიც გვიჩვენებს მას, რომე მოქმედება დაწყებულა კიდეც და შესრულებულა კიდეც, ან უეჭველათ უნდა დაიწყოს და დამთავრდეს კიდეც (ავაშენეთ)... თუ ზმნა აღნიშნავს ერთჯამიერს რასმე მოქმედებას, მაშინ იგი, არის ერთგზობითი სახისა (ვაშენე). აქ არ ჩანს და არც საჭიროა – გათავებულია, თუ გაუთავებელი მოქმედება, ჩანს მხოლოდ, რომ იგი წარმოობდა წარსულს დროში და ამით ეს სახე ემსგავსების გამთავე სახეს...

¹ დიმ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამმატიკა, სანკტ-პეტერბურდი, 1882, გვ. 69-70.

თუ ზმნა გვიხატავს არა ერთ გზობითად, არამედ რამდენჯერმე გამეორებულს მოქმედებას (თუ მდგომარეობას), მის წარმოშობას არ განიადაგებულს, არამედ ხანგამოშვებითს, მაშინ იგი, ზმნა, არის მრავალგზობისი სახისა“.¹

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, პ. კვიციარიძისათვის „სახე“ ზმნისათვის დამახასიათებელი კატეგორიაა, რომელიც ცალკე განიხილება: „ეს სახე უცხო ენებში წარსული დროის ზმნებს აქვს, ხოლო ქართული ზმნა ხმარობს სამსავე დროში. წარსულშიაც, აწმყოშიაც და მყოფადშიაც“.²

პ. კვიციარიძეს კარგადა აქვს შენიშნული ხოლმეობითის მანარმოებელი -ი სუფიქსის არსებობა და შესაბამისი მაგალითებიც მოჰყავს ძველი ქართულიდან. „ამ ფორმას ახალი მწერლები ჭირსავეთ ერიდებიან, თითქოს ზოგჯერ უმისობა შეიძლებოდეს;“ხოლო, როცა ზმნას მრავალგზობისობის გამომხატველი -ი ნიშანი არ მოსდევს, მას ერთის „საყურსი სიტყვა ხვალმე, ანუ ფონეტიკურად გასახიერებული ხოლმე“.³

როგორც ვნახეთ, პ. კვიციარიძის „ქართული სწორმეტყველება“ მართლაც მნიშვნელოვანია ასპექტის კატეგორიის დამუშავების თვალსაზრისით, რაც სწორმეტყველების სახელმძღვანელოს შემდგენლის მეცნიერულ წვდომასა და ანალიზის უნარზე მეტყველებს.

1894 წელს გამოდის ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლის ანდრია სიმ. ბენაშვილის „მოკლე ქართული გრამატიკა“, რომელშიც სახე გაგებულია უკვე, როგორც ცალკე მდგომი მორფოლოგიური კატეგორია. „ზმნასა აქვს ორი სახე, - წერს ავტორი, - ა) სრული; ბ) უსრული.

სრული სახე გვიჩვენებს, რომ მოქმედება გათავებულია, მაგ.: დავხატე, დაჰხატა, დავხატეთ, დაჰხატეს და სხვ.

¹ პ. კვიციარიძე, ქართული სწორმეტყველება, ტფ., 1888, გვ. 123.

იქვე, გვ. 124.

² იქვე, 125-126.

უსრული სახე გვიჩვენებს, რომ დაწყებული მოქმედება ჯერ არ გათავებულა, მაგ.: ეხატავ, ჰხატავ, ჰხატავს, ეხატავთ, ჰხატავთ, ჰხატავენ¹.

ანდრია სიმ. ბენაშვილის გრამატიკა მოცულობით ძალიან მცირეა, ამიტომ ასპექტთან დაკავშირებით სხვა ინფორმაციას არ შეიცავს.

რაც შეეხება მოსე ჯანაშვილს,² მას უკვე ცნობილ ტერმინთან „სახესთან“ ერთად შემოაქვს ახალი ტერმინი, რომელსაც უწოდებს „სახეობანი“. ამ უკანასკნელს იგი საოპოზიციო ელემენტებთან მიმართებაში ხმარობს. მ. ჯანაშვილისათვის „სახე“ ზოგადად ასპექტის კატეგორიაა, ხოლო „სახეობა“ კი მისი შემადგენელი ერთეული. ავტორი 3 სახეობას გამოყოფს: 1. დასაწყისი, 2. სიგრძე და 3. დასასრული მოქმედებისა, ხოლო მაგალითები ისეა განანიღბებული, რომ დასაწყის მოქმედებაში ანმყოს ფორმები შედის, სიგრძეში-უნწყვეტლისა, ხოლო დასასრულში – ნყვეტილის.

მ. ჯანაშვილის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან მოქმედების გრძლიობა სამართლიანად მიიჩნია ასპექტის კატეგორიის განხილვის ობიექტად. იგი შეეცადა, გარკვეული მასალის საფუძველზე გრძლიობის მიხედვით გაემიჯნა და ცალ-ცალკე წარმოედგინა ქართულში არსებული მასალა. ასპექტის კატეგორიაზე საუბრის დასასრულს, ავტორი ჩამოთვლის უსრული და სრული სახის მაგალითებს მასდარებში და, თუმცა არ გახაზავს იმ ფაქტს, რომ სრული სახე – ზმნისწინიან, ხოლო უსრული უზმნისწინო ფორმებს საჭიროებს, ამ პრინციპით აღაგებს ზმნებს და შესაბამისად მასდარებსაც, მაგალითად:

სახე უსრული:

ჭრა	ჭამა
ხტომა	კითხვა
ჯდომა	წოლა

¹ ანდრია სიმ. ბენაშვილი, მოკლე ქართული გრამატიკა, ტფ., 1894, გვ. 20.
მოსე ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფ., 1906.

სახე სრული:

მოჭრა	ნაკითხვა
გადახტომა	დანოლა ¹
დაჯდომა	და სხვ.
შეჭმა	

უსრული და სრული ასპექტების განსხვავებისას ზმნისწინის მნიშვნელოვან როლს უკვე კარგად შენიშნავს მომდევნო გრამატიკოსი სილოვან ხუნდაძე. იგი წერს: „უსრული სახის ზმნები უმეტეს წილად უთავსართოა (ვწერ, ვკითხულობ, ვაშენებ), სრული სახის კი – თავსართიანი (დავწერე, წავიკითხე, ავაშენე)“.²

როგორც ვნახეთ, ყველა განხილული გრამატიკა თავისებურად საინტერესო და ანგარიშგასაწევია ასპექტის მორფოლოგიური თუ სემანტიკური კატეგორიის შინაარსებისა და მათი ფორმების დადგენისათვის, ამიტომ ძალზე დიდია მათი ავტორების ღვაწლი და დამსახურება XX საუკუნის ქართული ენათმეცნიერული აზრის განვითარებასა და მის საბოლოო ფორმირებაში.

¹ მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფ., 1906, გვ. 52-53.

² ს. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა, ქუთაისი, 1907, გვ. 53.

ასპექტის კატეგორია ქართულში

§ 1. ასპექტის კატეგორია ძველ ქართულში

სიტყვათფორმების უპირველეს კლასიფიკაციას ენის მთელი ლექსიკური მარაგის მეტყველების ნაწილებად დაყოფა შეადგენს, რომელსაც ლექსიკურ-გრამატიკული დიფერენციაცია უდევს საფუძვლად.

„ზმნა, როგორც მეტყველების ნაწილი, თავის მხრივ, მორფოლოგიურად დახასიათებულ ლექსეშებს აერთიანებს. ეს განსხვავება მიმდინარე პროცესის დროში, ასპექტში, რიცხვში, ქცევა-სა და სხვა, თითოეული ენისათვის სპეციფიკურ მორფოლოგიურ კატეგორიებში გამოიხატება. ბევრი მეცნიერის აზრით, ზმნის, როგორც მეტყველების ნაწილის, გამოყოფის არც მორფოლოგიური და არც სინტაქსური საფუძველი არ არსებობს, თუ არ გავითვალისწინებთ წმინდა შინაარსობლივ მომენტს, რომელიც „პროცესის“ ნიშნის არსებობას გულისხმობს“.¹

ზმნა, თავისი ბუნებით, ყოველთვის საუწყებელი ფაქტის გადმოცემას უკავშირდება, ხოლო თუ როგორია ეს საუწყებელი ფაქტი, გვიჩვენებს იგი მოქმედებას ან მდგომარეობას, თუ მოქმედების ან მდგომარეობის განსხვავებულ სახეებს აღნიშნავს, ამისდა მიხედვით ხდება შიდაზმნური კლასიფიკაცია.

ასპექტი ქართული ზმნის ერთ-ერთი ძირითადი და უძველესი მორფოლოგიური კატეგორიაა. მოქმედების მიმდინარეობს ასპექტურ შინაარსს ზმნის მთელი სისტემა მოიცავს.

¹ И. Г. Милославский, Морфологические категории современного русского языка, М., 1981, გვ. 153-155.

თანამედროვე ქართველ ენათმეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ასპექტთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება, თანაბრად მიდის იმ დასკვნამდე, რომ „დროის კატეგორია შექმნილია გაცილებით უფრო გვიან ასპექტის კატეგორიის ნიადაგზე. უღვლილება ასპექტების ცვლაში მდგომარეობდა“ და რომ „ენა მაშინ ცდილობდა ეჩვენებინა არა იმდენად დრო, რამდენადაც განგრძობითობა“,¹ ამიტომ ქართული ენის განვითარების მოცემულ ეტაპზე გაირჩეოდა ორი ასპექტი: განგრძობითი (დიურატიული), რომელსაც პერმანსივი გამოხატავდა და მომენტობრივი (ნერტილებრივი) ასპექტი, რომელიც აორისტის გამოხატვის სფეროში შედიოდა.

ასპექტური ოპოზიციის ზემოდასახელებული სისტემა ქართული ენის უძველესი ხანისათვის ივარაუდება. „ცხადია, ასპექტის კატეგორია დროის კატეგორიის ჩამოყალიბების შემდეგაც განაგრძობს არსებობას, მაგრამ ამიერიდან იგი დროის, კილოსა სხვა ზმნურ კატეგორიებთან ერთად მონაწილეობს მწკრივთა წარმოებაში და ამიტომ გრამატიკული შინაარსი საგრძნობლად იცვლება იმ პერიოდისათვის, რა დროიდანაც ქართული ენის წერილობითი ძეგლები მოგვეპოვება და მისი ვითარება დოკუმენტურად არის დადასტურებული, ზმნაში უკვე გარჩეულია ის ძირითადი გრამატიკული კატეგორიები, რომელთაც დღევანდელ ქართულში გამოვყოფთ, მათ შორის – ასპექტიც და დროც“.²

აღამიანთა აზროვნების საერთო პრინციპების გათვალისწინებით, რომელიც თავდაპირველ ეტაპზე ამ აზროვნების პრიმიტიულ დონეს გულისხმობს, რომელიც, თავის მხრივ, პირდაპირ კავშირში იმყოფება ენობრივი გამოხატვის სისტემასთან, სავარაუდებელია მარტივი და იმავდროულად ზოგადი შინაარსის შემცველი გრამატიკული კატეგორიების არსებობა.

მართლაც, დიურატიულობას, რომელიც ზმნით აღნიშნული მოქმედების განგრძობით, პროცესურ მიმდინარეობას გულისხ-

¹ არნ. ჩიქობავა, პერმანსივის (ხოლმეობითის) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, სმამ, IV, № 1, 1943, გვ. 92-93.

² ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986, გვ. 13.

მობს, შეეძლო, ლოგიკურად შეეთავსებინა სხვა ასპექტური შინაარსებიცა და, რაც მთავარია, ანმყო დროის შინაარსიც. ასეთივე მდგომარეობა იყო მომენტობრივი ანუ შეწყვეტილი მოქმედების შემთხვევაში, იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელი ნარსულში ჩადენილი მოქმედების რაგვარობას გამოხატავდა.

დიურატიული შინაარსის უსრულ შინაარსამდე, ხოლო მომენტობრივის სრულამდე გადააზრიანების გრძელ ისტორიულ მონაკვეთში ქართულმა ენამ ასპექტის მორფოლოგიური კატეგორიის ფორმობრივი გამოხატვის სფეროში სისტემური ცვლილებები განიცადა.

„სრული და უსრული ასპექტის დაპირისპირება... ძირითადია დღევანდელ ქართულში. დანარჩენი ასპექტები შედარებით მკრთალად არის გამოხატული და მეორეხარისხოვან როლს ასრულებს (განსაკუთრებით ეს ითქმის ერთგზისობა-მრავალგზისობის შესახებ)“.¹

რადგან ასპექტის მორფოლოგიური კატეგორია თავისი წარმოშობით უძველესია და წინ უსწრებს დრო-კილოთა ჩამოყალიბებას, ამიტომ ძველი ქართული უკვე ის ეპოქაა, როცა ასპექტი თავისი გამოხატულების პლანით დრო-კილოთა სისტემაშია შერეული და განვლილი რთული პროცესების შედეგს წარმოადგენს. „ძველ ქართულში, – აღნიშნავს აკ. შანიძე, – ასპექტი უღლების კატეგორია იყო და მწკრივში შედიოდა, როგორც მისი ელემენტი“.²

ეფიქრობთ, ასპექტის უძველესი მორფოლოგიური კატეგორიას კორელაციის წევრთა ფორმობრივი განსხვავება ქართულ ენაში ზმნურ ფუძეთა ურთიერთდაპირისპირებაში მდგომარეობდა.

აბლაუტური ხმოვანმონაცვლეობა, როგორც საერთო-ქართველური მოვლენა, საფუძვლიანადაა შესწავლილი თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის შრომაში „სონანტთა სისტემა და აბ-

¹ გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბ., 1974, გვ. 121.

აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 266.

ლაუტი ქართველურ ენებში“, სადაც იგი კომპლექსურ ანუ მორფოლოგიურ მოვლენადაა მიჩნეული და მისი არსებობა საერთო ქართველურ ენობრივ დონეზე არის ნავარაუდები.¹

აბლაუტი სხვადასხვა სტრუქტურის ენებში დასტურდება, ხოლო ქართულში აბლაუტური ხმოვანთმონაცვლეობის საუკეთესო ილუსტრაციას ე. ნ. ფუძედრეკადი ზმნები წარმოადგენს. ისინი ძველი ქართულიდან დღემდე ანმყო-აორისტის დაპირისპირებას ქმნიან.

რადგან ძველი ქართულის ასპექტური სისტემა სწორედ ანმყო-აორისტის დაპირისპირების პრინციპს ეყრდნობა, შესაძლებელია, საერთო-ქართველური ენის არსებობის პერიოდში: ვ-დრეკ, ვ-ფლეთ, ვ-ხვრეტ... – ფორმები (გრძლობის -ი სუფიქსის გარეშე) დიურატიულ ასპექტს გამოხატავდა, ხოლო მათი ასპირისპირო ვ-დრიკ-ე, ვ-ფლით-ე, ვ-ხვრიტ-ე... ფორმები კი – ნყვეტილ, მომენტობრივ მოქმედებას.

ძველი ქართულის ვითარება კი პირდაპირი შედეგია იმ მდგომარეობისა, რომელიც საერთო-ქართველური ენობრივი დონისათვის შეიძლება ვივარაუდოთ ასპექტის მორფოლოგიური კატეგორიის გამოხატვის საკითხში.

სისტემა, რომელიც ძველი ქართულის წერილობით ძეგლებშია წარმოდგენილი „ტიპობრივად სულ სხვაა, ვიდრე ის, რასაც დღეს დღეს ვხედავთ ქართულში. სერიების დაპირისპირების პრინციპი, რომელიც ძველ ქართულშია გატარებული, მოგვაგონებს ბერძნულს, რომელშიც ანმყოსი და აორისტის თემები უპირისპირდება ერთმანეთს: ანმყოს თემა მასთან დაკავშირებული მწკრივებითა და უუღლებელი ფორმებით (ინფინიტივით, მიმღეობით) უსრული ასპექტისაა, აორისტისა კი (მისი მიმყოლი ფორმებითურთ: მწკრივებით, ინფინიტივით, მიმღეობით) – სრულისა“.²

¹ თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 176-173.

² აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 268.

ასპექტის სისტემის ძირეული ცვლილება, საყოველთაოდ მიღებული მოსაზრებით, ახალი ქართველი ენის პირველ ეტაპზე დაიწყო. სრული ასპექტის გამოხატვა ზმნისნიანი ფორმების მეშვეობით ხორციელდება. ძველი ქართული ენის მასალაზე დაყრდნობით ირ. ვეშაპიძე განმარტავს: „ზმნისნი ენოდება ზმნის თავში დართულ ნაწილს, რომელიც გვიჩვენებს მიმართულებას (გეზსა და ორიენტაციას), ადგილმდებარეობას და ცალკეულ შემთხვევებში ზმნის ფუძისაგან აწარმოებს განსხვავებული შინაარსის სიტყვებს“, ამიტომ „ახალ ქართულში წარმოდგენილ ზმნისნინთა უძველესი ფუნქციაა მიმართულების აღნიშვნა“.¹

ზმნისნინთა დასახელებულ ფუნქციებს მოგვიანებით სრული ასპექტის გამოხატვის ფუნქციაც დაერთო, რამაც კიდევ უფრო გააფართოვა და გაართულა მათი ფუნქციური არეები.

ასპექტის მორფოლოგიური კატეგორია პრევერბიან წარმოებაზე დაყრდნობით ასპექტური კორელაციის თანამედროვე სურათს ქმნის, რაც არსებითად განსხვავდება ძველი ქართულის ასპექტური სისტემისაგან.

ძველ ქართულში ასპექტის გამოხატვის საკითხში „ზმნისნინს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ერთვოდა იგი ზმნას თუ არა, სულ ერთი იყო. პირველი სერიის ფორმები უსრული იყო და მეორე სერიისა – სრული. ასპექტი ძველ ქართულში უღლების კატეგორიაა“, – წერს აკ. შანიძე.² მართლაც, პრევერბების როლი ძველ ქართულში ასპექტის გამოხატვის თვალსაზრისით მინიმალურია: „ამჟნებს და აღამჟნებს ასპექტის (და დროის) თვალსაზრისით არ განსხვავდებოდა – ორივე უწყვეტელ (განგრძობითს) ასპექტს (და ანმყო დროს) გამოხატავდა“.³

ძველ ქართულში ასპექტის მორფოლოგიურ კატეგორიას საკუთარი ფორმოობრივი გამოხატულება არ გააჩნდა. ასპექტის

¹ ირ. ვეშაპიძე, ზმნისნი ძველ ქართულ ენაში, თბ., 1967, გვ. 26.

აკ. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 68.

გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, კრ.: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბ., 1974, გვ. 122.

მორფოლოგიური კატეგორიის მთლიანი სემანტიკური პოტენ-
ციალი დრო-კილოთა უღლების სტრუქტურული სისტემით გად-
მოიციემა.

აკ. შანიძის მიერ ჩამოყალიბებული დრო-კილოთა უღლი-
ლების საერთო სურათი, ასპექტის თვალსაზრისით, ასე გამოი-
ყურება.¹

პირველი სერია უსრული ასპექტი

1. ანმყო: ადიდება.
2. ანმყოს ხოლმეობითი: ადაიდებს
3. უწყვეტელი: ადიდება
4. უწყვეტლის ხოლმეობითი: ადიდებადის
5. პირველი ბრძანებითი: ადიდებადინ
6. პირველი კავშირებითი (პირველი მყოფადი): ადიდებადეს

მეორე სერია სრული ასპექტი

1. წყვეტილი: ადიდა
2. ხოლმეობითი: ადიდის
3. მეორე ბრძანებითი: ადიდე
4. მეორე კავშირებით (მეორე მყოფადი): ადიდოს

რამდენადაც ნებისმიერი მორფოლოგიური კატეგორია სე-
მანტიკური და ფორმობრივი ელემენტების განუყოფელ სინთეზს
წარმოადგენს, აუცილებლად მიგვაჩნია ასპექტის მორფოლოგი-
ური კატეგორიის როგორც ერთი, ისე მეორე მხარის განსაზ-
ღვრა.

რა შინაარსი უდევს საფუძვლად ასპექტის მორფოლოგიურ
კატეგორიას ძველ ქართულში?

¹ აკ. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 69-70.

რადგან ზმნა, საერთოდ, პროცესის ნიშნის ჩვენებას ემსახურება, თავისთავად ცხადია, რომ ასპექტური შინაარსი ამ პროცესს რაიმე ზოგადი ან კონკრეტული ნიშნის მიხედვით უნდა ახასიათებდეს.

ნებისმიერი პროცესი დროში მიმდინარეობს, ამიტომ ის უნდა განვიხილოთ, როგორც რაღაც გრძლიობა, რომლის სანყისი და სასრული განუსაზღვრელია ისევე, როგორც დრო და სივრცე. ენა, რომელიც ადამიანის ლოგიკური აზროვნების დემონსტრირებას წარმოადგენს, ვერ იგუებს მოქმედების პროცესის ამგვარ განზოგადებას. მოსაუბრე პირისათვის ზმნით გამოხატული პროცესი გარკვეულ საზღვრებში ჯდება და ეს საზღვარი პირობითი, შინაგანი საზღვარია.

აქედან გამომდინარე, ასპექტური შინაარსი როგორც ძველი, ისე ახალ ქართულში მიმდინარე მოქმედების პირობით შეწყვეტას ან მის შეუწყვეტელობას გულისხმობს.

ძველ ქართულში ასპექტური სემანტიკა ერთი ზმნის შიგნით ორ ძირითად, ურთიერთდაპირისპირებულ შინაარსობრივ რგოლს წარმოადგენს, რომლებიც მოქმედებას ანუ პროცესს დასრულებული ან დაუსრულებელი სახით გამოხატავს. ასპექტის კატეგორიის სემანტიკური განსაზღვრის მთავარი სადიფერენციაციო ნიშნები სრული და უსრული მოქმედების დროსა და სივრცეში მიმდინარეობის ჩვენებაა.

თუ ზმნურ პროცესს ხაზოვანი მოქმედების სახით წარმოვიდგინებთ, შეწყვეტილი მოქმედების შემთხვევაში მისი სქემატური სახე ასეთი იქნება:



სრული და უსრული ასპექტის სემანტიკური განსაზღვრისათვის საჭიროდ მივიჩნით ისეთ ცნებათა შემოტანა, როგორებიცაა: პირობითი სანყისი, მოქმედების მიმდინარეობის პროცესი და სასრული. აქედან, პირველი მათგანი – პირობითი სანყისი – გულისხმობს მოქმედების სანყის მომენტს, რომელიც მოსაუბრე პირის მიერ, ჩვეულებრივ, არ აღინიშნება, მაგრამ იგი სემანტიკურადაა კოდირებული, მაგ.: ზმნები აღაშენა, განვლო, შთააგდო და სხვა თავის თავში ინახავს იმ სემანტიკურ ნიშანს, რომელიც დასახელებული მოქმედებების სანყისს გულისხმობს. რაც შეეხება მოქმედების მიმდინარეობის პროცესს, იგი მოქმედების ის ნაწილია, რომელიც დასაწყის და დასასრულ მოქმედებას შორის ძევს და ამ მოქმედების გრძლიობას, მის განვითარებას ანუ ზოგადად პროცესს გამოხატავს; მესამე ცნება მოქმედების სასრული კი გვიჩვენებს სუბიექტის მიერ ჩადენილი მოქმედების ბოლო ფაზას, ე. ი. მის დასასრულს.

ზემოთ მოცემულ სქემაში მოსაუბრე პირის მიერ მოქმედების შეწყვეტის აღნიშვნა იგულისხმება, რასაც ძველ ქართულში ნყვეტილის მწკრივის ფორმები გამოხატავს, მაგალითად:

და რაჟამს გამოასხა ჟრი იგი, შევიდა და უპყრა კელი მისი და აღადგინა ქალი იყგი: მათე, 9,25

ხოლო მათ შეკრიბეს და აღავსეს ათორმეტი გოდორი ნამუსრევეითა ხუთთა მათ პურთაგან ქრთილისათა, რომელ დაუშთა მათ, რომელთა-იგი ჭამეს: იოვ, 6,13

და ვითარცა აღასრულეს მის ზედა ყოველივე მსგავსად შჯულისა მის, მოიქცეს და წარვიდეს გალილუად, ქალაქად თვსანაზარეთად: ლუკა, 2,39

და პოვეს ეამი სომეხთა და ქართველთა: ლ. მროვ, 15.

და ამანვე ფარნაუზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვსსა: ლ. მროვ, 25.

მოცემულ მაგალითებში სიტყვის დონეზე მოქმედება შეწყვეტილია, მაგრამ ამანვე მოქმედების დროსა და სივრცეში კვლავ ჩადენის შესაძლებლობა მოსაუბრე პირმა შეიძლება კონტექს-


ტურად გამოხატოს, მაგალითად: „ადასრულეს მათ საქმე“, მაგრამ კონტექსტით მოცემულ განსაზღვრულ ან განუსაზღვრელ დროს „კვლავ ადასრულონ მათ საქმე“.

მოქმედება, რომელიც შეწყვეტილ პროცესს გულისხმობს, ყოველთვის სრული ასპექტის შინაარსს ატარებს.

უსრული მოქმედების შემთხვევაში კი მოსაუბრე პირი არ უჩვენებს მოქმედების სასრულს, ე. ი. მოსაუბრე პირი სიტყვის დონეზე მოცემული შინაარსით გადმოგვცემს, რომ მის მიერ აღწერილი მოქმედება ანუ „პროცესი“ არ შეწყვეტილა; თუმცა ზმნის ზოგადი შინაარსი კონტექსტურ დონეზე მოქმედების შეწყვეტის ან შემდგომში მისი განახლების სემანტიკურ პოტენციალს ატარებს.

უსრული მოქმედების შინაარსის ჩვენების სქემა ასეთი სახით უნდა წარმოვიდგინოთ:

სქემა II



ძველ ქართულში უსრული ასპექტის შინაარსს პირველი სერიის მწკრივები გამოხატავს.

აწმყო:

და რომელი არა შეჰკრებს ჩემთა, იგი განაბნევს: მათე, 12,30; რაბამ ვინმე არს ესე, რამეთუ ქარიცა და ზღუადცა ერჩიან მას: მათე, 8,27; იცოდა იესუ სულითა თუსითა, რამეთუ დრტყნენ მოწაფენი მისნი ამისთვის: იოვ. 6,61; არა უქმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა: მათე, 9,12; ...რამსათვის მოწა-

ფენი იოვანესნი იმარსვენ ზუდას-ზუდა: ლუკა, 5,33; და ჩუენსა რჩეულსაცა ჰგმობს და ჩუენ გუაგონებს: ევსტ. მცხ, 144.

აწმყოს ხოლმეობითი:

ამისთვის უფროასლა გულს-მოდგინედ საღმრთოთა მათთვის არნ შეკრება იგი მათი: ჰაბო, 159; და რამეთუ ვერ დააყენის მდინარე იგი ადგილმან მან ერთმან, არამედ რომელიმე მიდინ და რომელიმე მოდინ: გრ. ნოსელი, 87

უწყვეტელი:

და ნათელ-იღებდეს იორდანესა და მდინარესა მისგან და აუარებდეს ცოდუთა მათთა: მათე, 3,8; ეძიებდეს მას შეაყრობად და ეშინოდა ერისა მის, რამეთუ ვითარცა წინაწარმეტყუელი აქუნდა მათ იგი: მათე, 21,46; რომელიმე ჰგონებდეს, რამეთუ გუადრუცი იგი იუდას აქუნდა: იოვ, 13,29; ხოლო ყრმა იგი იესუ- აღიესებოდა სიბრძნითა და მაღლი ღმრთისა იგი მის ზედა: ლუკა, 2,40; ხოლო ყრმა იგი აღორძინებოდა და განმტკიცებოდა სულითა და იყო იგი უდაბნოსა: ლუკა, 1,80; -(მოსე) იზარდებოდა სახლსა შინა სამუფოსა: იპოლიტ, 202; და მეთათხმეტესა წელსა ივლტოდა დედაკაცი ვინმე მეფეთა ევადავი: მოქც. ქართლ. 322- მეფე ბრძენთა, ბრძოლა კერძოთა ოსეთისათა: ჯუანშ, 214.

შენიშვნა: ძველ ქართულში უწყვეტლის მნკრივის მიერ გამოხატული მოქმედება ნარსულში ჩადენილი დაუსრულებელი პროცესის ჩვენებაა, მაგ.: „ბრძოლა“ ნიშნავს ნარსულში მიმდინარე ბრძოლის პროცესს, რომლის დამთავრებას მთქმელი არ მიუთითებს.

და ძმა სტეფანოზი, სახელით დემეტრე, აღაშენებდა კკლე-სიასა ჯუარისა პატრიოსნისასა: ჯუანშ, 213.

უწყვეტლის ხოლმეობითი:

და გამოვიდოდინ და კეთილისა-მოქმედნი აღდგებოდინან ცხორებასა საუკუნესა: იოვ. 5,29; ეკრძალნით ცრუ-წინაწარმეტყუელთაგან, რომელნი გამოვიდოდინან თქუენდა სამოსლით ცხოვართაჲთა, ხოლო შიგან იყვნენ მგელ მტაცებელ: მათე, 7,15; და მიერთაგან იყოფოდინან უფლისა თანა: გრ. ნოსელი, 105.. (აღაპი) ღამის-თევით და ჟამისწირვით აღესრულებოდის: კორპ., 28.

| ბრძანებითი:

ხოლო სხუაჲ ყოველივე დასაბამი ნაყოფთა და ხილთაჲ სახლთა მათთა წარეცემოდედ ეპისკოპოსს: დ-სჯულ., 216; და არარას იქმოდინ ნამეტავსა თუნიურ განზრახვისა მისისა, არამედ მათ ხოლო იქმოდის კაცად-კაცადი, რაოდენი სარგებელ ეყოფოდინ ეკლესიასა მისსა და მისქუეშეთა სოფელთა: დ-სჯულ., 219; ეპისკოპოსსა აქუნდინ ზრუნვაჲ და განაგებდინ მათ: დ-სჯულ., 220..

| კავშრებითი:

ვაჲ, თქუენდა გამაძღარნო, აწ, რამეთუ გმშიოდის! ლუკა, 6,25; ხოლო აკუმევედეს საკუმეველსა სამარადისოსა ზედა საკურთხეველსა შენსა: იპოლიტ., 211; და უკუეთუ დააკლდეს ძალი ცხოვრებისაჲ, მიდრკეს ძრვაჲ მისი რყუნილებად: გრ. ნოსელი, 91; რამეთუ შუენიერებასა მას ხატებისასა უკუეთუ აკლდეს რამე, არა არს იგი ხატ: გრ. ნოსელი, 95; ვირე ცოცხალ იყოს, დგეს საკურთხეველსა ჩემსა ზედა, ჟამსა წირვიდეს და მილოცვიდეს: კორპ., 28.

ყველა ზემოთ მოყვანილი მაგალითი უსრული მოქმედების გამოხატველია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ძველ ქართულ-ში ასპექტის მორფოლოგიური კატეგორიის შინაარსობრივი დატივრთვა მხოლოდ უსრულობა-სრულობის სემანტიკური

რგოლებით არ შემოიფარგლება. მას ე. წ. დამატებითი შინაარსის არსებობა ართულებს, ეს უკანასკნელი კი ძირითად ასპექტურ შინაარსებთან ერთად აძლიერებს წარმოდგენას მიმდინარე პროცესზე, ანუ მოსაუბრე პირი უსრული ან სრული მოქმედების გამოხატავსთან ერთად ამავე მოქმედების ერთჯერად ან მრავალჯერად ხასიათსაც გვიჩვენებს.

ერთჯერადობისა და მრავალჯერადობის სემანტიკური ოპოზიცია ძველ ქართულში ძირითადი-უსრულობისა და სრულობის-საოპოზიციო სისტემის ქვეჯგუფს წარმოადგენს. იგი მეორეხარისხოვანი ასპექტური შინაარსია.

ზემოთ შევეცადეთ, უსრული და სრული ასპექტური სემანტიკის დროსა და სიერცეში მიმდინარეობის სქემატური სახე შეგვექმნა. ახლა საჭიროდ მიგვაჩნია ერთჯერადი და მრავალჯერადი მოქმედების დროსა და ძირითად ასპექტურ შინაარსებში გადანაწილების საკითხის გარკვევა.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: როგორია ერთჯერადობა-მრავალჯერადობის შინაარსი და მოქმედების რა საზღვრები გააჩნია მას ძველ ქართულში?

მრავალჯერადი მოქმედების სემანტიკა ისეთ პროცესს მოიცავს, რომელიც მრავალჯერ პირობითად დაწყებულ და პირობითად შეწყვეტილ შინაარსს გულისხმობს.

ქართულ ენათმეცნიერთა (აკ. შანიძე, არნ. ჩიქობავა, გ. მაჭავარიანი, ივ. ქავთარაძე...) მიერ მრავალჯერადობა, როგორც ქართული ზმნის ერთ-ერთი ასპექტური ფუნქცია, პერმანსივის გამოხატვის მეორე ეტაპად მიიჩნევა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ისტორიული პერმანსივის ფუნქცია გრძლივი, ხაზოვანი მოქმედების გამოხატვა იყო. უკვე ძველ ქართულში პერმანსიულ ფუძეს დაკარგული აქვს თავისი უძველესი შინაარსი და იგი მრავალჯერადობის სემანტიკის გადმოცემას ემსახურება. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ გრძლიობა, როგორც ქართული ზმნის ერთ-ერთი შინაარსი, სახეცვლილი ფორმით არათუ ძველ, არამედ თანამედროვე ქართულშიც არსებობს და ეს ცალკე განხილვის საგანია.

ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ პერმანსივი განგრძობი-
თობისა და პერმანსივი მრავალჯერადობის სემანტიკით. აქედან
პირველს ადგილი ჰქონდა ფუძე ენაში, ხოლო მეორეს – ძველ
ქართულში. მოხდა ერთი თვისობრიობიდან მეორეში გადას-
ვლა. ფაქტიურად დავინროვდა და დაკონკრეტდა პერმანსივის
უძველესი ფუნქცია-გამოხატა გრძლიობა. სწორედ გრძლიობის
ზოგად შინაარსს შეეძლო, შეეთავსებინა მოქმედების მრავალჯერ
ჩადენის შესაძლებლობა, რომელიც საფუძველშივე დიურატიულ
სემანტიკას ემყარებოდა.

გასათვლისწინებელია ის ფაქტიც, რომ ამავე პერიოდში
ჩამოყალიბებას იწყებს დროის კატეგორიის ფუნქციურ-ფორმო-
ბრივი გამოხატვის სისტემა, რომელიც ანმეოს შინაარსის გად-
მოსაცემად -ი ბოლოსართიან დიურატიულ ზმნებს სესხულობს,
ხოლო აორისტიისათვის კი – მომენტობრივ, მარტივთემიან
ზმნებს. ხდება გრძლიობის ანმეო დროის შინაარსით, ხოლო მო-
მენტობრივის აორისტიით გადაფარვა; ამიტომ დიურატიულობა,
რომელიც უძველეს ეპოქაში ქართული ზმნის ერთ-ერთი უმნიშ-
ვნელოვანესი საოპოზიციო რგოლი იყო, ახალჩამოყალიბებულ
სისტემაში ფორმის გარეშე აღმოჩნდა, რასაც მისი შინაარსო-
ბრივი დასუსტებაც მოჰყვა.


შემდეგში განვავრძობთ მსჯელობასა და საენათმეცნიერო
ლიტერატურის მიმოხილვას პერმანსივის გამოხატვის სისტემას-
თან დაკავშირებით (როცა საუბარი გვექნება -ი ნიშნიან ხოლმე-
ობითზე), ახლა კი საჭიროა, დავუბრუნდეთ მრავალჯერადობის
შინაარსობრივ განსაზღვრას ძველ ქართულში.

მრავალჯერადობის ზოგადი განსაზღვრის შემდეგ, რომელ-
იც ზემოთ შეძლებისდაგვარად ჩამოვყალიბეთ, აუცილებლად
მიგვაჩნია მისი, როგორც დამატებითი შინაარსის, უსრული და
სრული ასპექტების სქემატურ ჩარჩოებში განაწილების სურათის
წარმოდგენა.

თუ მრავალჯერადობის შინაარსი თან ახლავს უსრულასპექ-
ტიან ზმნებს, მაშინ ზმნით გამოხატული მოქმედება ამ მოქმედე-
ბის დასასრულს, ანუ ჩვენი ტერმინოლოგიით „სასრულს“, არ

უჩვენებს, ამიტომ მას დროში განვითარების მუდმივი პერსპექტივა აქვს.

უსრული მრავალჯერადი მოქმედების შინაარსობრივი დატვირთვის სქემატური სახე ასეთი იქნება:



სქემა III

ძველ ქართულში უსრული ასპექტის მრავალჯერად შინაარსს ანმცოს ხოლმეობითისა და უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივები გამოხატავენ. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

აწმცოს ხოლმეობითი:

და ქნათობნ იგი ყოველთა,რომელნი არიედ სახლსა შინა: მათე, 5,15; მერმე მსგაეს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა ვაჭარსა, რომელნი ეძიებნ კუთილსა მარგალიტსა: მათე, 13,45; ვითარმედ შემძლებელ არნ ქუეშე საგრილსა მისსა მფრინველთა ცისათა დადგრომად: მათე, 4,32; შეეწყალნეს ივინი, რამეთუ იყვნეს, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი: მარკ, 6,34;


(სული) მიმოვალნ ურწყულთა ადგილთა და ეძიებნ განსუენ-
ებასა: მათე, 12,43; ხოლო ნეტარი იგი არა ისმენნ მათსა, არამედ
ილოცავენ და უღარღილოდ ფსალმუნებნ გონებითა თჳსითა:
პაბო, 169; მერმე კუალად გამოვიდის და ივლტინ და ეძიებნ
სხუასა ადგილსა: იოვან, 253.

უწყვეტლის ხოლმეობითი:

რასა იქმოდის მარჯვენაჲ შენი: მათე, 6,3; მდინარენი მუ-
ცლისა მისისაგან დიოდინ წყლისა ცხოველისანი: იოვ, 7,38; და
ოღეს ყოველნი თჳსნი იგი განიყვანნეს, წინაჲ მათსა ვილოდის:
იოვ, 10,4; ექმნეს მას შინა წყარო წყლის, რომელი ვილოდის
ცხოვრებად საუკუნოდ: იოვ, 4,14; მრავალნი მზისა აღმოსავალით
და დასავალით შოვიდოდიან: მათე, 8,12.

რაც შეეხება სრული ასპექტის გამომხატველი მოქ-
მედების მრავალჯერადობას, იგი ბევრჯერ პირობითად
დანყებული და პირობითად დასრულებული მოქმედე-
ბის საბოლოო სასრულსაც მიუთითებს. ეს უკანასკნელი
სრული მოქმედების სასრულის ტოლფასია.

სქემა IV




სრული მრავალჯერადი ასპექტის გამომხატველი ზმნები ძველ ქართულში მეორე ხოლმეობითის მწკრივის ფორმებია, მაგალითად:

და ოდეს აღივისს, გამოიღიან იგი და ზღუს-კიდეს დაასხიან: მათე, 13,48; და ოდეს დაეთესის, აღმოკდის და იქმნის იგი უფროას ყოველთა მხალთა და გამოიხუნის რტონი დიდდინი: მარკ, 4,32; ხოლო დღესასწაულსა ჩვეულ იყო მთავარი იგი: მიუტევის ერსა მას ერთი პყრობილი, რომელიცა უნებნ მათ: მათე, 27,15; რამეთუ არა ეკალთაგან შეკრიბიან ლელუ, არცა მაყუალთაგან მოისთულნიან ყურძენი: ლუკა, 6,44; ხოლო ცრუ მოძღუარნი იგი და შემასმენელნი შევიდნიან მისა: „ჰაბო“, 168; და ესრეთ მიიღის საზრდელი საგლახაკომ ჟორცთა თუსთა განსამტკიცებულად ნეტარმან გრიგოლ: მერჩულე, 203; არამედ პირველად გამოცადის ყოველსა ზედა კეთილისა საქმესა, და უკუეთუ იპოვის გულითა უმანკომ, უზაკველი და უდრტუნველად სიმდაბლით მორჩილი წადიერად ყოველსა ზედა კეთილისა საქმესა, იგი შეიწყნარის სიხარულით: მერჩულე, 208; ყოველნი დღენი ცხოვრებისა ჩემისანი მწუხარებასა შინა დამიყოფიან: ვუანშერი, 150; ვითარცა მას ჰნებაეს, მოიძულვის ადგილი და მოიძავის ნაშრომიცა იგი: იოვ. ბოლნ, 253; ლოცვისა და კელსაქმარისა მიერ მაშურალმან მცირედ მიიძინის ბუნებითა წესისაებრ: ისტ. და აზმანი, 69; მოვიდნიან ხარაჯითა განძელნი და აღმართ-ქალაქნი: ისტ. და აზმანი, 99; და წარვიდნიან კოლას, თავსა არტანისასა და მუნით მოიღიან ხარაჯა კარნუ-ქალაქით: ისტ. და აზმანი, 100; და იგი იყვის მაზავებელ და ბჰე სხუათა ქართლოსიანთა: ლ. მროვ, 11; ხოლო ოდეს დაშურის გუამი უძღურებისაგან და მერმე მიეცის მას განსუენებად ძილისაგან, ემსგავსის იგი ცხნთა მათ დამაშურალთა სრბისაგან, რომელთა შემდგომად მისა ეპოვის განსუენებად: გრ. ნოსელი, 87.

ზემოთ მოყვანილი ყველა მაგალითი სრული მოქმედების მრავალჯერადობას უჩვენებს. მოსაუბრე პირი თითოეულ მათგანს მთლიანი მოქმედების სახით გაიაზრებს, რომელიც თავის მხრივ, მრავალფაზიან ხაზოვან მოქმედებას გულისხმობს.

რაც შეეხება ერთჯერადი მოქმედების სემანტიკას, იგი ისეთ პროცესს მოიცავს, რომელიც გამორიცხავს მოქმედების განმეორადობას. მის მიერ გამოხატული მოქმედება შეუწყვეტლივ მიმდინარეობდა ან მიმდინარეობს იმისდა მიხედვით, სრულ ასპექტურ შინაარსს ახლავს იგი თუ უსრულს.

სრულ ასპექტურ სემანტიკასთან შეთავსებული ერთჯერადობა სქემატურად ასე გამოიყურება:



სქემა V

ეს სქემა სრული ასპექტის სემანტიკური გამოხატვის ზოგადი სქემის იდენტურია. ძველ ქართულში მოცემული შინაარსობრივი საზღვრების გადმოცემას მეორე სერიის აორისტის ფორმები ემსახურება, მაგალითად:

მოიღო იესუ პური, აკურთხა და განტეხა და მისცა მოწაფეთა
თუსთა: მათე, 26,26.

ზმნები: „მოიღო“, „აკურთხა“, „განტეხა“ და „მისცა“ ერთგზის ჩადენილ სრულასპექტიან მოქმედებას გამოხატავს. ამ მხრივ, ძველმა ქართულმა ენამ გამონაკლისი არ იცის. ამავე სახის მაგალითებია:

ხოლო იგი აღდგა და წარიყვანა ყრმა იგი: მათე, 8,21; და დაბნელდა მზე და განიპო კრეტსაბმელიცა ტაძრისაჲ მის შორის: ლუკა, 23,45; მაშინ მოწაფეთა მისთა ყოველთა დაუტყვეს იგი: მარკ., 14,50; და ვითარცა იხილეს ერთმანერთი, განიხარეს ფრიად და ყვეს ლოცვაჲ: მერჩულე, 206; ხოლო შემდგომად მცირედთა დღეთა კუალად აღიძრნეს შეჰამქნელნი წმიდისა ამის მიწამისანი: „ჰაბო“, 167; ხოლო უმრწემესი ძმ იოვანე დაშთა ყოვლად უსრული და ენაბრგუნილი: ზარზმ, 189; მოიქცა ვახტანგ და აღჯდა ტაიჭსა თესსა: ჯუნშ, 159. და სხვ.

როგორც დამონმებული მაგალითები ცხადყოფს, ერთჯერადი, სრული ასპექტის შინაარსი ძველ ქართულში ძირითადად აორისტის ფორმებით გადმოიცემა. თუმცაღა, აორისტის თემაზე დამყარებული მეორე კავშირებითის ფორმებიც ასპექტური თვალსაზრისით იმავე სემანტიკის მატარებელნი არიან.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ შევეცადეთ, ერთჯერადობის სემანტიკური განსაზღვრა მოგვეცა, ვფიქრობთ, რომ ერთჯერადობა, როგორც ასპექტური შინაარსი, არსებობს იმდენად, რამდენადაც მის პარალელურად არსებობს მრავალჯერადობა თავისი შინაარსობრივ-ფორმობრივი მაჩვენებლებით.

ნათქვამის დასაზუსტებლად საჭიროა, აღინიშნოს: ჯერობის თვალსაზრისით მოქმედება, რომელსაც ერთჯერადს ვუნოდებთ, ნეიტრალურად გამოიყურება. მას არ გააჩნია ჯერობის აღმნიშვნელი არც სემანტიკური და არც ფორმობრივი ნიშანი, რის გამოც იგი მთლიანად თავსდება უსრულობისა და სრულობის შედარებით ზოგად ასპექტურ ჩარჩოებში. გამოთქმულ მოსაზრებას ამყარებს ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი, კერძოდ, თანამედროვე ქართული, საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრებით, არ იცნობს ერთჯერადობა-მრავალჯერადობის მორფოლოგიურ კატეგორიას. ძველი ქართულიდან მოყოლებული დღემდე უცვლელი მხოლოდ უსრულობა-სრულობის სემანტიკური ხაზი დარჩა. შინაარსობრივი საზღვრების თვალსაზრისით, ერთი მხრივ, ძველი ქართულის ერთჯერად-უსრულ და ახალი ქართულის ოდენ უსრულ, ხოლო მეორე მხრივ, ძველი ქართუ-

ლის ერთჯერად-სრულ და ახალი ქართულის ოდენ სრულ მოქმედებას შორის განსხვავება არ არსებობას, ამიტომ, ჩვენი აზრით, ერთჯერადობა უფრო პირობითი ტერმინია, რომელიც მას მრავალჯერადობასთან შეპირისპირებით ეწოდება და გაფორმდა, როგორც ერთჯერადობა-მრავალჯერადობის საკორელაციო ქვესისტემის არამარკირებული, მაგრამ სრულუფლებიანი ნევრი.

ტერმინ ერთჯერადობის ქვეშ გაერთიანებული შინაარსის ნეიტრალური ხასიათი ეჭვს არ იწვევს. იგი შეიძლება თანაბრად იყოს გამოყენებული სხვადასხვა ასპექტური ოპოზიციის არამარკირებულ ნევრად, თუკი ენაში გაჩნდება სხვა, მარკირებული, ასპექტური შინაარსი (მაგ., რეზულტატის ან მთლიანი მოქმედების გამოხატვა თავისი მორფოლოგიური ნიშნებით და სხვ.), რომელიც დამატებითად დაახასიათებს უსრულობა-სრულობის ძირითად ასპექტურ შინაარსს.

ნათქვამის ნათელსაყოფად საკმარისია, დავიმომოთ რამდენიმე მაგალითი:

მნებავს, რაღა დაიწეროს სანატრელისა ამისცა მარტულობა: „პაბო“, 156; და შემოვიდა ქალაქსა ტფილისს და იქცეოდა იგი განცხადებულად ქრისტიანედ: „პაბო“, 166; და იყო მათ დღეთა შინა, ასწავებდა რაჲ ერსა მას: ლუკა, 20,1.

ზმნები „მნებავს“, „იქცეოდა“ და „ასწავებდა“ შეუწყვეტელი, დაუსრულებელი პროცესის ძირითად შინაარსს ატარებს და არ გამოხატავს ჯერობის აღმნიშვნელ კონკრეტულ შინაარსს, ამიტომ შინაარსობრივად ისინი ზოგადად გამოიყურებიან. მათ თანაბრად შეუძლიათ, შეითვისონ როგორც ერთჯერადობის, ისე არარეზულტატობის, განუსაზღვრელობის, არამთლიანი მოქმედების და სხვა ასპექტური შინაარსები.

მიუხედავად ნათქვამისა, ერთი რამ უდავოა: ძველ ქართულში არსებობს მრავალჯერადობის ასპექტური სემანტიკა შესაბამისი მორფოლოგიური მაჩვენებლებით, ხოლო მის პარალელურად – ერთჯერადობის შემცველი ზოგადი შინაარსი, რომელიც სე-

მანტიკურადაც და ფორმობრივადაც უპირისპირდება პირველს და ჯერობის ასპექტურ ოპოზიციას ქმნის.

საჭიროდ მიგვაჩნია ერთჯერადი, უსრული ასპექტური შინაარსის მატარებელი ზოგიერთი მაგალითის დამონშებაც:

ანმყო:

ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, უძლიერეს ჩემსა არს: მათე, 3,11; ყოველი, რომელი შევალს პირით, მუცლად შევალს და განსაუალით განვალს: მათე, 15,17; და უკუეთუ მე ბელზებულთა განვასხამ ეშმაკთა, ძენი თქუენნი რამთა განასხმენ? მათე, 12,27; —და იტყოდეს ვითარმედ: აღაშფოთებს ერსა და ასწავებს ყოველსა პურიასტანსა: ლუკა, 23,5; ესე არს მოწაფემ იგი, რომელი წამებს ამათთვის: იოვ, 21,24; უკუეთუ ძირნი არა ჰგეანან ერთმანერთსა, ვერ უკუე ეგების ხატი მათი ერთ-ყოფად: ვრ. ნოსელი: 75; ხოლო სხუანი ცხოველნი დაღონებულ არიან გუამითა, მოასწავებენ მორჩილებასა მთავრობისასა: ვრ. ნოსელი, 77.

უწყვეტელი:


და აღიღებდეს ღმერთსა, რომელმან მოსცა ესეითარი ხელმწიფებამა კაცთა: მათე, 9,8; ვიდოდა წინამე მათსა და აღვიდოდა იერუსალიმდ: ლუკა, 19,20; და იყო მათი ღღუთა შინა, ასწავებდა რამ ერსა მას და ახარებდა ტაძარსა მას შინა: ლუკა, 20,1; ხოლო სხუანი მოწაფენი ნავითა გამოვიდოდეს, რამეთუ არა შორს იყვნენ ქვეყანისაგან, არამედ ორას წყრთა ოდენ, და გამოითრევედეს ბაღესა მას თევზითა საესესა: იოვ, 21,8; და ქადაგებდა შესაკრებულთა მათთა და ყოველს გალილესა და ეშმაკთა განასხმინდა: მარკ, 1,39.


ამრიგად, ძველ ქართულში ძირითადად — უსრულ და სრულ-ასპექტურ ოპოზიციას თანახლავს ერთჯერადობა-მრავალჯერადობის ასპექტური შინაარსი, რომელიც საგრძნობლად ართულებს ასპექტის მორფოლოგიური კატეგორიის სამანტიკური გამოსატვის სისტემას. ჩვენ შევეცადეთ, შინაარსთა ეს გართულებული ხაზი სქემატურად წარმოგვედგინა და მოქმედების დროსა და სივრცეში განანილების საერთო სურათი შეგვექმნა.

სქემა VI

ნარსული ღრო ←

სასრული მოქმედება





ერთჯერადობისა და მრავალჯერადობის ასპექტური შინაარსების გარკვევას მის ენობრივ გამოხატულებასთან მიყვართ, რომლის არსებობა ძველ ქართულში ეჭვს არ იწვევს.

ერთჯერადი მოქმედება არამარკირებული, ნეიტრალური ნევრია იმ ქვეოპოზიციისა, რომელსაც ჯერობის მორფოლოგიური კატეგორია შეიძლება ეწოდოს. თავისი ფორმებით იგი უსრული და სრული ასპექტის ფორმათა ეკვივალენტურია. ძველი ქართულის უსრული ასპექტის ფორმა – განვალს და სრულის – განვლო ჯერობის თვალსაზრისით განსხვავებას ვერ უჩვენებს; ხოლო, რაც შეეხება მრავალჯერადობას, იგი ოპოზიციის მარკირებული ნევრია, ამიტომ მრავალჯერადი მოქმედების ფორმობრივი პლანის წარმოსადგენად საჭიროდ მიგვაჩნია იმ ნიშანთა გენეზისის გარკვევა, რომლებსაც ძველ ქართულში მრავალჯერადი მოქმედების აღმნიშვნელი ზმნები ატარებენ. ესენია: ნ (მხ. რ.) და -ედ (მრ. რ.) ანმყოს ხოლმეობითისათვის და -ი (მხრ. რ. და მრ. რ.) უწყვეტლის, მეორე ხოლმეობითისა და მესამე ხოლმეობითისათვის.

სამივე ეს ნიშანი ბოლოსართია (-ნ, -ედ, -ი) და განსაზღვრულ მწკრივთა ფუძეებს დაერთვის. ადვილი შესამჩნევი უნდა იყოს, რომ დასახელებული სუფიქსები ზმნის ფორმებს დროის კატეგორიის მიხედვით განარჩევენ. ახლანდელ დროში მხოლოდითი რიცხვისათვის -ნ გამოიყენება, ხოლო მრავლობითი რიცხვისათვის -ედ სუფიქსი, წარსულ დროში კი (ნამყო უსრული იქნება ეს თუ ნამყო სრული) – მხოლოდ და მხოლოდ -ი ბოლოსართი.

-ნ ფორმანტის წარმოშობის საკითხს თავის დროზე ყურადღება მიაქცია არნ. ჩიქობავამ, რომელმაც ისტორიულ ქართულში კლასის გრამატიკული კატეგორია ივარაუდა. „ისტორიულად ქართველური ენები განასახვავებდნენ ორ კლასს: ვინკატეგორიას და რა-კატეგორიას. ეს კატეგორიები პრეფიქსებით გადმოიცემოდა“.¹ კლასის პრეფიქსული აღნიშვნა სახელებს,

¹ არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგი საკითხი ძველ ქართულში, იკე, ტ. V, 1953, გვ. 62 (51-61).

კერძოდ, სახელისაგან ნაწარმოებ სახელებსა და ზმნისაგან ნაწარმოებ სახელებს ახასიათებდა. ამავე კატეგორიას ფლობდა ქართველური ენების ზმნა, რომელიც იუღლებოდა გრამატიკული პირისა და კლასის მიხედვით. კლასოვანი უღლების სხვადასხვა ვარიანტს ადგილი აქვს კავკასიურ ენებში: ლაკურში, დარგულში, ბაცბურსა და აფხაზურში. „უწინარესია კლასის აღნიშვნა, მერმინდელია პირის მიხედვით ცვლა. რაც შეეხება პიროვან უღვლილებას (ქართული, ადიღური), იგი კლასოვან-პიროვანი უღვლილების გამარტივების შედეგია. მოიშალა კლასების მორფოლოგიური კატეგორია და ზმნამაც დაკარგა კლასოვანი ფორმები, დარჩა მხოლოდ პირის ფორმები... პირთა აღნიშვნაზე გადასვლა საკმაოდ რთული უნდა ყოფილიყო. ორი კლასის ნაცვლად სამი პირი უნდა აღნიშნულიყო (მასთან გარდამავალ ზმნებში სუბიექტისაც და ობიექტისაც)“.¹

კლასოვანი უღვლილებისათვის ივარაუდება როგორც პრეფიქსური, ისე სუფიქსური წარმოება. -ნ და -ებ მრავლობითის ფორმანტებზე საუბრისას არნ. ჩიქობავა შენიშნავს: „1. მრავლობითის აფიქსები -ნ, -ებ თანხმოვნითი ელემენტით (ნ, ბ) ერთი და იმავე გრამატიკული კლას-კატეგორიისა; 2. ესაა ნივთის გრამატიკული კლასის ექსპონენტები; 3. მათი სხვაობა დიალექტობრივ (თუ ენობრივ) წრეთა სხვაობიდან მომდინარეობს; 4. სახელთა მრავლობითობის წარმოებისას თავს იჩენს ის პრინციპი, რაც დაღესტნურ და ქისტურ ენათა მეტ ნაწილშია დაცული, სახელდობრ, ხუნძურ-დიდოური ვარიანტი. მრავლობითს ნივთის კატეგორიის ფორმანტი აწარმოებს (ერთი ფორმანტი)“.²

ამრიგად, -ნ, რომელიც მრავლობითის სუფიქსია ძველ ქართულში, ისტორიულად ნივთის კატეგორიის კუთვნილებად მიაჩნია არნ. ჩიქობავას.

¹ არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგი საკითხი ძველ ქართულში, იკე, ტ. V, 1953, გვ. 54-61.

² არნ. ჩიქობავა, მრავლობითის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში, კრ.: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბ., 1956, გვ. 319.

-ნ, -ებ სუფიქსებიანი მრავლობითის საკითხი სხვაგვარადა აქვს გადანყვეტილი კ. დონდუას. მისი აზრით, -ებ მანარმოებლიანი სახელები პასიური კლასის კუთვნილება უნდა ყოფილიყო, ხოლო -ნარი ადამიანთა მრავლობითობის სანარმოებელი სუფიქსი.¹

გამოთქმული თვალსაზრისები ცდილობენ, გაარკვიონ -ნ-ს, როგორც მრავლობითობის სუფიქსის საკითხი, რომელიც ძველ ქართულში სახელებსა (კაც-ნ-ი, საქმე-ნ-ი...) და ზმნებში (ზმ-ენ, იქმ-ან...) გამოიყენება.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იგივე ბოლოსართი ძველ ქართულში მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის ფორმასაც ანარმობს. პირველი სერიის ანმყოს ხოლმეობითი და პირველი და მეორე სერიების ბრძანებითი ფორმები მხოლოდით რიცხვში ერთადერთ ფორმანტ -ნ-ს იყენებს.

აწმყოს ხოლმეობითი:

რამეთუ მონამან არა იცინ, რასა იქმნ უფალი თუსი: იოვ., 15,13; სახისმეტყუელმან თქუა ყორნისაჲ, ვითარმედ (მისა) ერთ ხოლო მამალი არნ: ბ. კესარ., 189; და ივლტინ გუელი და შთაკდის ჯურელად: ბ. კესარ., 190; მარტოჲ ცხორებასა ჩუეულ არს და შორის მრავალთა მამალთა არა ჰნებავენ ყოფაჲ: ბ. კესარ., 190.

პირველი ბრძანებითი:

ეგრეთ ბრწყინვედინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა: მათე, 5,16; და მექსეულად მოუკდა იესუს და ჰრქუა: გიხაროდენ, მოძღუარ! მათე, 26,48; რომელი აღმოიკითხვიდეს, გულისკმა-პყოფდინ: მათე, 24,19.

¹ К. Дондуа, О двух суффиксах множественности в грузинском, კრ.: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბ., 1956, გვ. 310.

მეორე ბრძანებითი:

და თქუა ღმერთმან იქმენინ სამყარო შორის წყლისა და იყავნ განმყოფულ შორის წლისა! შესაქმ, 1,6; და ჰრქუა: აღდგეინ მამა ჩემი და ჭამედ ნადირისაგან ძისა თჳსისა: შესაქმ, 27,31; და მოგეცინ შენ კურთხევაჲ აბრაჰამისი, მამისა აბრაჰამისი: შესაქმ, 29,4; შენდობაჲ იყავნ თქუენდა, ნუ გეშინინ! შესაქმ, 43,23.

ზმნის უფლების სისტემაში მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის ფორმებთან -ნ სუფიქსის დართვა რამდენადმე ართულებს მდგომარეობას, თუკი მას მრავლობითი რიცხვის მანარმოებელ ელემენტად მივიჩნევთ, მაგრამ იგი ისევე არ იყო მხოლოდ მრავლობითობის აღმნიშვნელი აფიქსი ზმნებში, როგორც ეს სახელებში გვაქვს, სადაც, გარდა ნარიანი მრავლობითის ნიშნისა, ქართული ენის განვითარების გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე, მოთხრობითი ბრუნვის მანარმოებელ სუფიქსსაც წარმოადგენდა. როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, მოთხრობით ბრუნვაში ამ ბრუნვის ნიშნად „მან“ ნაცვალსახელოვანი ელემენტის დართვა ბევრად უფრო გვიანდელი მოვლენაა.

რაც შეეხება ზმნებში -ნ-არის ხმარების საკითხს, ძველ ქართულში სუბიექტის მესამე პირის მრავლობითობის აღსანიშნავად, იგი ხმოვან ელემენტებთან ერთად (ან, -ენ) ინტენსიურად გამოიყენება („ბრმანი აღიხილ-ვ-ენ, მკელობელნი ვლენ-ან, კეთროვანნი განმდები-ან, ყრუთა ესმის და მკუდარნი აღდგები-ან“: ლუკა, 7,22). ამ ფორმანტთა თანხმოვნითი ნაწილი სახელებში დადასტურებული -ნ-ს იდენტური ვარიანტია. მხოლოდით რიცხვში, კერძოდ, ანმყოს ხოლმეობითისა და ბრძანებითის მესამე პირის ფორმებში, -ნ სუფიქსის გამოყენება შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს. იგი იმ ეპოქის კუთვნილებაა, როცა ზმნა პიროვან-კლასოვანი უღლების სისტემას მისდევდა, ხოლო -ნ-არი -ს-ანის პარალელურად მესამე პირის აღმნიშვნელი სუფიქსი იყო როგორც მხოლოდით, ისე მრავლობით რიცხვში და გარკვეული კლასის მორფოლოგიურ კატეგორიასაც გამოხატავდა, ოღონდ; იმ განსხვავებით, რომ ოდენ თანხმოვნითი ელ-

ემენტები -ნ და -ს მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის კუთ-
ვნილებას წარმოადგენდა, ხოლო მათი გახმოვნებული ვარი-
ანტები (-ენ, -ან, -ეს) – მრავლობითი რიცხვისას.

-ან სუფიქსის გენეზისის საკითხს სპეციალური გამოკვლევა
მიუძღვნა გ. როგავამ. ქართულის -ან ფორმანტს არ გააჩნია
შესაბამისი ვარიანტი, რომელიც -ონ ბოლოსართი უნდა ყო-
ფილიყო. „შესაძლებელია ქართულისათვის ეს -ან სუფიქსი -ენ
სუფიქსის ფონეტიკური ვარიანტი იყო, უკეთ -ენ-ისაგან იყოს
მიღებული გარკვეულ ფონეტიკურ პოზიციაში“.¹

გ. როგავას მიერ სამართლიანადაა შენიშნული, რომ
-ან სუფიქსი, მართლაც, გარკვეულ ფონეტიკურ პოზიციაში
გვხვდება, კერძოდ, -ი-ს მეზობლობაში: უწყვეტლისა და მეორე
ხოლმეობითის მწკრივებში სუბიექტის მესამე პირის მრავლო-
ბითის ნიშნად ან ანმყოს მწკრივის ისეთ ზმნებთან, რომელთა
თემა -ი-ზე ბოლოვდება.

აწმყო:

და მელიან მე და განტევებამ მათი უზმათამ არა მნებაგს:
მათე, 15,32; და იტყოდეს ურთიერთას: ვინ-მე არს ესე, რამეთუ
ქარნიცა და ზლუაძცა ერჩინ მას: მარკ., 4,41; მიხედეთ მფრინ-
ველთა ცისათა, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან, არცა შეიკრე-
ბენ საუნჯესა: მათე, 6,26; განიცადენით, ყორანნი, რამეთუ არა
სთესენ, არცა მკიან, რომელთა არა აქუს საუნჯე: ლუკა, 12,24.

უწყვეტლის ხოლმეობითი:

მღინარენი ბუცლისა მისისაგან დიოდთან წყლისა ცხ-
ოველისანი: იოვ., 7,38; ხოლო უცხოთა არა შეუდგენ, არამედ
ივლტოდთან მისგან: იოვ., 10,5; მრავალნი მზისა-აღმოსავალით
და დასავალით მივიდოდთან: მათე, 8,11; და გამოვიდოდთან და

¹ გ. როგავა, მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის -ან
სუფიქსისათვის ქართულში, იკე, თბ., XVI, 1968, გვ. 76.

კეთილისა მოქმედნი აღდგებოდინ ცხორებასა საუკუნესა: იოვ, 5,29.

მეორე სოლმეობითი:

არცა აღანთიან სანთელი: მათე, 5,15; და ოდეს აღივისის, გამოილიან იგი და ზღუს-კიდესა დაასხიან: მათე, 13,48; ჰე, უფალო, რამეთუ ძალნიცა ჭამედ ნაბიჭვეისაგან, რომელ გარ-დამოცუვიან ტაბლისაგან უფალთა მათთაჲსა: მათე, 15,27; და ეტყოდა მათ: ნუ სანთელი მოილიან და ქუმირსა ქუეშე შედგიან ანუ ცხედარსა ქუეშე დაადგიან! მარკ, 4,21; ყოველმან კაცმან კეთილი ღწნოჲ პირველად წარმოიდგის და ოდეს დაითრენიან, მაშინ უჯერესიცა: იოვ, 2,10.

ამრიგად, -ან მრავლობითის სუფიქსის ამოსავალ ვარიანტად -ენ-ი ივარაუდა გ. როგავამ. „ე ხმოვანი შეიძლება გადასულიყო ა-ში -ი-ს მომდევნო პოზიციაში ხმოვანთა კომპლექსის ნაწილობრივი დიფთონგიზაციის საფუძველზე. ასე რომ, ტირ-ი-ან←*ტირ-ი-ენ, ქრ-ი-ან←*ჭრ-ი-ენ, იც-ი-ან←*იცი-ი-ენ და სხვ... ი-ენ-ის ი-ან-ში გადასვლის საფუძველს იძლევა ის ფაქტიც, რომ ბგერათა თავყრილობა იენ უცხოა ქართულისათვის, მაშინ როდესაც იან ბუნებრივია“.¹

გასაზიარებელია ზემოთ მოცემული მოსაზრება, რომელიც უგულებელყოფს -ან სუფიქსის ზანურიდან მომდინარეობის ბ. ფონზუსასეულ თვალსაზრისს.²

ჩვენი ყურადღება იმ ფაქტმა მიიპყრო, რომ თანხმონითი ელემენტი -ნ ძველ ქართულში გარკვეული ჯგუფის ზმნების მრავლობით რიცხვს აწარმოებს. ეს ეხება კავშირებითის ზმნურ ფორმებს, რომლებიც უღლების დროს მესამე პირის მრავლობით რიცხვში -ნ-ს დაირთავენ. აკ. შანიძე „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“ აღნიშნავს: „II კავშირებითის (II მყოფადის) ნიშა-

¹ გ. როგავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 76.

ბ. ფონზუა, მრავლობითობის წარიანი მანარმოებლები ძველ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961, გვ. 60.

III პ. მო-კლ-ნ-ი-ს მო-კლ-ნ-ი-ან

და უველსა საქმესა მათსა იქმედ საჩუენებლად კაცთა განიერც-
ნიან საცონი მათნი და განადიდნიან ფესუნი სამოსლისა მათასინი:
მათე, 23,5.

გ) მეორე კავშირებითის მხოლოდითი და მრავლობითი
რიცხვის სამსავე პირში:

I პ. მო-ვ-კლ-ნ-ე მო-ვ-კლ-ნ-ე-თ

II პ. მო-პ-კლ-ნ-ე მო-პ-კლ-ნ-ე-თ

III პ. მო-კლ-ნ-ე-ს მო-კლ-ნ-ე-ნ

იხილეს რამ მისთანათა მათ საქმე ესე, პრქუეს მას: უფალო,
უკუეთო მოვსრნეთ ესენი მახვლითა! ლუკა, 22,49; ევედრნით უკუე
უფალსა სამკალისასა, რამთა მოაუღინნეს მუშაქნი სამკალსა თვსსა:
ლუკა, 10,2; და უკუეთო არაუნ შეგიწენარნეს თქუნ, არცა ის-
მინნეს სიტყუანი თქუნნი, გამო-რამ-ხვდოდით მიერ სახლით- მათე,
10,14.

„ე“ და „ა“ ხმოვნების რედუქცია ქართული ენისათვის
ჩვეულებრივი მოვლენაა. აკ. შანიძე ნაშრომში „ნელინადის ეტი-
მოლოგიისათვის“ აღნიშნავს: ქართულში ფუძის შეკუმშვისას
უკვალოდ ამოიღება ა და ე ხმოვნები, ხოლო ო კვალს ტოვებს
ვ თანხმოვნის სახით და ისიც განსაზღვრულ შემთხვევებში.¹

ვ. თოფურია კი ცალ-ცალკე ჩამოთვლის ე და ა ხმოვნე-
ბის შეკუმშვის შემთხვევებს და ასკენის: „ქართულში, სვა-
ნურისაგან განსხვავებით ა) კუმშვას იწვევს მხოლოდ სუფიქსი,
ბ) რედუცირდება მარტო სამი ხმოვანი (ა, ე, ო), გ) იკუმშება
ერთმარცვლიანებიც გაორმარცვლიანების შემთხვევაში და დ)
ერთდროულად ამოიღება ორი ხმოვანი“.²

მეორე კავშირებითის მესამე პირის მრავლობითი რიცხვის
ფორმებთან კი საკითხი შედარებით სხვაგვარად დგას. შეკუმ-

¹ აკ. შანიძე, ნელინადის ეტიმოლოგიისათვის, ქართული საენათმეცნიერო
საზოგადოების ნელინდეული, I-II, ტფ., 1923-1924, გვ. 6-11.

ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იკე., I, თბ., 1946, გვ.
71; 73-88.

შულია სიტყვის ბოლო მარცვალი და არა კავშირებითის ა, ე, ო ნიშნები, რომელთა დაკარგვაც მოსალოდნელი იყო.

ერთი შეხედვით, რედუქციის საერთო პრინციპის დარღვევასთან გვაქვს საქმე, მაგრამ, აქ ბევრი არაფერი იქნება სადავო, თუ ერთ საყურადღებო მომენტს გავითვალისწინებთ. როცა ნყვეტილის ფუძემ კავშირებითის ხმოვან სუფიქსს მესამე სუბიექტური პირის ასევე ერთმარცვლიანი ბოლოსართი დაურთო და ამით ზმნას ორი მარცვალი მიუმატა, წინა მარცვლის (ე. ი. კავშირებითის სუფიქსის) შეკუმშვის საშიშროება შეიქმნა; მაგრამ, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში საქმე შინაარსობრივმა ფაქტორმა გადაწყვიტა. კავშირებითის ნიშნის დაკარგვა გამოიწვევდა კავშირებითის შინაარსის დაკარგვასაც მესამე პირში, რაც უღლების სისტემაში უთუოდ შემოიტანდა სემანტიკურ არეულობას. სწორედ ამ მნიშვნელოვან ფაქტორს უნდა შეეწყობოდა ხელი -ენ (ა-ან) სუბიექტის მესამე პირის მრავლობითის სუფიქსის გამარტივების პროცესს მეორე კავშირებითის ფორმებთან.

ეს ნიშნავს: ქართული ენის განვითარების ისტორიულ ეტაპზე, მაშინ, როცა ზმნის უღლება პიროვან-კლასოვანი სისტემით მიმდინარეობდა, სუბიექტის მესამე პირის მხოლოდობით რიცხვში გარკვეული გრამატიკული კლასის აღსანიშნავად სხვა ნიშნების გვერდით -ნ სუფიქსი გამოიყენებოდა, ხოლო მრავლობით რიცხვში ამ ფონემის ხმოვანდართული ვარიანტი -ენII-ან.

მრავლობითობის ბოლოსართი -თ←დ ნივთის გრამატიკული კატეგორიის კუთვნილებად მიაჩნიათ ქართველ მკვლევარებს და იგი თავისი ფუნქციით სახელებში დადასტურებულ დ-პრეფიქსს უტოლდება (*დინჭული, *დინჭარი).

დ-თავსართი კლასის ნიშნად ბევრ კავკასიურ ენაში შეინიშნება, კერძოდ, დაღესტნის ენათა უმეტესობასა და ჩაჩნური ჯგუფის ენებში.

დ. გენაძემ მესამე პირის სუბიექტის ნიშნად -დ სუფიქსი ივარაუდა -ედ მრავლობითობის სუფიქსთან შეპირისპირების საფუძველზე და შენიშნა იგი: 1. სტატიკური ვნებითის ანმყოფი

(უპყრიედ, უფლიედ, ჰგონიედ), 2. ნამყო ძირითადისაგან ნანარ-
მოებ მესამე პირის ბრძანებითის ფორმებში (ჭამე-დ (მან), გამ-
ოილე-დ (მან), მოიყვანე-დ (მან), 3. გარდამავალი ზმნების თურ-
მეობითი პირველის ფორმებში (მისნავიედ, აღუპყრიედ).¹

„ზმნის სუფიქსებში -თ ისევე ძველია -ნ-სთან შედარებით,
როგორც სახელთა მრავლობითში კაც-თ- არის ძველი კაც-ნ-
ფორმასთან შედარებით (არნ. ჩიქობავა)“², ხოლო ზმნის -თ სუ-
ფიქსი სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში დაყრუებული და გაფშ-
ვინვიერებული -დ სუფიქსია, ბრუნვის ნიშანთა თანხმონითი
ელემენტები -ს, -დ კი წარმოშობით ნივთის გრამატიკული კატ-
ეგორიის კუთვნილებას წარმოადგენს.

-თ←დ ფონეტიკურ სახეცვლილებას სვანურის ჩვენება ადას-
ტურებს:

ქართული	სვანური:
ვარ-თ	ხვარი-დ
ხარ-თ	ხარი-დ
არი-ან	არი-ხ ³

ძველი ქართულის ზოგიერთი მწკრივის, კერძოდ, ანმყოს
ხოლმეობითის, I და II ბრძანებითის ფორმები სუბიექტის მრავ-
ლობითობის გადმოსაცემად -ედ ფორმანტს იყენებს, რომელსაც
ძველ ქართულში შედარებით შევინროებული არეალით, მაგრამ
მაინც იგივე ფუნქცია აქვს, რაც -ანII-ენ სუფიქსებს.

ქართული საენათმეცნიერო აზრი -დ→თ ვარიანტებს კლა-
სის ბევრად უფრო ძველ ისტორიულ ნიშნებად მიიჩნევს, ვიდრე
-ს-ანსა და -ნარს.

¹ დ. გენაძე, მესამე პირის სუბიექტის ნიშანი -დ ძველ ქართულში, ქუთაისის
პედ. ინსტიტუტის შრომები, XI, 1952-1953, გვ. 139-147.

² არნ. ჩიქობავა, მრავლობითის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში,
კრ.: სახელთა ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, კბ., 1956,
გვ. 320.

³ არნ. ჩიქობავა, იქვე, გვ. 321.

ვითარებითი ბრუნვის დაბოლოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრისას აკ. შანიძე შენიშნავს, რომ -დ-ს თ-დ ქცევა, რასაც ადგილი აქვს ვითარებითი ბრუნვის დაბოლოებაში, განცალკავებით მდგომი მოვლენა არ არის. ამგვარივე ხასიათისაა ბ-ს დაყრუება და ფ-დ ქცევა. -ებ და -ობ-იან ზმნებში (განსაკუთრებით დასავლურ კილოებში) ვაკეთეფ, ვამბოფ და სხვ.“¹

თუ რატომ მოხდა სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ზოგ შემთხვევაში -დ ფორმანტის დაყრუება, ხოლო ზოგან არა, რთული ასახსნელია, მაგრამ ჩვენ გვინდა ხაზი გაუუსვათ იმ ფაქტს, რომ -ედ-ი, როგორც ანმყოს ხოლმეობითისა და ბრძანებითის ფორმების მრავლობითის აღმნიშვნელი სუფიქსი, ძველ ქართულში მყარად ფუნქციონირებს და ამავე ძველ ქართულში არ არსებობს მისი -ად ვარიანტი ი-ს მომდევნო პოზიციაში, როგორც ეს -ენ-ა -ან-ის შემთხვევაში გვაქვს.

ი. აბულაძე VIII-X ს.ს. ძეგლებზე მუშაობისას სუბიექტის მესამე პირის მრავლობითობის გამოსახატავად -ედ ფორმანტის სხვა მწკრივებში ხმარების ცალკეულ შემთხვევებსაც ნააწყდა. იგი იშვიათად მეორე ხოლმეობითისა და უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივის ფუძეს დაერთოდა (მეორე ხოლმეობითი: მოვიდიედ, სხდიედ, შეიმოსიედ..., უწყვეტლის ხოლმეობითი: ზრუნვიდიედ, ეტყოდიედ, სცვიდიედ...) „თუ დღემდის ის ვიცოდით, - აღნიშნავს ავტორი, - რომ ძველ ქართულში უმეტესად ხოლმეობითი მეორე იხმარებოდა, ხოლო მას შემდეგ პირველი ხოლმეობითი გამოდიოდა (ისიც მესამე პირით, რადგან სხვები ამ მწკრივს არ გააჩნია), ახლა, გარდა იმისა, რომ ხოლმეობითი მეორის მესამე პირისათვის მრავლობით რიცხვში ზოგჯერ ცნობილისაგან განსხვავებული ფორმა გვაქვს, ისიც საგულისხმოა, რომ ხოლმეობითთა დასახელებულ მწკრივებს გვერდში უდგება უწყვეტლის ხოლმეობითი, რომელიც მესამე სუბიექტური პირის გამოსახატავად მრავლობით რიცხვში იმავე ფორმანტებს მიმართავს, რომლებსაც ხოლმეობითი მეორე და რომელთაგან ახლად

¹ აკ. შანიძე, ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება, კრ.: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბ., 1956, გვ. 35.

გამოვლინებული თავისი სახით სხვა არაფერია, თუ არ ანმყოს ანუ პირველი ხოლმეობითის ნიშანი მრავლობით რიცხვში, ე. ი. -ედ¹.

-ედ ნიშნის სტატიკურ ზმნათა ანმყოსა (ჰგიედ, ჰმოსიედ...) და თურმეობით პირველში (უქმნიედ, მიუღებიედ) დადასტურებული ფორმებიც იმის მაჩვენებელია, რომ მისი გამოყენების ფარგლები ბევრად ფართო უნდა ყოფილიყო, ვიდრე ეს ძველ ქართულში გვაქვს. თავდაპირველად -ედ ფორმანტის ფუნქცია -ენ და -ეს ნიშნის პარალელურად სუბიექტის მესამე პირის მრავლობითი რიცხვის გამოხატვა იყო, მაგრამ მოგვიანებით მისმა ფუნქციურმა დავინროებამ -ედ-ის გამოყენების საზღვრების შემცირება გამოიწვია და ძველ ქართულში იგი სისტემურად მხოლოდ ანმყოს ხოლმეობითისა და ბრძანებითის მწკრივებში სუბიექტის მესამე პირის მრავლობით რიცხვს ანარმოებს.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ უწყვეტლისა და მეორე ხოლმეობითის მწკრივებთან მესამე პირში -ედ მრავლობითის ფორმანტს წინ უსწრებს ისტორიულად პერმანსივისეული, ხოლო ძველ ქართულში უკვე მრავალჯერადი მოქმედების გამოხატველი -ი სუფიქსი (იხილნ-ი-ედ, სვიდ-ი-ედ...).

ამრიგად, -ედ ნიშნის მოცემულ ფორმებთან გამოყენება ადრე არსებული ვითარების საერთო სურათს ასახავს. ქართული ენის განვითარების გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე ყველაფერი უფრო მეტად განსაზღვრული იყო, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ: -დ, -ს, -ნ მორფემები მხოლობითი რიცხვის მესამე პირის შესაბამის კლასებს აღნიშნავდა, ხოლო მათი ხმოვნიათი ვარიანტები -ედ, -ეს, -ენ (→ან) კი მრავლობითი რიცხვისას, და არც ერთ მათგანს ჯერობის სემანტიკის გამოხატვასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა.

თუ -დ, -ს და -ნ ფორმანტები კლასისა და სუბიექტური პირის ნიშნები იყო ერთდროულად და ამ ნიშანთა გართულებას რიცხვის მორფოლოგიური კატეგორიის გამოხატვისას -ე ხმო-

¹ ილ. აბულაძე, ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII-X სს-ის ძეგლების მიხედვით, პრობები, III, თბ., 1976, გვ. 151.

ვანი იწვევდა, ეს მოვლენა უთუოდ ატარებს სისტემურ ხასიათს: -(ე)დ, -(ე)ს, -(ე)ნ; ამიტომ ე ხმოვნის ფუნქციის საკითხი ამკარაა. როგორც ჩანს, უძველეს ეპოქაში „ე“ ხმოვანი მრავლობითის შინაარსის მორფოლოგიური მაჩვენებელი იყო; უკვე ძველ ქართულში მრავლობითის „ე“ ხმოვანი მესამე პირის ნიშნებს ისე შერწყმია (-ედ, -ეს, -ენ), რომ მათი დიფერენცირება ძველი ქართულის მასალაზე უკვე აღარ ხერხდება.

ე ხმოვნის მრავლობითის ფუნქციით გამოყენებას მხარს უჭერს -ებ სახელთა მრავლობითის გამომხატველი ფორმანტიც, მიუხედავად იმისა, რომ მას ძველ ქართულში მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ვხვდებით.

სახელებსა და ზმნებში მრავლობითის ფორმობრივი გამოხატვის საერთო სისტემიდან ამოვარდნას სახელთა -ნ ბოლოსართი და სახელებისა და ზმნების -თ ქმნის.

სახელის ბრუნების დროს (მრ. რიცხვში) -ნ-ს იყენებენ სახელობითი და ნოდებითი ბრუნვები, რომლებიც -ებ-იანის წარმოების წესს მისდევენ, ე. ი. აწარმოებენ მრავლობითის ფუძეს და ნიშნებსაც დაირთავენ (სახ. კაც-ნ-ი, წოდ. კაც-ნ-ო). შესაძლებელია, ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს -ენ ნიშნის რედუცირებულ ვარიანტთან (*კაც-ენ-ი→კაც-ნ-ი, *კაც-ენ-ო→კაც-ნ-ო), რომელიც, გარკვეულ დიალექტურ წრეში შენახული, სახელობითი და ნოდებითი ბრუნვების ჩამოყალიბება-გაფორმების შემდეგ გამოჩნდა სალიტერატურო ენაში, როგორც სახელთა მრავლობითის მანარმოებელი სუფიქსი:

რაც შეეხება -თ←-დ-ს საკითხს, აქ მდგომარეობა ბევრად უფრო რთულია. „-თ-ს ფუნქციები წინათ უფრო ვრცელი უნდა ყოფილიყო (ვთქვათ: კაცთ ხართ..... კაც-თ ვარ-თ..... შდრ.: კაც-ნ არიედ),“¹ – შენიშნავს არნ. ჩიქობავა.

მრავლობითი რიცხვის -თ სუფიქსს პარალელები მხოლოდითი რიცხვის მოქმედებითი (-ი)თ და ვითარებითი (-ა)დ ბრუნ-

¹ არნ. ჩიქობავა, მრავლობითის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში, კრ.: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბ., 1956, გვ. 231.

ვების ფორმანტებთან ეძებნება, რაც იმის მანიშნებელია, რომ ისტორიულად არც -თ და -დ იყო მხოლოდ მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი სუფიქსი. ამგვარ მსჯელობას ქართული ენის არსებობის უძველეს საფეხურთან მივყავართ, სადაც, ალბათ, არ უნდა გამოირიცხოს *ეთ←*ედ ვარიანტების არსებობა რიცხვის ნიშნებად სახელებში, რომელთა ხმოვნითი ნაწილის დაკარგვა სულ უბრალოდ შეეძლო გამოენვია *-ეთ←*ედ-ზე დართულ ემფატიკურ -ა-ს (*კაც-ეთ-ა→კაც-თ-ა).

-ე-თა←ე-დ-ა კი ერთდროულად აღნიშნავდა იმ ეპოქაში არსებულ ყველა მოქმედი ბრუნვის (მიც., ნათ., მოქმ., ვით.) მრავლობით რიცხვს.

თუ სანყის ვითარებად, როგორც სახლებში, ისე ზმნებში, მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად -ეთ←ედ ფორმანტა გამოყენებას ვივარაუდებთ, ასახსნელი რჩება ზმნის უღლები-სას I და II პირის მრავლობითში მხოლოდ თანხმოვნითი ნაწილის -თ-ს სისტემური ხმარება (გამონაკლისების გარეშე).

ძველი ქართული:

თქუენ წმიდა ხართ, არამედ არა ყოველნი: იოვ., 13,10; ხოლო ჩუენ ვესაეთ, ვითარმედ იგი არს, რომელმან იქსნეს ისრაჲლი: ლუკა, 24,21; რაჲსა ზრახაეთ გულთა თქუენთა, მცირედ მორწმუნენო: მათე, 16,8; რამეთუ ვისილეთ ვარსკულაფი მისი აღმოსავალით: მათე, 22.

ახალი ქართული:

არც ერთს ქართველს მწერალს, დღეს ცოცხალს, ვერ გვიჩვენებთ, რომ თავისი სახელი მოუბოვებინოს სხვისის ქებითა და დიდებითა: ილია, V, 224; ჩვენ ყველას განსხვავებულად გვიყვარდა და მასაც ღრმად საესე გულით ვუყვარდით: დ. კლდ. 45; ჩვენ არ ვიცით, ჩვენ რას მოვახერხებთ, რას გავაკეთებთ: დ. კლდ. 50; როცა უკუვაქცევდით პაჭანიკებს, ტრამალზე ვიპოვნიდით ხოლმე სისხლგამოცლილ ცოცხალ ცხენებს: კ. გამს., III, 145.

აკ. შანიძე „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“ წყვეტილის მწრივზე მსჯელობისას აღნიშნავს: „წყვეტილის ნიშანია ნული და ე.... ე რომ ჰქონდეს წყვეტილს ნიშნად, ამის მაგალითებია: დაენერ-ე, შევეკერ-ე, შევეკრიბ-ე, აღვზარდ-ე, აღვავეს-ე და სხვანი. ეს ე მესამე სუბიექტურ პირში მოეკვეცება: მან დანერ-ა, მან შეკერ-ა, მან შეკრიბ-ა და მისთ. რაკი მხოლოდით რიცხვში იკვეცება, უნდა ვიფიქროთ, რომ მრავლობითშიც იკვეცება დანერ-ეს (ამის ნაცვლად: დანერე-ეს)“.¹

მესამე პირში წყვეტილის ე ნიშანზე მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის -ეს ნიშნის დართვამ ორი ე ხმოვნოდან ერთ-ერთის დაკარგვა გამოიწვია. აკ. შანიძის აზრით, დაიკარგა წყვეტილისეული ე ხმოვანი, ხოლო მრავლობითი რიცხვის სუფიქსი უცვლელი დარჩა.

რთულია, დაბეჯითებით ვამტკიცოთ, ორი ფუნქციის მატარებელი ე ხმოვნის რომელი შემთხვევა შემოგვინახა ენამ მათი ფორმობრივი გადაკვეთის დროს, მაგრამ, ვფიქრობთ, აქ ხაზგასასმელი სიტყვის ბოლოს ფონეტიკურად აბსოლუტურად იდენტური ორი ხმოვნოდან ერთის დაკარგვის ფაქტია.

თუკი დავუშვებთ, რომ ყველა შემთხვევაში მრავლობითი რიცხვის გამოხატვას ე ხმოვანს დართული თანხმოვნითი ელემენტი ემსახურებოდა, მაშინ -თ-ს წინა პერიოდად *ეთ მრავლობითის სუფიქსი უნდა ვივარაუდოთ. ასეთ შემთხვევაში წყვეტილის მწკრივის II და II პირების ისტორიული სახე შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ე-ნიშნისანი წყვეტილი:

I პ.	და-ვ-ნერ-ე	*და-ვ-ნერ-ე-ეთ
II პ.	და-ს-ნერ-ე	*და-ს-ნერ-ე-ეთ
III პ.	*და-ნერ-ე-ა	*და-ნერ-ე-ეს

¹ აკ. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 98.

უნიშნო ნყვეტილი:

I პ. მო-ვ-კალ	*მო-ვ-კალ-ე-თ
II პ. მო-პ-კალ	*მო-კალ-ე-თ
III პ. *მო-კალ-ა	*მო-კალ-ეს

საფიქრებელია, რომ -*ეთ←ედ ფორმანტების გამარტივების პროცესი სწორედ ე-ნიშნიანი ნყვეტილის მრავლობით რიცხვში დაიწყო, სადაც ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდა მწკრივისა და მრავლობითის სუფიქსისეული ე ხმოვანი. ამ ორი მსგავსი ხმოვნიდან დაიკარგა ერთ-ერთი და შედეგად მივიღეთ უკვე ძველ ქართულში არსებული და მყარად მოქმედი ზმნური ფორმები.

დარჩენილი ე ხმოვანი, რომელიც ფონეტიკურად გამარტივებული ორი მორფოლოგიური ნიშნის სინთეზს წარმოადგენს, ენობრივმა ცნობიერებამ აღიქვა როგორც მწკრივის ნიშანი და არა რიცხვისა; და სავსებით სამართლიანად, რადგან ფონეტიკურად იგივე ე მხოლობითი რიცხვის პირველსა და მეორე პირში ნყვეტილის მწკრივის ნიშანია. ნყვეტილის ნიშნის ფუნქცია მან მრავლობითი რიცხვის ფორმებში შეინარჩუნა, ხოლო თვით მრავლობითობის გამოსახატავად ორფონემიანი (-*ეთ) მორფოლოგიური ნიშნიდან მხოლოდ თანხმონითი ნაწილიც საკმარისი აღმოჩნდა.

ეს პროცესი თავისი მნიშვნელობითა და ფარგლებით ზუსტად ემთხვევა კავშირებითის ე ნიშანს დამატებული -ენ სუბიექტის მესამე პირის მრავლობითის სუფიქსის გამარტივების პროცესს, რის შედეგადაც კავშირებითიან მწკრივებში მხოლოდ -ნ გამოხატავს სუბიექტის მრავლობითობას.

*-ეთ←ედ სუფიქსის გამარტივებისათვის ხელი უნდა შეეწყოს ე-ნიშნიანი კავშირებითის ფორმებსაც, სადაც ნყვეტილის მწკრივის ანალოგიური ვითარებაა სავარაუდებელი.

უნყვეტლის კავშირებითი:

I პ. მი-ვ-ს-ცემ-დ-ე	*მი-ვ-ს-ცემ-დ-ე-ეთ
II პ. მი-ს-ცემ-დ-ე	*მი-ს-ცემ-დ-ე-ეთ
III პ. მი-ს-ცემ-დ-ე-ს	*მი-ს-ცემ-დ-ე-ენ

მეორე კავშირებითი:

I პ. მი-ვ-ს-ც-ე	*მი-ვ-ს-ც-ე-ეთ
II პ. მი-ს-ც-ე	*მი-ს-ც-ე-ეთ
III პ. მი-ს-ც-ე-ს	*მი-ს-ც-ე-ენ

ამრიგად, ყველა იმ შემთხვევაში, როცა მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად სახელებსა და ზმნებში მხოლოდ თანხმოვან-შემცველი -ნ, -თ სუფიქსი გამოიყენება, ისტორიულად მათი გახმოვანებული ვარიანტები -ენ, -ეთ||-ედ უნდა ვივარაუდოთ.

ე ხმოვნის დართვა-დაურთველობა რიცხვის მორფოლოგიური კატეგორიის ფორმობრივი გამოხატვის მთლიან სისტემას ქმნიდა, სადაც კორელაციის ერთი წევრი – მხოლობითი რიცხვის გამომხატველი – თანხმოვან სუფიქსებს (-ნ, -ს, *-დ) დაირთავდა, ხოლო მეორე – მრავლობითი რიცხვის გამომხატველი – მის ე-ხმოვნიან ვარიანტებს (-ენ, -ეს, -ედ||-ეთ).

ახლა, საჭიროა, დავუბრუნდეთ ანმყოს ხოლმეობითის მწკრივს, რომელიც მხოლობითი რიცხვის მესამე პირში (მას სხვა პირები ისედაც არ გააჩნია) -ნ-ს დაირთავს, ხოლო მრავლობითში -ედ-ს. ამავე ნიშნებს იყენებს ბრძანებითის ფორმებიც, რაც, ალბათ, იმის დასტურია, რომ ისინი ისტორიულად არც ხოლმეობითის და არც ბრძანებითის მანარმოებელი სუფიქსები არ ყოფილა, არამედ პიროვან-კლასოვანი უღლების სისტემაში შემავალი ერთ-ერთი ძირითადი საუღლებელი ელემენტი იყო. ანმყოს ხოლმეობითი და I და II ბრძანებითი შედარებით მოგვიანებით ჩამოყალიბებული მწკრივის ფორმებია და ამიტომ ფორმალური მაჩვენებლები წინამავალი მწკრივებისგანაა ნასესხები.

ძველი ქართულის მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ზოგ შემთხვევაში ანმყოს ხოლმეობითის ფორმებს ზოგადი ან-მყოს ფუნქციის გამოხატვის უნარიც გააჩნია, მაგალითად, წინა-დადებამი: „და ჰნათობნ იგი ყოველთა, რომელნი არიედ სახლსა შინა: მათე, 5,15; ან: „ანუ რომელი მუუფე მიუვალნ სხუასა მუუფესა ბრძოლად? ლუკა, 14,31

ზმნური ფორმები „ჰნათობნ“, „არიედ“, „მიუვალნ“ კონკრეტულ შემთხვევებში ზოგადად მიმდინარე მოქმედებას გულისხმობს. „და ჰნათობნ იგი ყოველთა“ ნიშნავს, რომ ის ანათებს ზოგადად, და, რა თქმა უნდა, ამ ზოგადობაში დროის ხანგრძლივი მონაკვეთი იგულისხმება, რომელსაც შეუძლია ხოლმეობითის შინაარსიც შეითავსოს, ამიტომ მოცემული ტიპის ფორმებში ეს ორი სემანტიკური ნიშანი-ზოგადობა და ხოლმეობითობა – იმდენად შერწყმულია, რომ მათი გამიჯვნა ფაქტობრივად შეუძლებელია, მაგალითად:

—რამეთუ მონამან არა იციან, რასა იქმნ უფალი თუსი: იოვ, 15,15; შეეწყალნეს იგინი, რამეთუ იყვნეს, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი. მარკ, 6,34; ჰე, უფალო, რამეთუ ძალნიცა ჭამედ ნაბიჭევისაგან: მათე, 15,27.

გამოთქმული მოსაზრება ცხადყოფს, რომ მესამე პირში -ნ და -ედ ბოლოსართიანი მნკრივის ფორმები ისტორიულად ჩვეულებრივი, გრძლივი ანმყოა, რომელმაც მოგვიანებით შეითავსა ჯერობის შინაარსი.

დასკვნა:

1. ანმყოს ხოლმეობითი მწკრივის ფორმების საწარმოებლად იყენებს -ნ (მხ. რ.) და -ედ (მრ. რ.) ფორმანტებს.
2. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში -ნ კლასის მორფოლოგიური კატეგორიის ნიშნადაა მიჩნეული.
3. -ნ ძველ ქართულში სახელებსა და ზმნებში ძირითადად მრავლობითი რიცხვის მანარმოებელი სუფიქსია, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში მხოლოდ რიცხვში გამოიყენება, კერძოდ, სახელებთან – მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად, ხოლო ზმნებთან – ანმყოს ხოლმეობითისა და I და II ბრძანებითის მესამე პირის ფორმებთან.
4. ამიტომ -ნ ფორმანტი ისტორიულად არ შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მრავლობითი რიცხვის მანარმოებელი ფორმანტი.
5. ზმნაში პირისა და რიცხვის გამოხატვის სისტემაში შეიმჩნევა ერთგვარი კანონზომიერება, რომელიც შეიძლება ასე გამოვხატოთ: ოდენტანხმოვანშემცველი სუფიქსები -დ, -ს, -ნ მხოლოდ რიცხვის მესამე პირს უჩვენებდა, ხოლო მათი ე-ხმოვნის ვარიანტები: -ედ, -ეს, -ენ-მრავლობითი რიცხვის მესამე პირს.
6. როგორც ჩანს, ქართული ენის განვითარების გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე, რიცხვის კატეგორიის გამოხატვის მორფოლოგიური დატვირთვა სწორედ ე ხმოვანზე მოდიოდა, რაც სისტემური ხასიათის მატარებელი იყო. გამოთქმულ მოსაზრებას მხარს უჭერს სახელებში -ებ სუფიქსის არსებობა.
7. -ნ-ს მრავლობით რიცხვში ხმარების ყველა დადასტურებული შემთხვევა, ჩვენი აზრით, -ენ სუფიქსის რედუცირებულ ვარიანტს წარმოადგენს.

ა) სახელებში – სახ. ბრ.: *კაც-ენ-ი→კაც-ნ-ი

ნოდ. ბრ.: *კაც-ენ-ო→კაც-ნ-ო

ბ) ზმნებში - I კავშირებითი: *კლ(ა)ვ-ი-დ-ე-ენ→კლ-ვ-ი-დ-ენ

II კავშირებითი: *მო-კლ-ა-ენ→მო-კლ-ა-ნ

კავშირებითის ფორმებთან მრავლობითის სუფიქსისეული ხმოვნის და არა კავშირებითის ნიშნის დაკარგვა ამ უკანასკნელის შინაარსის შენარჩუნების აუცილებლობით უნდა აიხსნას.

8. ზმნებში არსებული -ან მრავლობითის სუფიქსი გარკვეულ ფონეტიკურ პოზიციაში გამოიყენება (ი-ენ→ი-ან) და იგი -ენ სუფიქსიდან მომდინარეობს (გ. როგავა).

9. -ედ მრავლობითის ბოლოსართის არსებობა ზმნებში მხოლოდითი რიცხვისათვის *-დ ფორმანტს აღადგენს, რომელსაც პარალელები სახელთა ბრუნებაში, კერძოდ, მოქმედებითი და ვითარებითი (-დ, -თ) ბრუნვის ფორმანტებთან ეძებნება.

10. არ უნდა გამოირიცხოს *-ედ→*ეთ ვარიანტების არსებობა მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად სახელებში, რომელთა რედუქცია ემფატიკური -ა ხმოვნის დართვის შედეგი უნდა იყოს (*კაც-ედ-ა→*კაც-დ-ა|| *კაც-ეთ-ა→კაც-თ-ა).

11. ზმნების უღლების დროს I და II სუბიექტური პირების მრავლობითობის შინაარსის მორფოლოგიურ გადმოცემას -თ სუფიქსი ემსახურება, რომელიც ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე მოქმედებს უკვე ძველ ქართულში (ვარ-თ ჩვენ, ზრახავ-თ თქვენ...).

12. მრავლობითის გამოხატვის საერთო სისტემიდან გამომდინარე -თ-ს წინა პერიოდად სავარაუდებელია *-ეთ(←*ედ)-ის არსებობა, რომლის გამარტივების პროცესი ე-ნიშნის წყვეტილის, ხოლო შემდეგ ხმოვანსუფიქსიანი კავშირებითის ფორმებთან უნდა დაწყებულიყო (წყვეტილი: *და-ვ-ნერ-ე-ეთ, *და-ნერ-ე-ეთ; კავშირებითი II: *და-ვ-ნერ-ო-ეთ, *და-ნერ-ო-ეთ), როგორც ეს ე-ნიშნი-

ანი ნყვეტილის მესამე პირის ფორმებთან მრავლობითი რიცხვის -ეს სუფიქსის დართვისას მოხდა (*და-ნერ-ე-ეს→და-ნერ-ეს).

13. -ედ||-ეთ-ის გამარტივებული სახე -თ-ანი დანარჩენ მწკრივებზე ანალოგიის პრინციპით უნდა გავრცელებულიყო.
14. ანმყოს ხოლმეობითის მწკრივის მანარმოებელი სუფიქსები -ნ (მხრ. რ.) და -ედ (მრ. რ), რომლებიც ძველ ქართულში ახლანდელი დროის ერთჯერადობა-მრავალჯერადობის ასპექტური შინაარსის ფორმობრივ მაჩვენებლად გამოიყენება, ისტორიულად პიროვან-კლასოვანი უღლების სისტემის კუთვნილება იყო.

* * *

ახლანდელ დროში მრავალგზისი-ერთგზისი მოქმედების ფორმობრივი გამოხატვისაგან განსხვავებით წარსული დროის ფორმებში თავს იჩენს -ი სუფიქსი, რომელიც თანაბრად ფუნქციონირებს უწყვეტელისა და ნყვეტილის მწკრივის მრავალჯერადი პროცესის აღმნიშვნელ ზმნებთან. „უწყვეტლის ხოლმეობითის ნიშანია ი, რომელიც ორივე რიცხვის ყველა პირში გასდევს: ვაქებდი, აქებდი, აქებდის, ვაქებდით, აქებდით, აქებდიან... მეორე ხოლმეობითის ნიშანია ი: შევიპყრი, შევკარიბი, აღვზარდი, აღვავესი და სხვ“.¹

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში -ი გენეტურად ასპექტის მორფოლოგიური კატეგორიის ნიშნად არის მიჩნეული და იგი იმ ისტორიული ეპოქის კუთვნილებაა, როცა ზმნის ცვლილება ასპექტების მიხედვით ხდებოდა. -ი-ნიშნიანი ფუძე განგრძობით ასპექტს||პერმანსივს გადმოგვცემდა: მან აკეთ-ი-ს,

¹ აკ. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 90-98).

შენ აკეთ-ი, მე ვაკეთ-ი, ხოლო მომენტობრივ ასპექტს-აორისტი (ნამყო ძირითადი), მან აკეთა, შენ აკეთე, მე ვაკეთე.¹

პერმანსივს, რომელსაც გრძლივი, დაუსრულებელი მოქმედების ჩვენების ფუნქცია ჰქონდა, თავისი არსით „ეთვისება ანმყო და ამ უკანასკნელისაგან ნანარმოები ნამყო უსრული (აკეთებს – აკეთებდა). ორივეს მნიშვნელობისათვის ნიშანდობლივია განგრძობითობის, დიურატიულობის ელემენტი“.²

ისტორიულ ხოლმეობითზე დაყრდნობით ძველ ქართულში უკვე ჩამოყალიბებულია ანმყო დროის ფორმები – „პერმანსიული ფუძე დროთა განმავლობაში თავისი შინაარსით იმდენად დაახლოებია ანმყოს, რომ სრულიად შესაძლებელია ხმარება ნინადადებაში ანმყოს და პერმანსივის ნარმოების ზმნებისა ისე, რომ დროთა თანამიმდევრობის დარღვევა ამით ოდნავადაც არ იგრძნობა“,³ მაგალითად:

და სადაც დააპყრის იგი, დაკუუეთის და პეროინ და იღრ-
ჭენნ კბილთა და განკმებიან: მარკ, 9,18; ნუ მრავალსა იტყუ,
ვითარცა-იგი წარმართთაგანი, რამეთუ ჰგონებედ, ვითარმედ
მრავლისმეტყუელებითა მათითა ისმინოს მათი: მათე, 6,7; ხოლო
რომელნი ეძიებნ დიდებასა მომაფლინებელსა თჳსასა, იგი ჭეშ-
მარიტ არს: იოვ, 7,18; რამეთუ რომელ ვალს ბნელსა, არა
უწყინ, ვიდრე ვალს: იოვ, 12,35; რაჟამს რტონი მისნი დაჩუჩ-
ვან და გამოვალნ ფურცელი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს
ზაფხული: მარკ, 13,28; რამეთუ მიმსგავსებულ ხართ საფლა-
ვთა განგონილთა, რომელნი ჩანედ კაცთა წინაშე შუენიერ: მათე,
20,27.

¹ არნ. ჩიქობავა, პერმანსივის (ხოლმეობითის) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღველილების სისტემაში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, IV, ნან. I, თბ., 1943, გვ. 92.

² არნ. ჩიქობავა, იქვე, გვ. 92. გვ. 93.

ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიებისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954, გვ. 14.

რამდენადაც გრძლივი მოქმედების გამოხატვა თავისი შინაარსით ყველაზე მეტად ანმყო დროის გამოხატვას შეეგუა, ამიტომ ანმყომ საკუთარი შინაარსის გადმოსაცემად ისტორიული პერმანენციის ფუძე გამოიყენა და ზოგიერთ შემთხვევაში მისი ფორმობრივი მაჩვენებელი ისესხა (ამ შემთხვევაში საუბარია ინიშნიან ანმყოზე).

ხოლმეობითის ძირითადი ფუნქცია, აღნიშნავს გ. მაჭავარიანი, ისტორიულად განგრძობითი, დიურატიული, ხაზოვანი მოქმედების ჩვენება უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ხოლმეობითის სუფიქსი -ი სტატიკურ ზმნათა ერთი ჯგუფის ანმყოს სანარმოებლადაც არის გამოყენებული: ი-ც-ი-ს, უწყ-ი,ს, ზ-ი-ს, არ-ი-ს და ა. შ. სტატიკური ზმნების ბუნება კი სავსებით გამორიცხავს ყოველგვარ მრავალგზისობას, რადგანაც სტატიკური ზმნა მასთან დაკავშირებული სახელის მდგომარეობას გამოხატავს და არა მოქმედებას. სამაგიეროდ, დინამიკურ ზმნასა აქვს შესაძლებლობა განმეორებული, მრავალგზისი მოქმედების გამოხატვისა, ამიტომ ხოლმეობითს შეეძლო ეტივრთა და იტივრთა კიდევ მრავალგზისობა, როგორც თანმხლები ფუნქცია.¹

„მკის, კსნის, ყიდის“ ტიპის ზმნები ძველ ქართულში არნ. ჩიქობავას მოსაზრებითაც ისტორიული ხოლმეობითია. ძველ ქართულში ეს ნაკვთი საზიარო ხდება ანმყოსა და ხოლმეობითისათვის, ახალში კი ხოლმეობითი აღარაა და ამიტომ ხოლმეობითისეული: მკის, კსნის მხოლოდ ანმყოდ წარმოგვიდგება.²

ამგვარად, -ი სუფიქსის ისტორიული ფუნქცია, საყოველთაოდ მიღებული მოსაზრებით, გრძლივი მოქმედების ჩვენება იყო, ხოლო ქართული ენის განვითარების შემდგომ ეტაპზე, როცა ზმნის ასპექტური შინაარსი რამდენადმე შეიცვალა, -ი

¹ გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, კრ.: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბ., 1974, გვ. 124.

² არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1948.

ნიშანმა მრავალგზისი მოქმედების მორფოლოგიური გამოხატვა იკისრა.

მრავალგზისობა კი, როგორც ძველი ქართულის ანმეოს, უწყვეტლისა და წყვეტილის ფორმათა დამატებითი შინაარსი საკუთარი მარკირებული ზმნური ფორმებით, ნელ-ნელა დასუსტდა და თავისი ცხოველმყოფელობა დაკარგა, ამიტომ მრავალგზისობის აღმნიშვნელ ფორმათა გამოყენება გვიანი ხანის ძეგლებში უფრო ფსევდოარქაულია, ვიდრე მისი აუცილებელი ხმარებით გამოწვეული მოვლენა.

მრავალგზისი მოქმედების გამოხატვის ძველი სისტემის ნაშთები ახალი ქართულის ხევსურულ, ფშაურ და თუშურ დიალექტებშია შენარჩუნებული. „ამ სამ კილოში ხოლმეობითის წარმოების თვალსაზრისით ის სხვაობაა, რომ თუშურსა და ხევსურულს პირველ-მეორე პირში -ოდ სუფიქსის ნაცვლად ნამყო უსრულის -დ სუფიქსი აწარმოებს. სამსავე კილოში ხოლმეობითი (მეორე ხოლმეობითი) ნაწარმოებია ძველი ქართულიდან ცნობილი მეორე ხოლმეობითისაგან და იგი არის ძველი ქართულის მეორე ხოლმეობითის ბადალი... (თუშურ-ხევსურული: ვ-ა-ლ-ი-დ-(ი), ა-ლ-ი-დ-(ი), ა-ლ-ი-ს, ფშაური: ვ-ა-ლ-ოდ-ი, ა-ლ-ოდ-ი, ა-ლ-ი-ს)“.¹

რაც შეეხება მოხეურს, აქ ვითარება რამდენადმე შეცვლილია. „ხოლმეობითის წარმოებაში გაირჩევა ძველი სინთეზური წარმოების გადმონაშთები მარტოოდენ კე ნანილაკიანი და კონტამინაციური ხოლმეობითის ფუძეზე კე დართული ფორმები“.² (იკოცებოდის, იყვის, ან: „ადრე ვდგებითკე“, „მოვამზადიკე იარალი“).

მოხეურ დიალექტში ხოლმეობითის ძველი, ორგანული წარმოება მოშლის გზაზეა, რის ადგილსაც ახალი სალიტერატურო ქართულის მსგავსად აღწერითი წარმოება იჭერს.

¹ აღ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 107.
ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1986, გვ. 56.

§ 2. ასპექტის მორფოლოგიური კატეგორია ახალ ქართულში

ახალი ქართული სალიტერატურო ენა სათავეს XII საუკუნის ქართული მწერლობიდან იღებს. „მეხოტბეთა (შავთელის, ჩახრუხაძის) ენა, შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ენა უკვე აღარაა ძველი ქართული. სახელთა ბრუნებაში, ზმნის უღვლილებაში ახალი ქართულის დამახასიათებელი მოვლენები გვაქვს. სიტყვათა ნყობაც არსებითად ახალი ქართულისაა“,¹ თუმცა მან საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე XVIII-XIX საუკუნეებისათვის მიიღო.

ამიტომ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ასპექტური გამოხატვის ზმნური სისტემა, რომელიც მთლიანად ეყრდნობა ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა წარმოებას, ხანგრძლივი დროის მანძილზე ყალიბდებოდა. თანამედროვე ქართულში ასპექტური ოპოზიცია ბინარულია. მისი ერთი წევრი უზმნისწინოდაა წარმოდგენილი, ხოლო მეორე – ზმნისწინით, აქედან გამომდინარე, შინაარსიც ორგვარია: უსრული და სრული.

ძველი ქართულიდან დღემდე მხოლოდ ასპექტის მორფოლოგიურმა კატეგორიამ შეიცვალა თავისი გამოხატვის სისტემური სახე. ამ სისტემათა შეცვლა ხდებოდა ნელა და თანდათანობით, საშუალო ქართული (XI-XVII) ძეგლები ორივე სისტემის გამოყენებით, ე. ი. პარალელურ ფორმათა არსებობით ხასიათდება,² სისტემის შეცვლის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ „ასპექტი ძველ ქართულში უღვლების კატეგორიაა, ახალ ქართულში კი – წარმოქმნისა“.³

ახალ ქართულში ასპექტი სისტემის ჩამოყალიბების გზა ემთხვევა მყოფადის ჯგუფის მწკრივების მორფოლოგიურ გა-

¹ არნ. ჩიქობავა, ახალი სალიტერატურო ქართული ენის წარმოქმნისათვის, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1950, გვ. 18.

² აკ. შანიძე, ასპექტის გამოხატვის სისტემის შეცვლა ქართულში და მისი შედეგები, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, 9, თბ., 1942.

აკ. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 68.

ფორმებას, ამიტომ მათი ცალ-ცალკე განხილვა არ მოხერხდება.

ქართული ოთხთავის ტექსტში ახალი სისტემის მაგალითი პირველად აკ. შანიძემ შენიშნა. მათეს თავში ვკითხულობთ: „შაშინ ჰრქუა მათ იესუ: თქუენ ყოველნი დაბრკოლებად ხართ ჩემდა მომართ ამას ღამესა, რამეთუ წერილ არს: დავსცე მწყემსი და განიბნინენ ცხოვარნი სამსსოჲსა მისისანი“: მათე, 26,31.

მოყვანილ მაგალითში „დავსცე“ ფორმა II კავშირებითია და მყოფადის ძველი ქართულის სისტემას ეყრდნობა, მაგრამ ამავე სახარების მეორე რედაქციაში იკითხება: „დავსცემ მწყემსსა და განიბნინედ ცხოვარნი სამწყსოჲსა მისისანი“. აქ „დავსცემ“ უკვე ახალი ქართულისათვის ნიშანდობლივი ფორმით უხმარია „ევანგელეს“ მთარგმნელ-გადამწერს.

„XI საუკუნიდან რიცხვი ახალი სისტემის მიხედვით ნანარმოები ფორმებისა თანდათან მატულობს“.¹ ამგვარ ფორმათა საკმაოდ დიდი რაოდენობა ძველი ქართული ძეგლების მიხედვით აღწერილ-აღწუსებული აქვთ ზ. ჭუმბურიძეს ნაშრომში „მყოფადი ქართველურ ენებში“² და ზ. სარჯველაძეს „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალში“.³

ცნობილია, რომ ძველ ქართულში მომავალი დროის გამოსახატავად კავშირებითის ფორმები გამოიყენებოდა და, ამავე დროს, იმავე მომავალ დროს ძველ ქართულში უკუთქმითი ბრძანებითის ფორმებიც გამოხატავდა, რომლებიც ამგვარ ფორმათა სანარმოებლად ზმნისნინიან ანმყოს სესხულობდნენ. მოცემულ შემთხვევაში ანმყო დროის ფორმებში „შინაარსის მიხედვით მხოლოდ მომავალი დრო იგულისხმება. და, ამრიგად, ზმნა მყოფადის გაგებას შეიცავს“.⁴

¹ ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 491.

ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986, გვ. 55-760.

³ ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 490-505.

ზ. სარჯველაძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986, გვ. 62.

ზმნისწინიან ფორმებს მყოფადის შინაარსის გამოხატვის ფუნქცია სწორედ უკუთქმითი ბრძანებითის წარმოების დროს უნდა მიეღოს. „ეს პროცესი, ჩანს, ადრევე დაწყებულია და უკვე უძველეს წერილობით ძეგლებში არის ასახული. მაგრამ მყოფადზე, როგორც ცალკე მწკრივზე, შეიძლება ვილაპარაკოთ მას შემდეგ, რაც საანალიზო ზმნისწინიანმა ფორმებმა მომავალი დროის გაგება თხრობით კილოშიც შეიძინეს“.¹

ძველი ქართულის ტექსტებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ იშვიათად ხოლმეობითის ფორმებსაც შეუძლიათ იტვირთონ მომავალი დროის შინაარსის გადმოცემა ზუსტად ისევე, როგორც ეს სათანადო კავშირებითებთან ხდება. ამ ფაქტთან დაკავშირებით ზ. ჭუმბურიძე წერს: „მომავალი დროის აღსანიშნავად ძველ ქართულში გარკვეულ შემთხვევაში გამოიყენებოდა აგრეთვე ხოლმეობითის მწკრივები, განსაკუთრებით – II ხოლმეობითი. ასეთი ვითარება გვაქვს, სახელდობრ, მაშინ, როცა საქმე ეხება ისეთ მოქმედებას, რომელიც ჩვეულებრივია და მარადის ხდება (წარსულშიც, ახლაც და მომავალშიც)“.²

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

ეტყოდა იესუ ერსა მას: რაკამს იხილით ღრუბელი ამომავალი დასავლით, მიქსეულად სთქუთ: ლუკა, 12,54; შე-რაჲ-მწუხრდის, სთქუთ: ყუდრო იყოს, რამეთუ წითს ცაჲ: მათე, 16,2; ნუცა რას აწყუნ, ნუცა ტაიჭთა უძოებუნ, ნუცა კუიცთა წაჰგურიან მძოვნებელსა ჩუნთა: ქართ. საისტ. საბუთები, 69.

სხვადასხვა ენათა მასალის ჩვენების საფუძველზე საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ დროის მროფოლოგიური კატეგორია შეიძლება არ იყოს იმთავითვე მოცემული ამა თუ იმ ენობრივ სისტემაში.

¹ ზ. სარჯველაძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986, გვ. 64.

იქვე, გვ. 52.

ბევრი ენა (მაგალითად, სემიტური ენები, ამერიკელ ინდიელთა ენები) დღესაც არ იცნობს დროთა სამწევრიან სისტემას.¹

მართლაც, ენის განვითარების პირველ ეტაპზე ჩვეულებრივია ანმყო-აორისტის ოპოზიცია, ხოლო მომდევნო ეტაპისათვის ენაში ლოგიკურად ჩნდება ოპოზიციის მესამე წევრი, რომელიც მყოფადი უნდა იყოს. მომავალი დროის გაჩენა მშრალი ენობრივი მოვლენა კი არ არის, არამედ ადამიანის გონების განვითარების, მისი მსოფლმხედველობრივი აზრის გაფართოების უტყუარი შედეგი.

მომავალში შესასრულებელი მოქმედება საფუძველშივე შეიცავს შესაძლებელ-სავარაუდო, თუობითი შინაარსის - კილოს ელემენტს, ნიუანსს. „ამ თვალსაზრისით კავშირებითი კილო მომავალ დროზე გვიან ჩამოყალიბებულად შეიძლება მივიჩნიოთ, და ამდენად, ჩვენთვის საინტერესო, ე. წ. კავშირებითის (დღევანდელი გაგებით) ფორმებისათვის მომავალის გამომხატვის ფუნქცია-პირველადაა“.²

კავშირებითის ფორმებს მომავალში შესასრულებელი მოქმედების გამომხატვის უნარი რომ გააჩნია, ეს ფაქტია ძველი ქართული ენის მაგალითზე, მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ ენაში არსებული შინაარსების განვითარების ლოგიკურ გზას, მყოფადის სემანტიკის ჩვენება ისტორიულად ბრძანებითის ფორმების გამოყენებით უნდა დაწყებულიყო, რადგან ბრძანებითი, წართქმითი იქნება ეს თუ უკუთქმითი, თავისდათავად გულისხმობს მოსაუბრე პირის ბრძანების შემდეგ, ე. ი. მომავალში შესასრულებელ მოქმედებას და გვატყობინებს სუბიექტის დამოკიდებულებას შესასრულებელი მოქმედებისადმი (იგულისხმება ბრძანებითი, თხოვნითი, თხოვნით-ბრძანებითი და ა. შ. შინაარსები). ეს ძირითადი სემანტიკური ხაზი როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში უცვლელად არსებობს:

¹ დ. მელიქიშვილი, მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ურთიერთობის საკითხისათვის, იკე-ს წელიწადეული, თბ., 1980, გვ. 70.

² იქვე, გვ. 74.

უძლურთა განჰკურნებდით, კუთროვნთა განსწმედდით, ეშმაკთა განასხემდით, უსასყიდლოდ მიიღეთ, უსასყიდლოდცა მისცემდით: მათე, 10,8; და ისმინე პირისა ჩემისაგან სიტყუანი: ეზექ., ა,3,17; და შენ, ძეო კაცისაო, მოიღე შენდა მახული ლესული: ეზექ. ა,5,1

მყოფადის შინაარსის გაძლიერებას, ბრძანებითის ფორმების გარდა, მომავალი დროის ფუნქციით კავშირებითისა და ხოლმეობითის ზმნური ფორმების გამოყენებაც მოჰყვა, ხოლო მოგვიანებით მისი წარმოება მთლიანად ზმნისწინთან ფორმებზე გადავიდა, ამ უკანასკნელს კი მიმართულების ჩვენების ფუნქციასთან ერთად მყოფადისა და პარალელურად სრული ასპექტის გამოხატვის ფუნქციები დაეკისრა.

ახალი სისტემის მაგალითები უხვად გვხვდება უკვე XII საუკუნისა და შემდგომი ხანის ძეგლებში:

ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია: ვეფხ., 15; ანუ მომკლავს, ანუ მოგვკლავ, დაიმაღვის მეტის-მეტად: ვეფხ., 46; სულთა მოგცემ გულისათვის, სხვა მეტიმცა რა გაქონე: ვეფხ., 51; თქვენ თუ არ მოხვალთ, ჩვენ მოვალთ, ზედა არ მოგეპარებით: ვეფხ., 78; შენთვის მოგვედები, გაუხდები ყორანთა დასაყვიარად: ვეფხ., 245; იგი გამომისხნის, მალხენს, გამომიყვანს, გამკურნებს, გამამხიარულებს, შემინახავს, დამიცავს და მატებულ მყოფს: ვისრამ, 186; არ დასთმობს დარეჯანისძე და წავა ბრძოლაც მის ვეშისად: ამირან-დარეჯ., 92; და ვინცაღა მწირველნი იყუნეთ, წირვასა ნუ დამაკლებთ: თისლისა და ხახელის მინაწერები; 34; და სასჯელსაცა დაიმკვიდრებს შენთა უარისყოფელთასა! ქართ. ისტ. საბუთები, 116; ...თუ უნდა, მამა გაყიდის, და თუ უნდა, მონასყიდე შეიტანს, რასაც უზამს, მამამ იცის: ძეგლის დადება, 65; მაგრამ ნიშატსა, ძალსა და საქმეს ყელაკასა სხვადასხვას მისცემს: სულხან-საბა, ტ. III,42; ანჩხლს დაატკობს და განსწავლის სულელსა კაცსა და უცებს: არჩ., 22; მელნად ნაღველს მოვიხმარებ, აღმოვაწვებ გულსა კალმად: ვახტანგ, VI,22; ააყენებენ მცოდნეს, გამორჩეულსა მთქმელებსა:

თეიმურაზ II, 48; ბატონო ნახევარ-ღიაკვანო, მეცნიერს გიხმობენ და მეც მასწავლეთ რამე: იოვ. ბატონ. ტ. I, 29; ცოცხალსა ტყაესა ვინ გახდის? — მაგრამ მას გაახდევინეთ: ბესიკი, 90; კრძალი შუა გამჭრის, ჯოხი ზურგს მატყენს, ისარი მომკლავს, ქვა გამიტყენს თავს: თეიმურაზ ბაგრატი. 26..


შენიშვნა: მოცემულ წინადადებაში ყურადღებას იპყრობს ახალი მყოფადის ფორმათა სიუხვე. რაც შეეხება ბოლო ზმნურ შინაარსს („მატებულ მყოფს“), თავისი წარმოებით იგი აღწერიითა და ძველი ქართულის ნორმებს ექვემდებარება. აღწერიითი მყოფადის საკითხთან დაკავშირებით ივ. ქავთარაძე წერს: „მყოფადის აღწერილობითი ფორმები ჩვეულებრივია დღესაც მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში — მაშასადამე, აფხაზურ-აღილეურსა და დაღესტნურ ენებში დღესაც მოქმედია მყოფადის გამოსატყის ის სისტემა, რაც ნიშანდობლივი იყო ქართული ენისათვის V-X საუკუნეებში და სავარაუდებელია უფრო ადრეც“¹.

იმ ენებში, სადაც საერთოდ არსებობს ასპექტის გამოხატვის მორფოლოგიური სისტემა, ორგანული წარმოებიდან ყველა ზმნისწინიან წარმოებაზე გადადის (ვგულისხმობთ ბერძნული, სლავური, გოთური და სხვა ენების მონაცემებს). ამ მხრივ, ქართული არ წარმოადგენს გამონაკლისს. როგორც ანს, ზმნისწინის ზოგადენობრივ ფუნქციას დასრულებული, დამთავრებული მოქმედების ვენება წარმოადგენს. სხვაგვარად ასპექტის ახალი სისტემის ფორმირების პროცესის არსი დაუდგენელი რება როგორც ქართულის, ისე დანარევი ენების მიმართაც.

ამრიგად, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, ზმნისწინიანი ფორმები, მყოფადის წრისა იქნება ეს თუ აორისტის ჯგუფისა, აუცილებლად სრული მოქმედების

¹ ივ. ქავთარაძე, აღწერიითი მყოფადი და ნამყოს ერთი სახეობა ძველ ქართულში, „მაცნე“, ენისა და ლიტ-ის სერია, 1, 1971, გვ. 139.

გამომხატველია, ხოლო უზმნისწინონი – უსრულის, ამიტომ ძველი ქართულის ანმყო დროის პრევერბიანი ზმნები ახლად ჩამოყალიბებული მყოფადის მსკრივის ზმნურ ყალიბში ჩაჯდა, რის შედეგადაც ანმყო-მყოფადის ოპოზიციური სისტემა მივიღეთ:



სრული და უსრული ასპექტების დაპირისპირება ძირითადად თანამედროვე ქართულში, სხვა ასპექტური შინაარსები კი ასპექტურობის ზოგადი ცნების ქვეშ ერთიანდება და მორფოლოგიურ კატეგორიად არ ფორმდება. მათი გამოხატვა წინადადების დონეზე სხვადასხვა ლექსიკური საშუალების გამოყენებით ხდება, ამიტომ ამგვარი შინაარსები ასპექტის ლექსიკურ-სემანტიკური კატეგორიის კორელაციის ნევრებია და არა გრამატიკულ-მორფოლოგიური კატეგორიისა.

ტრადიციული გაგებით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ახალ ქართულში ასპექტის მორფოლოგიური კატეგორია ოპოზიციის ბინარულ მოდელს ეყრდნობა, მაგრამ ქართულ ენათმეცნიერე-

ბაში არის ცდა ოპოზიციის სისტემის ტერნარული მოდელით შეცვლისა.

კ. ჭრელაშვილი ასპექტურ ერთეულთა აღსანიშნავად ახალ ტერმინებს ხმარობს: სრული I (დანერა, დახატა, ააშენა...), სრული II (ნერა, ხატა, აშენა...) და უსრული (ნერდა, ხატავდა, აშენებდა...). ისინი ზმნით გამოხატული მოქმედების გრძლიობის ხარისხს განსაზღვრავენ. ამ განსაზღვრის დროს, ავტორისათვის ამოსავალი სუბიექტის მიერ დანახულ-შეფასებული მოქმედებაა. ამიტომ „ასპექტი არის ზმნის უნარი ერთი ლექსემის შიგნით, ერთი ლექსიკური მნიშვნელობის ფარგლებში გამოხატოს და-პირისპირება სუბიექტის მოქმედების გრძლიობის ხარისხებს შორის“.¹

ქართულში ასპექტის სამწევროვან კორელაციას, კ. ჭრელაშვილის აზრით, შემდეგი სემანტიკური ნიშნები უდევს საფუძვლად: 1. მომენტურობა, 2. პროცესუალობა, 3. დიურატიულობა, 4. მთლიანობა. „კორელაციის თითოეული წევრი ხასიათდება საკუთარი დიფერენციალური სემანტიკური ნიშნებით, რომელთა ერთიანობაც არ მეორდება მეორე წევრში“² და ისინი ერთმანეთისაგან გრძლიობის ხარისხით განსხვავდებიან: „დანერა“ დაბალი გრძლიობისაა, „ნერა“ – საშუალო, ხოლო „ნერდა“ – მაღალი გრძლიობის მატარებელი ელემენტი.

მართლაც, ასპექტური შინაარსების დროს დიურატიულ ხაზზე წარმოდგენა ყველა ამ შინაარსის გამოყოფისა და განსაზღვრის საშუალებას იძლევა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ასპექტის კატეგორიაში შემავალი მთლიანობისა თუ მომენტურობის, პროცესურობისა თუ რეზულტატობის სემანტიკურ-მადიფერენცირებელი ნიშნები თან ახლავს სრულ და უსრულ ასპექტებს და დამატებით ახა-

¹ კ. ჭრელაშვილი, ასპექტის, როგორც ენობრივი კატეგორიის არსი და ასპექტის სამწევრიანი კორელაცია თანამედროვე ქართულ ენაში: საისტორიო-ფილოლოგიური ძიებანი, ნაწ., I, თბ., 1980, გვ. 234.

² იქვე, გვ. 241.

სიათებს მათ. ისინი ამ უკანასკნელთა თანმხლები ასპექტური შინაარსებია.

მიმდინარე პროცესის ხასიათის სხვადასხვაგვარობის დროის დიურატიულ ხაზზე გამოხატვა ქართულ ზმნაში ეჭვს არ იწვევს, ამიტომ ხშირია შინაარსთა ამ ნაირგვარობის ერთმანეთისაგან გამიჯვნის ცდები.

თ. მეტრეველი განარჩევს რა უწყვეტლის, წყვეტილისა და ხოლმეობითის ზმნურ ფორმათა შინაარსებს, წერს: „უწყვეტლის ფორმა აღნიშნავს დროულ ჩარჩოში მოქცეულ ისეთ დაუსრულებელ მოქმედებას, რომლის წარმოდგენაც დროის დურატულ ღერძზე არ ჩანს შეწყვეტილი; წყვეტილის უსრული ფორმა – დროულ ჩარჩოში მოქცეულ ისეთ დაუსრულებელ მოქმედებას, რომლის წარმოდგენაც დროის დურატულ ხაზზე შეწყვეტილია; წყვეტილის სრული ფორმა – ისეთ დასრულებულ მოქმედებას, რომელიც დროის დურატულ ხაზზე მომენტობრივი, ნერტილობრივი წარმოდგენით ხასიათდება“.¹ ხოლო ხოლმეობითის ფორმებთან „დროული ჩარჩოს საბოლოო ნერტილი, უწყვეტლის ფორმების მსგავსად, განუსაზღვრელია და მოქმედების წარმოდგენა დროის დურატულ ღერძზე არაა შეწყვეტილი“.² (ხაზი ჩვენია ი.ს.).

ზემოჩამოთვლილი შინაარსების გათვალისწინებით, პრედიკაცია, რომელიც მოქმედების შეწყვეტა-არშენწყვეტას გულისხმობს, დრო-კილოთა უღვლილების დროს თან ახლავს ქართულ ზმნას, ამიტომ ავტორისეული დასკვნა ასეთია: „ა) ქართული ზმნის ასპექტი ახასიათებს არა მარტო მოქმედებას მისი სისრულე-უსრულობის თვალსაზრისით, არამედ პრედიკაციასაც და გვიჩვენებს, შეწყვეტილია თუ არა მოქმედების წარმოდგენა დროის დურატულ ღერძზე; ბ) თუ მხედველობაში მივიღებთ პრედიკაციის დახასიათებას, ვნახავთ, რომ ქართულში ასპექტი

¹ თ. მეტრეველი, ასპექტის კატეგორიისათვის ქართულში, ქართ. ენა და ლიტ. სკოლაში, 3, თბ., გვ. 107-108.

იქვე, გვ. 108.

გვევლინება როგორც წარმოქმნის კატეგორიად, ისევე უღლების კატეგორიადაც“.¹

ქართულში პრედიკაციის, როგორც ძლიერი ასპექტური შინაარსის არსებობამ წარმოშვა კიდევ ერთი განსხვავებული მოსაზრება, რომელიც გ. ნებიერიძეს ეკუთვნის.

დასახელებული მეცნიერი ახალ ქართულში ოპოზიციის სამ-ნევროვან სისტემას ეყრდნობა, რომლის მესამე წევრი წყვეტილი ასპექტია. „ასპექტობრივი ოპოზიციები ქართულში, – აღნიშნავს გ. ნებიერიძე, – ადეკვატურად შეიძლება აღინეროს მხოლოდ ასპექტის ტერმარული მოდელით და თანაც ისეთი ტერმარული მოდელით, რომელშიც სრული და უსრული ასპექტის გვერდით გამოყოფილი იქნება წყვეტილი ასპექტიც“.² თითოეული მათგანი მოქმედებას ფინალური ფაზის მიხედვით ახასიათებს.

ავტორის აზრით, წყვეტილი ასპექტი წყვეტილის მწკრივის როგორც ზმნისწინიან, ისე უზმნისწინო ფორმებს აერთიანებს. „დანერა“ ტიპის ფორმები წყვეტილი ასპექტისაა იმიტომ, რომ მოქმედების დასრულება დროის მოქმედების შეწყვეტაცაა, ხოლო „ნერა“ ტიპის ფორმები წყვეტილ ასპექტს გამოხატავენ იმიტომ, რომ დაუსრულებელ მოქმედებას შეწყვეტილად წარმოადგენენ“.³

თუ გავითვალისწინებთ ასპექტის საყოველთაოდ აღიარებულ განმარტებას, რომ იგი დროში მიმდინარე პროცესის რაგვარობას მიუთითებს, როგორია, რა სახისაა მოქმედება – მაშინ წყვეტილობა ენაში არსებული ისეთი შინაარსია, რომელიც სწორედ ზემოთ დასმულ კითხვას პასუხობს – მოქმედება შეწყვეტილია ანუ კონკრეტული ზმნური ფორმით მოცემული შინაარსი ამ მოქმედების შეწყვეტაზე მიუთითებს (დანერა, დახატა, ააშენა, ააფორიაქა...), ე. ი. წყვეტილობა აუცილებლად ას-

¹ თ. მეტრეველი, ასპექტის კატეგორიისათვის ქართულში, ქარ. ენა და ლიტ. სკოლაში, 3, 1979, თბ., გვ. 112.

² გ. ნებიერიძე, ასპექტი ქართულში, აკაკი შანიძე – 100 (საიუბილეო კრებული), თბ., 1987, გვ. 142.

³ იქვე, გვ. 137.

პექტური შინაარსია და არავითარ შემთხვევაში არ არის დროის, ამიტომ იგი სამართლიანად შეიძლება მივიჩნიოთ ქართულ ას-პექტურ სისტემაში შემავალ ერთ-ერთ საოპოზიციო ერთეულად, მაგრამ მას უნდა დაეუპირისპიროთ უწყვეტელობა, როგორც ნყვეტილობის ანტონიმური შინაარსი და არა სრულობა-უსრულობა, რომლებიც, თავის მხრივ, ცალკე მდგომ საოპოზიციო ერთეულებს წარმოადგენენ.

ასპექტის მორფოლოგიური კატეგორიის სინქრონულ დონეზე განხილვისათვის საჭიროდ ვცანით მისი სემანტიკური და ფორმობრივი მხარეების განსაზღვრა, როგორც ეს ძველი ქართული ენის მასალაზე მოვახდინეთ.


თანამედროვე ქართულში ასპექტური სემანტიკა ერთი ზმნის შიგნით ორ ურთიერთდაპირისპირებულ შინაარსობრივ რგოლს წარმოადგენს. ისინი მოქმედებას ანუ პროცესს დაუსრულებელი ან დასრულებული სახით გვიჩვენებენ. მთავარი გამყოფ-მადიფერენცირებელი ხაზი ძირითადი სემანტიკური ნიშნებისათვის იქ გადის, სადაც, ერთი მხრივ, იწყება უსრულობის, ხოლო, მეორე მხრივ, სრულობის შინაარსები, რომლებიც დროსა და სივრცეში არიან განფენილნი.

მოქმედების დროსა და სივრცეში მიმდინარეობის ზოგადი სურათი ყოველთვის გრძლივი, ხაზოვანი მოქმედების სახით წარმოგვიდგება. მხოლოდ მოსაუბრე პირზეა დამოკიდებული, უჩვენებს ამ მოქმედების სანყის პროცესს (დაიჭიკჭიკებს, დაიყვირებს...), მის ჩვეულებრივ მიმდინარეობას (ხატავს, კერავს..) თუ მოქმედების დასასრულ ფაზას (დახატა, შეკერა...).

ძველი ქართული ენის მასალაზე ჩვენ განვსაზღვრეთ უსრული და სრული ასპექტის სემანტიკურ რგოლთა განაწილების სფეროები. როგორც უსრულობის, ისე სრულობის შინაარსი მოსაუბრე პირისათვის პირობით, შინაგან საზღვრებში ექცევა და ზოგადი ან კონკრეტული მოქმედების შეწყვეტას ან უწყვეტობას გულისხმობს: ამ მხრივ, ძველ და ძველ და ახალ ქართულს შორის სხვაობა არ არის.

ზმნური პროცესის ხაზოვანი მოქმედების სახით წარმოდგენისას შეწყვეტილი მოქმედების შემთხვევაში „პროცესის“ სქემატური სახე ასე გამოიყურება:

სქემა VII




ამ სქემაში მოქმედების შეწყვეტის მომენტი იგულისხმება. ეს შინაარსი ზმნის შემდეგ ფორმებში რეალიზდება:

ოთარაანთ ქერივი ამ ბოლოს ხანებში ხედავდა, რომ შეიღს გუნება ეცვალა, უფრო დაიღვრიმა, უფრო გული დაიხსურა, უფრო ჩაიკეტა, უფრო დანაღვლიანდა: ილია, II, 259; კოლა გამოვიდა, წავიდა, იპონა დამალული ქუდი, გადმოხტა ლობეზედ და დააპირა გაქცევა: ილია, II, 457; გადასწყვიტეს, მორიგდნენ და ფულიც ორ წილად გააყვეს. ნახევარი ერთმანეთში გაინაწილეს და მეორე ნახევარი გადაღვეს ქართველ თაულებში დასარიგებლად: აკაკი, VIII, 134; შეკრეს განაჩენი, დაბეჭდეს და დაღვეს ცხოვრების ტრაპეზზე, რომ სიკვდილამდი ვერავის გაეხსნა: აკაკი, VIII, 298; როცა უფლისწული საწოლის დარბაზში შევიდა, ლიპარიტი წამოიჭრა, გაუღიმა, თავისი მოყვითანო კბილები მიანათა, აცალა ხელზე დაუღღმა დაეთოს: კ. გამსახ, III, 97; მარაბდელმა ბაეშეები დაამშვიდა, მათი დახსნა გადაჭრა და ტყვეების პატრონ ოსმალოსკენ გაემართა, რომელიც მოშორებით იდგა და ამ სურათს თვალს არ ამორებდა: მ. ჯაყახ, IV, 407; სოფლად, დაბლობში, მყუდრო და ლამაზ მი-

დამოთა შორის საუკუნეთა წინ დაიბადა ბავშვი, რომელსაც ალი დაარქვეს: ნ. ლორთქ, 1,257.

სიტყვის დონეზე სრული მოქმედების დროს მოქმედება შეწყვეტილია, მაგრამ ამავე მოქმედების დროსა და სივრცეში კვლავ ჩადენის შესაძლებლობა მოსაუბრე პირმა შეიძლება კონტექსტურად გამოხატოს. მაგალითად, „მხატვარმა დახატა სურათი“, მაგრამ კონტექსტით მოცემულ განუსაზღვრელ ან განსაზღვრულ დროს „მხატვარი კვლავ დახატავს სურათს“. ეს უკანასკნელი შინაარსი დროის უსასრულო გრძლიობიდან გამომდინარეობს; მაგრამ მოქმედება, რომელიც შეწყვეტილ პროცესს გულისხმობს, ყოველთვის სრული ასპექტის შინაარსს ატარებს.

რაც შეეხება უსრული მოქმედების სემანტიკურ რგოლს, მისი შინაარსობრივი ბუდე სქემატურად ასე გამოიყურება:



სქემა VIII

უსრული მოქმედების შემთხვევაში მოსაუბრე პირი არ უჩვენებს მოქმედების მომდინარეობის სასრულს, ე. ი. მოსაუბრე პირი სიტყვის დონეზე მოცემული შინაარსით გადმოგვცემს, რომ მის მიერ აღწერილი მოქმედება ანუ „პროცესი“ არ შეწყვეტილა, თუმცა ამავე ზმნის ზოგადი შინაარსი კონტექსტურ დონეზე მოქმედების შეწყვეტის ან შემდგომში მისი განახლების სემანტიკურ პოტენციალს შეიცავს.

ახალ ქართულში უსრული ასპექტის ფორმებია:

ისინი ვერ არჩევენ თავისიანს და სხვისიანს, ხშირად სასიკვდილოდაც იმეტებენ შინაურს, ოღონდ გარეულის გული კი მოიგონ: აკაკი, VIII,157; შენ არც არასა სთესავ და არცა მკიო და მე კიდევაც ვთესავ და კიდევ ვმკიო: აკაკი, VIII,244; ლოპანა ხარხარებდა, გაგუა ხითხითებდა, სულხანი ილიმებოდა: მ. ჯავახ, IV,512; ძმადნაფიცებმა განწყვეტილი წელი თრიალეთის ქელზე სამ დღე-ღამეს აითრიეს: მ. ჯავახ, IV,368; გრილი ზღაური ნაზად ეალერსებოდა შეზარხოშებულ მოხუცის სახეს: კ. გამსახ, I,9; იგი დედოფლის ნაწნავებით მტკვრს ახვეტინებს: კ. გამსახ, I,674; გრძნობა კი კედება მგრძნობთან ერთად: ნ. ლორთქ, I,265; მტრის შემოსევისას სწამდათ მისი ძლიერება; მას ახსენებდნენ და მედგრად, უდარდელად ეცემოდნენ მტერს: ნ. ლორთქ, I,206.

ამრიგად, ასპექტის მორფოლოგიური კატეგორიის შინაარსობრივი დაყოფა უსრული და სრული მოქმედების უშუალო ჩვენებას უკავშირდება, ეს მონაცემები კი დროის სისტემაში თანაბრადაა გადანანილებული და დროისავე სისტემას მისდევს.


ახლანდელი დრო-რადგან საუბრის მომენტი მოქმედების მიმდინარეობის პროცესს ემთხვევა, ახლანდელ დროს არ შეუძლია გვიჩვენოს მოქმედების სასრული, ამიტომ მის მიერ დახასიათებული მოქმედება მხოლოდ უსრულია.

მომავალი დრო-თუმცა იგი მომავალში ჩასადენ მოქმედებას გულისხმობს და მოსაუბრე პირზეა დამოკიდებული ამ პროცესის სრული ან მისი უსრული ვარიანტის შინაარსობრივი ჩვენება, მომავალ დროს ახალ ქართულში არ შესწევს უნარი უსრული მოქმედების შინაარსის გადმოცემისა, რასაც ხელი შეუწყო ასპექტის მორფოლოგიური კატეგორიის ძველი სისტემიდან ახალ სისტემაზე გადასვლამ და რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ნარსული დრო-თუ მოსაუბრე პირი ახასიათებს ნარსულში ჩადენილ მოქმედებას ასპექტურად, მაშინ მისთვის ეს მოქმედება შეიძლება სრული იყოს ან უსრული.

რადგან ასპექტის მორფოლოგიური კატეგორია „პროცესის“ დროში მიმდინარეობას გულისხმობს, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზმნური მოქმედების ამგვარად წარმოდგენა:

სქემა IX



წარსული დრო

- ა) უწყვეტელი
- ბ) წყვეტილი
- გ) I თურმეობითი
- დ) II თურმეობითი

უსრული

- ვაკეთებდი
- ვაკეთე
- მიკეთებია
- მეკეთებინა

სრული

- _____
- გა-ვაკეთე
- გა-მიკეთებია
- გა-მეკეთებინა

ახლანდელი დრო ანმყო

ვაკეთებ

მომავალი დრო

- ა) მყოფადი
- ბ) ხოლმეობითი

- გა-ვაკეთებ
- გა-ვაკეთებდი

ასპექტისა და დროის შინაარსების გადაკვეთა ხშირად იყო ამ ორი მორფოლოგიური კატეგორიის აღრევის მიზეზი ძველ გრამატიკებში.

ზემოთ განხილულ ასპექტურ შინაარსებს ახალ ქართულში შესაბამისი ფორმობრივ-სტრუქტურული გამოხატულება გააჩნია, რაც, საერთო წესიდან გამომდინარე, ქმნის ასპექტის მორფოლოგიურ კატეგორიას.


წმინდა ფორმობრივი თვალსაზრისით სრული ასპექტის სემანტიკის მატარებელი ფორმა მარკირებულია და მისი მარკეტი ოდენ პრეფიქსია, ხოლო უსრული ასპექტისა – არამარკირებული, ამ პრეფიქსის უქონელი ფორმაა.

ამრიგად, ასპექტური შინაარსების ფორმობრივი განსხვავების ერთადერთ საფუძველს ახალ ქართულში პრეფიქსური წარმოება შეადგენს, პრეფიქსების როლს კი ზმნისწინები ასრულებენ, რომლებმაც სხვა ფუნქციებთან ერთად (1. აღნიშნონ მოქმედების გეზი, 2. – მოქმედების ორიენტაცია, 3. აწარმოონ სრულიად ახალი ზმნა) შეითავსეს მეოთხე ფუნქცია, რომელიც მოქმედების დასრულებული სახით წარმოდგენას გულისხმობს.

ზმნის იმ ნაწილს, რომელსაც გააჩნია უნარი, დაირთოს ან არ დაირთოს ასპექტური პრეფიქსი (ზმნისწინი) ასპექტური ფუძე შეიძლება ეწოდოს. ასპექტური ფუძე საერთოა ოპოზიციის ორივე წევრისათვის და ამავე ოპოზიციის ფორმობრივ საფუძველს წარმოადგენს.

ასპექტის მორფოლოგიური კატეგორის ფორმობრივ-სტრუქტურული სახე სქემატურად ასე ჩაინერება:

სქემა X



ე. ი. ასპექტის მორფოლოგიური კატეგორია ახალ ქართულში, ერთი მხრივ, სემანტიკურად, ხოლო მეორე მხრივ, ფორმალურ-სტრუქტურულად მკვეთრადაა განსაზღვრული. აქ ბინარული ოპოზიციის საფუძველზე მოქმედების დასრულებული სახე პრეფიქსული (ზმნისნინიანი) ფორმით გამოიხატება, ხოლო დაუსრულებელი-უპრეფიქსო (უზმნისნინო) ფორმით.

თანამედროვე ქართულში უზმნისნინო და ზმნისნინიანი ფორმების, როგორც ასპექტის მორფოლოგიური კატეგორიის საოპოზიციო ერთეულების შესახებ, ბევრი თქმულა და დანერილა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. ეს მოვლენა საყოველთაოდ არის აღიარებული, ამიტომ ამ საკითხზე აღარ შევჩერდებით.

§ 3. მრავალჯერადობის კატეგორია ახალ ქართულში

მრავალჯერადობა, როგორც მორფოლოგიური კატეგორია, თანამედროვე ქართულში აღარ არსებობს. მისი ფორმალური გამოხატვის სისტემა XII ს-დან იწყებს შესუსტებას, რასაც პერმანსივის მორფოლოგიური კატეგორიის სრული გაუქმება მოჰყვა.

საშუალო ქართულის მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ამ პერიოდის (XII-XIII ს.ს.) ძეგლებში ხოლმეობითის მწკრივთა გამოყენება იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენს, თუმცა თვალში საცემია ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. ანმყოს ხოლმეობითის მწკრივები დასახელებულ პერიოდში, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, აღარ გამოიყენება.

XII-XVII საუკუნეების ტექსტებზე მუშაობისას ანმყოს ხოლმეობითის ხმარების მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებს ნავანყდით:

და რაცა ღმერთსა ნებაჲს ქრისტეს მოსახელთათვის, იგი იყავნ! ბესიკი, 187; თვალნი მელანი, დაწვთა უღვანი ციალგბნ, ისვრინ შავთა ისართა, დაასვინ გულთა მხნედ, ალვა რჯულოთა, არად იხილვის მათგან ისართა: მ. ბართ, 21

ნ. სარჯველაძე ანმყოს ხოლმეობითის მოშლის დათარიღების საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ფაქტია, რომ ძველი ქართულისა და საშუალო ქართულის მიჯნაზე ანმყოს ხოლმეობითი აშკარად სუსტდება. ამას მონშობს ის დარღვევები, რაც ამ მწკრივის ფორმათა ხმარებისას შეიმჩნევა“.¹

სხვაგვარი ვითარებაა უწყვეტლის ხოლმეობითისა და II ხოლმეობითის გამოყენების მხრივ. მათი ფორმები განსაკუთრებით ხშირია საშუალო ქართულის ნინა პერიოდის ძეგლებში, ხოლო შემდეგში მათი ხმარების სიხშირე საგრძნობლად მცირდება, თუმცა, აშკარაა, რომ ნამყო დროის ხოლმეობითები საშუალო ქართულში ფორმოზრივ გამოხატვასთან ერთად შინაარსოზრივი დატვირთვითაც ხასიათდება.

უწყვეტლის ხოლმეობითი

ვერვინ კკადრებლის წყენასა, ვერ ცხადი, ვერცა მპარავი, ნადიროზბლის და იშვებლის საწუთრო-გაუმწარავი: ვეფხ, 63; ამას მოსთქმიდის ტირილით ცრემლითა დასალვარითა: ვეფხ, 143; წამ-წამ მოზრუნდის, იაჯდის მისთვის მზისავე მზობასა: ვეფხ.-162; ამას მოსთქმდის, იწვოდის, ვითა სანთელი დნებოდის, დაყოვნებისა მოშიში ისწრაფდის, იარებოდის, რა შეუღამდის, ვარსკვლავთა ამოსელა ეამებოდის, მას აშსგავსებდის, ილხენდის, უჭვრეტდის, ეუბნებოდის: ვეფხ., 163; სრული მუყრნი და მულიმნი მე გარე შემომცვიდიან, მათ ხელთა კქონდა მუსაფი, ყოველნი იკითხვიდიან, მტერ-დაცემული ვეკონე, არ ვიცი, რას ჩმასვიდიან, სამ დღემდის ვიყავ უსულოდ, ცეცხლი უშრეტნი მწვიდიან: ვეფხ., 70; ისმენდიან, გაკკვირდიან, რა ატირდის,

¹ ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 426.

ატირდიან: ვეფხ.186; შუბთა და ასპარეზთა მისებრ ვერაინ იმღ-
ერდის: ვისრამ, 11; (რამინი) მიწყით უკაცურსა ადგილსა ეძებდის
და მარტოდ დაჯდის, ტიროდის შეუსვენებლად: ვისრამ., 58;
ეგ ზომ საყვარელნი მოციქულნი იყვნინ, რომელ გულსა შიგან
დაესობოდინ: ვისრამ., 28; და ეგ ზომ დიდი ნაფროზი გარდაიხ-
ადიან, რომელ კაცთა გონებისაგან არ მიიწთომვის: ვისრამ., 6;
ხუთშაბასა, პარასკევსა და შაბათსა ნადირობდის და განისვენებს,
კვირიაკესა დღესა დაჯდის და სამეფოსა საქმესა განაგებდის და
სამართალსა უზემდის ცხეთა, ქალაქთა და ყოველთა სოფელთა:
ამირანდარეჯ., 5; ნადირობდის და ასპარეზსა სცემდის, და სა-
დაცა მინდორსა შიგან ლომი დახვდის, მან ცოტამან ყმაძან
ვითა კატა მოკლის: ამირანდარეჯ., 35; ესრე ნათობდის (თუ-
აღნი), რომე წიგნი დაიწერებოდის და ხელ-საქმარი იქნებოდის:
ამირანდარეჯ., 57; და მიერ ბრძოლის განძელთა. ზაფხულს აღ-
ვიდის თავად მტკურისა, დაადგის კოლას და მოვიდოდინ წინამე
მისსა მოხარკენი ძღუნითა ხლათითა და საბერძნეთით: ჟამთა აღმწ-,
42; გარდავიდის ქუეთი აჯამეთს, ნადირობდის ცხუმს და აფხ-
აზეთს და განაგნის საქმენი მანდაურნი: ჟამთა-აღმწ., 42; შეიქნა
ცხენთა ძგერება და კრმლითა სისხლისა ღვრიდიან, სცემდიან,
ჩამოყრიდიან, ბერტყდიან, გადაჰყრიდიან: შაჰ-ნამე, 104; და
ამათ მეწყაროეთა სრულად ყოველთა ერთი ევლოგიაჲ ჰქონდის,
რადცა გაიყოფოდის შინა და გარეთ: ქართ. ისტ. საბუთები, 101;
ზოგნი ერთმანეთს ხოცდიან, სრულად მოხდილნი ცნობითა, არ
იცოდინ, რამცა ქმნან, ვერ იყვნენ ჭკუაბრძნობითა: ბესიკი, 83;
სული ღვთისა წყალთა ზედა სამოქმედოდ იქცეოდის: თეიმურაზ
II, 28; კვლავ უქდებოდის და აოკრებდის ჯავახეთს და ზედა
დასხმასა უყოფდის ლეკთა ხუდია: თეიმურაზ ბაგრატიონი, 54;
შემდგომად შესჭურვოდინ ყოვლითა საჭურველითა: ვახუშტი,
19; ამიერთგან არღარა მოიყვანდიან კათალიკოსსა საბერძნეთი-
დამ, არამედ დასხმიდიან წარჩინებულ-დიდებულთა ძეთა: ვახუშ-
ტი, 117; არამედ ჟამითი - ჟამად წარგ ზაენიდიის სპათა: ვახუშტი:
169.

II ხოლმეობითი

ძველი ქართულის II ხოლმეობითის მნკრივში „დრო ნარსულა, კილო თხრობითი. აღნიშნავს განმეორებულ მოქმედებას ნარსულში ან ისეთ მოქმედებას, რომელიც ჩვეულებრივია და მარადის ხდება“.¹

II ხოლმეობითის, როგორც „დამოუკიდებელი ფორმისა და ფუნქციის ნაკვთზე: ვ-ა-ქ-ი, ა-ქ-ი, ა-ქ-ი-ს“² საენათმეცნიერო ლიტერატურაში დავა არ არის.

საინტერესოა ამ ფორმათა საშუალო ქართულის ძეგლებში გამოყენების შემთხვევები:

ზოგჯერ ადგის, ზოგჯერ დაწვის, ხელს რადმცა დაეძინა: ვეფხ. 14; შეწვის, ჭამის და წაყიდის პირ-მზე, გულ-მარისიანი: ვეფხ. 173; ზოგჯერ ესრე მთასა გაყიდის, რომელ თავი ღრუბლსა მიუწვდის და ზოგჯერ ქვე ჩაყიდის, ვითა იოსებ ორმოსა: ვისრამ., 16; და არაინ კიოთხის, თუ ვინ ხართ, და არცა ვის რა მიღმა უთხრიან: ამირანდარეჯ., 9; და რა ომი გაიყარის, წაყიდიან და უჩინო იქმნიან: ამირანდარეჯ., 78; ვითარ ჩულიცა ძუძუთაგან დედისა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზედა დაანარცხნიან: ჟამთა-აღმწ., 60; და ვერცა ღიხთ აქეთ გარდამოვიდის და ვერცა ამიერნი მათ წინაშე მივიდიან უცალოებისა ძალითა, გარნა ლტოლვილნი: ჟამთა-აღმწ., 72; შესთვალეს, თუ ჟამად კმარის, რაცა სისხლი დაიღვარა: შაჰ-ნამე, 69; ესე ყოველნი მათნი საქონებულნი შეუვალ-გუიქმნიან ყოვლისა შესავლისაგან: ქართ. ისტ. საბუთები, 68; და მამულისა რაზომ წლამდის დაიჭირვის, ამაღ არ გაეაჩინეთ: ძეგლის დადება, 44; აღიხილის ცად, იხილის ღმერთი განრისებული, -წარხედის წინა კერძო, იხილნის სატანჯველნი მისთვის განმზადებულნი, უკუიხედის ზურგით, იხილნის საუნჯე თვისა და სახლ-კარნი: სულხან-საბა,

¹ აკ. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, თსუ გამომც. გვ. 70.

² გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ., 1988, გვ. 107.

III, 76; ხეს დაიჭერდა კბილითა, თუ ექვსმა კაცმა აიღის, ძელს დაიდებდა გულზედან, ძლივ ოთხმა სარმან წაიღის: არჩ., 7; ამინთვნა გული, სმელნარგული, მენს გულთა მნახის, შესახედავით: ბესიკი, 67; ერთგულთა დიდად მოწყალე, ურჩთ არ ჰყვის რისხვა გვიანი: მ. ბარათ., 36; ყოვლს სულს უხარის, მას დღესა არა აქვსთ შეჭირვებანი: თეიმურაზ II, 36; აროდეს მტკივის, როს მაქვენდეს წყლული, როს სრულად მრთლად ვარ, მიურვის სული: თეიმურაზ ბაგრატი, 24; გარნა თუ მრავალ მთავარ იყვნენ და ოდესმე განიგიან თეს-თუსად: ვახუშტი, 15; მოისთულიან ნაყოფნი მისნი და მოუღიან წმიდასა ნინოსა და მოკრბიან გარემო მისსა შუენიერად ჟღივილითა: ვახუშტი, 82.

მაგალითთა სიმრავლე საშუალებას გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ მრავალჯერადობა, როგორც ასპექტური შინაარსი, თავისი მორფოლოგიური მარჩვენებლით (-ი) მოცემულ ძეგლებში აქტიურად ფუნქციონირებს, რაც ამ შინაარსის, როგორც მორფოლოგიური კატეგორიის, არსებობას ადასტურებს. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ძველი ქართულისაგან განსხვავებით, საშუალო პერიოდის ტექსტებში ანმეოს ხოლმეობითის ზმნური ფორმები ფაქტიურად აღარ არსებობს, ხოლო ნამყო დროის მრავალჯერადობის აღმნიშვნელ ზმნათა გამოყენება XVII საუკუნიდან XVIII საუკუნემდე ქრონოლოგიური პრინციპით მცირდება.

როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, ქართული ენის მომდევნო ეტაპზე მრავალგზისობა საერთოდ კარგავს თავის ორგანულ ნარმოებას და აღწერილობით გადადის, რაც ზმნის ფორმას დამატებული „ხოლმე“ ნანილაკის დართვაში გამოიხატება.

„ხოლმე“ ნანილაკთან დაკავშირებით სულხან-საბა ორბელიანი აღნიშნავს: „ხოლმე არის სიტყვაა რამე ძოლანდელქმნილთა საქმეთა და ჰამბავთა გამარჩეველი, რამეთუ რა ვიტყოდეთ ძოლანდელთა ჰამბავთა, შეუდგენთ დასასრულად, „კეთი-

ლად უმასპინძლებდი ხოლმე" და „მივართმიდი ხოლმე“, გინა „ბოროტი უყვი ხოლმე“ და ეგევითარნი“.¹

როგორც ვხედავთ, საბას შენიშნული აქვს „ხოლმეს“ მხოლოდ ნარსულ დროში გამოყენების შესაძლებლობა. იგი არაფერს ამბობს ამ ნანილაკის შედარებით ძველ ფონეტიკურ ვარიანტებზეც (ხუალმე→ხვალმე→ხოლმე→ხოლე).

დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ იკითხება: „ხვალმე, ლექსი ესე იხმარების ზმნათა თანა და ჰნიშნავს მოქმედების გახშირებასა... დავდიოდი ხოლმე... ვლაპარაკობდი ხოლმე... ვსაქმობდი ხოლმე“.²

რაც შეეხება „ხოლმე“ და „ხოლე“ ვარიანტებს, ავტორს ისინი ცალ-ცალკე სალექსიკონო ერთეულებადაა აქვს გამოტანილი, მაგრამ მათ განმარტებას მხოლოდ „ხვალმე“ ფორმასთან იძლევა.

საყოველთაოდ მიღებული მოსაზრებით „ხოლმე აღნიშნავს განმეორებულ მოქმედებას“,³ და ხუალმე-საგან მომდინარეობს. იგი „ქართულ სალიტერატურო ენაში გარკვეული ტერიტორიული დიალექტის, უკეთ-დიალექტთა ჯგუფის შემონატანია. ეს დიალექტები, ივარაუდება, სალიტერატურო ენის ფუძე-დიალექტებია. დიალექტთა სხვა ჯგუფში მის დამკვიდრებას ამ ფუნქციით რამდენადმე სალიტერატურო ენის გავლენამაც შეუწყო ხელი“.⁴

XII-XVIII საუკუნეების ძეგლები ხვალმე|ხოლე ნანილაკების პარალელური გამოყენებით ხასიათდება.

ხვალმე

მიკვირს, მოგხვდა წამის ყოფად საქმე შენგან საქვო რად, მაგრამ გითხრა პირველ ხვალმე, სენი მე მჭირს რაცა ჭირად: ვეფხ. 32; თუ რას ვარგებ, პირველ ხვალმე თვით სახელი თქვენ

¹ სულხან-საბა ორბელიანი, თხზ. ტ. IV, თბ., 1966, გვ. 424.

დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984, სვტ. 1742.

³ აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 616.

ივ. ქავთარაძე, ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, თბ., 1961, გვ. 21.

მოგხვდების, ვერას ვარგებ, გულსა დავსდებ, ჩემი ფიცი არ გატყდების: ვეფხ. 146; შეტყვიან ხვალმე, რისთვის გაქვს ჭირი, ჭმუნვა და წყინება? ქუჩუქას სახლსა ვსწუნობდი, როგორ ნუ მომეწყინება! ვახტანგ VI, 53.

ხოლემ(მ)

ესეგვარსა ნუ ოდეს იქმ, საქმე ხოლემ გაიცადე, აწ მითხარ, თუ რას იტყოდი, თქვი და სიტყვა გააკვლადე: ვეფხ. 159; ვეჭვ მრავალი დამეხოცოს მონა, მისგან საყვარლები, ვითხოვ ხოლემ შენდობასა, ეგეთილა მოვბრუნდები: ვეფხ. 281; ესე განაჩენი მე, მამამან სვიმონ_ ხოლემ გავიჩინე, ვინცა ესე ზემო წერილი გაათაოს და ისმინოს, ღმერთმან მისი ლოცვამ ისმინოს: ქართ. ისტ. საბუთები, 65; გაიცინა ამირან და ეგრე თქვა: ოხერსა რაცა გიჭირდეს, რასა ხოლემ მაგასა იტყვიო?!: ამირანდარეჯ., 81; პირველად ასრე ხოლემ ქენ, მამა შენი მოკალ და მრავალი საქონელი აქუს და შენცა ბევრი გაქვს: შაჰ-ნამე, 195.

აუცილებელია, აღინიშნოს „ხოლემ“ ნანილაკის გამოყენების შესამჩნევი სიმცირე ზემოდასახელებულ პერიოდში, რაც სამწერლო ენაში მორფოლოგიურად არსებული მრავალჯერადობის სემანტიკით არის შეპირობებული.

არსებითად განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე XIX-XX საუკუნეების ქართულ მწერლობაში. აქ მრავალგზისობა, როგორც ზმნური შინაარსი, სტრუქტურულად მხოლოდ აღწერილი ნარმოებით გამოიხატება. კონტექსტი, რომელიც ჩვენ შემთხვევაში ორი წევრისაგან – ზმნისა და ხოლემ ნანილაკისაგან – შედგება, შეაპირობებს მრავალჯერადობის სემანტიკის თანამედროვე გამოხატვის ფორმებს. ამ მხრივ, თანამედროვე ქართულმა გამონაკლისები არ იცის.

ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში „ხოლემ“ ნანილაკის განანილების საერთო სურათი ასე გამოიყურება: I სერიის თხრობითი კილოს ყველა მწკრივი: ანმყო, უწყვეტელი, მყოფადი, ხოლმეობითი და II სერიის ორივე – ნყვეტილისა და II

კავშირებითის – მსკრივი აქტიურად იყენებს მრავალგზისობის
სემანტიკის მატარებელ ნაწილაკ „ხოლმეს“.

მოგვყავს შესაბამისი მაგალითები:

აწმყო

და გველ-ბაყაყი, თევზებთან ერთად გამოჰყავს ხოლმე
ძალით ნაპირად: აკაკი, III, 172; ის ქალაი აქ ამოვა, მწყემსებისათ-
ვის ჯერს ის ეზიდება ხოლმე: ალ. ყაზბ., II, 79; აი, მამა მაქსიმე
სულ მუდამ იმას გვიბრძანებს ხოლმე, პური და ღვინო ახარებს
გულსა კაცისაო: ვაჟა, 815; ისე პარვით მიდიოდა, როგორც მონა-
ღირე მხეცი ეპარება ხოლმე სანადიროს: მ. ჯავახ., II, 425; ჯაყო
მარგოს მართლა სცემს ხოლმე? მ. ჯავახ., II, 439; მაჩვენებს
ხოლმე სახეს მწარეს: გალაკ., I, 234; იმ თოჯინებს ჰგავდა, ავლა-
ბრელი ხელოსნული რომ აკეთებენ ხოლმე ბაზარზე გასატანად:
კ. გამსახ., VI, 24; დაიბნა გიორგი, ველარაფური იაზრა, როგორც,
საერთოდ, მოსდით ხოლმე მამაკაცებს ასეთ წუთებში: ლ. გოთუა,
II, 210; სოფლის სასაფლაოზე დღესასწაულებიც იმართება ხოლ-
მე: ნ. დუმბ., II, 61; და ზანტად გამოთქვამდა, როგორც საზოგადოდ
ზემო რაჭაში გამოთქვამენ ხოლმე: რ. ჯაფარ., I, 11; მუშნი ჰქვია,
ზარანდია გვარად. კანცელარიის გამგის ოთახში ზის ხოლმე:
ჭ. ამირეჯ., 12;

უწყვეტელი

ენატრობდი ხოლმე, რომ ვეხვიო სუბუქსა ქარსა: ილია,
I, 3; აძლევდა ხოლმე გულსაკვლავ პასუხს: ილია, I, 134; და ამის
მბრძანებლობით გარდასწყდებოდა ხოლმე ყოველი საქმე: ალ.
ყაზბ., II, 175; მუდამ ამას ეტყოდა ხოლმე: შენის გულის ჭირ-
იმეო: ვაჟა, 789; (ჯაყო) ისე წამოუდგა ფეხზე, როგორც უწინ
აფთანდილ ხევისთავეს გაეჭიმებოდა ხოლმე: მ. ჯავახ., II, 426; სხვა
მანდილოსნები მუდამ უკან რჩებოდნენ ხოლმე: ლ. გოთუა, II, 25;
და გვერდზე მოეწვინა, როგორც პატარაობისას იწვენდა ხოლმე:

რ. ჯაფარ, III,405; რამდენსაც წინა დღეებში ოთხი კაცისთვის ვარაუდობდა ხოლმე: ჭ. ამირეჯ., 151

მყოფალი

აღმიტაცებს ხოლმე ის სმა: ილია, 1,62; მოჰყვება ხოლმე მღერასა: აკაკი, III,18; მხოლოდ ერთი შემთხვევა არის, რომელიც უმაწვილ კაცს მოსწყევეტამს ხოლმე: ა. ყაზბ., II,199; მხოლოდ ზამთრობით, როცა თვითონაც შემოეძარცვებათ ხოლმე საპატარძლო ტანისამოსი: ვაჟა, 763; ზურგზე საფეკავსაც აჰკიდებს ხოლმე და წისქვილში ჰგზავნის: მ. ჯაფახ, II,438; სახლი თქვენი სახლის წინა დგას. თქვენ მიხედვით ხოლმე: გალაკტი, XII,235; ის, რაც მოუჭირებლად დასცდება ხოლმე ადამიანს ბაგიდან, უფრო მეტად ახასიათებს მას: კ. გამსახ., VI,90; ზომ იცი მისი ხასიათი — გადაიკარგება მთელი წლობით ხოლმე: ნ. ლორთქ., I,139;

ხოლმეობითი

როცა თეიმურაზი შეადარებდა ხოლმე ტყიდან გამოვარდნილ ჯაყოს და თავის თავს, მარგო აიძლებოდა: მ. ჯაფახ, II,356; კვაჭი, ბესო და ლადი ჩიკინჯილაძე თამაშის დროს ჩაურთავდნენ ხოლმე ქართულს: მ. ჯაფახ. III,51; აშფოთდებოდა ხოლმე მთა-ბარი: გალაკტი, III,514; არა, ამაოდ წამოიძახებდა ხოლმე მანა გურიელი: გალაკტი, XII,336; იყო შემთხვევა, შევიკრიბებოდით ხოლმე, გავიყოფოდით, ბურთს ავავდებდით: ნ. ღუმბ., I,339; სკოლიდან მომავალს, კვამლის სუნთან ერთად ნიაფი რომ შემაგებებდა ხოლმე: ნ. ღუმბ., II,212; ადამიანებს იგი ერთსა თუ მეორე ჯგუფში ჩარიცხავდა ხოლმე იმის მიხედვით, თუ როგორ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ისინი თავის საქმესთან: ჭ. ამირეჯ., 107.

მეორე სერია

წყვეტილი

ბევრჯერ ხოლმე მიაბზო თქვენი ქება ჩემმა ძმამ: აკაკი, VI,304; უწინ, როდესაც უფრო მომეტებული შიშინობა იყო ხოლმე..., საჭიროდ ხედავდნენ ისეთი შენობა გაეკეთებინათ: ალ. ყაზბ., II,168; მშვიდობიან დროს აქ გუშაგი იდგა ხოლმე: ლ. გოთუა, I,23; ასე უხერხულად იდგა ხოლმე და ოფლში იწურებოდა: ლ. გოთუა, II,130;

მეორე კავშირებითი:

რომ სულელებს თვალთმაქცობით მოსჭრას ხოლმე თვალთ: აკაკი, III,23; და ჩვენც მათ უნდა მივბაძოთ ხოლმე: აკაკი, III,131; რომ ერთმანეთს გასაჭირში გაუმართონ ხოლმე ხელი: აკაკი, IV,119; ჩვენც თითო გამოვარჩიოთ ხოლმე: ალ. ყაზბ., I,56; უნდა გაგვაწითლოს ხოლმე ამ ფიქრმა: გალაკტი, XII,541

მოპოვებული მასალის რაოდენობა, რომელიც თანამედროვე ქართულში „ხოლმე“ ნაწილაკის გამოყენებასა და ამით მრავალჯერადი მოქმედების კონტექსტურ გამოხატვას ეხება, გვაფიქრებინებს, რომ I სერიის თხრობითი კილოს მწკრივებთან „ხოლმე“ ნაწილაკის ხმარება შესამჩნევად ხშირია.

როგორც ვნახეთ, თანამედროვე ქართულში მრავალგზისობის გამოხატვის ძირითად საშუალებას „ხოლმეს“ დართვა ნარმოადგენს, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია ის ფაქტიც, რომ „ეს ხოლმე შეიძლება დაერთოს ზმნის ფორმას, მაგრამ რომ არ დაერთოს, იმითაც არა დაშავდება რა“,¹ რადგან მრავალგზისობის გამოხატვა ძველი ქართულის ხოლმეობითისეული მწკრივების გაქრობის შემდეგ „ცოცხალ კილოთა უმეტესობამ და სალიტერატურო ქართულმა... უწყვეტელსა და მისგან ნანარმოებ მწკრივს დააკისრა“.²

¹ აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 211. იქვე, გვ. 210.

წინადადებაში - „ამ დაძახილისთანავე წამოვხტებოდი, ოთახში გავირბენდი, ფეხსაცმელებს დავაბაკუნებდი, სკამს ხრავუნით გადავდგამდი ერთი ადგილიდან მეორეზე, მერე ფეხაკრეფით მივიპარებოდი სანოლთან და ისევ შევეგორდებოდი ლოგინში და ასე მეძინა, ვიდრე ბებია ერთ დოქ ნყალს არ დამაცლიდა თავზე: ნ. დუმბ., 1,60; - ხაზგასმული ხოლმეობითის მწკრივის ფორმები მრავალგზისობის სემანტიკას ატარებს და ეს „ხოლმე“ ნანილაკის დართვის გარეშე ხდება.

ასეთივე მდგომარეობაა შემდეგ მაგალითებშიც:

მოვიდოდა თუ არა მუშტარი, ისიც იქვე აიტუზებოდა და დაუწყებდა ვაჭრობას, თუ კურკა მუშტარს აბაზს მოსთხოვდა, სომეხი იმავე საქმის კეთებას სამ შაურად ჰკისრულობდა და მუშტარს იტაცებდა: მ. ჯაფახ, 1,79; ტყეში რომ მიდიოდა, ზოგჯერ ნიკასაც წაიყვანდა და სახლს დაჰკეტავდა, ხოლო გოგიას და საქონლის პატრონობას ნასყიდას მიაბარებდა: მ. ჯაფახ, 1,113; გაიღვიძებდა დილას ბაბუაჩემი გერონტი, ამოაძრობდა სარს ღობიდან, მიუვარდებოდა გიორგი ღორჯომელაძეს, მამაჩემის დაკარგულ კოპიტს შენთან რა უნდაო, ჩეჩქვავდა სარს თავში, დააგდებდა გიორგის უსულოდ და ვიდრე გიორგის მისი ცოლი ეპრაქსია წვილ-კვილითა და მოთქმით ცივ წყალს ასხამდა გაჩქქვილ თავზე, ამ კოპიტს ისევ ჩვენს ეზოში მოაქცევდა: ნ. დუმბ., 1,151

თანამედროვე ქართულში მრავალგზისობის გამოხატვის ზემოაღნიშნული ორი შემთხვევიდან, რომელიც 1. ზმნის ფორმას დართული „ხოლმე“ ნანილაკისა და 2. უწყვეტლისა და ხოლმეობითის მწკრივების საერთო შინაარსობრივ დატვირთვაში მდგომარეობს, განმასხვავებელი სემანტიკური ნიშანი შეინიშნება. პირველი შემთხვევა მრავალჯერადობის დაკონკრეტებულ, გაძლიერებულ სემანტიკას ატარებს და ეს შინაარსი ყოველთვის ახლავს „ხოლმე“ ნანილაკიან კონტექსტს, ხოლო უწყვეტლისა და ხოლმეობითის მწკრივების ზმნური ფორმები შეიძლება ამ შინაარსობრივ ნიუანსს არ ფლობდეს, მაგალითად:

მაგიდის კიდეებზე დადგმულ ვენეციურ ვაზებში ყასმინები
ჰყვოდნენ: კ. გამსახ., VI,76; მე სულ სხვა გზით წარემართავდი
ჩემს პირად ცხოვრებას და შესაძლებლობაც სხვაზე ნაკლები არ
მქონია: კ. გამსახ., VI,250.

თანამედროვე ქართულში მრავალგზისობის შინაარსის ფორ-
მობრივი გადმოცემა სხვა ენობრივი საშუალებებითაც ხდება.
ზმნის გამეორება ამ შინაარსის გამოხატვის ერთ-ერთი ენობრივი
მეთოდს წარმოადგენს. „როდესაც საჭიროა აღნიშვნა მოქმედე-
ბის ცდის არაერთხელობისა, ვიმეორებთ ხოლმე უსრული ას-
პექტის ფორმებს, რასაც ხშირად ვხვდებით ანდაზებსა და გამო-
ცანებში“, – ნერს აკ. შანიძე.¹

მართლაც, ანდაზებში: „ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავის
დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო“, „თაგემა თხარა, თხარა, კატა
გამოთხარაო“, უსრული ასპექტის ფორმების გამეორების სა-
ფუძველზე მრავალგზის ჩადენილი მოქმედების აღნიშვნის სუ-
რათი იქმნება.

ზმნის გამეორება, რომელიც ზმნით გამოხატული შინაარსის
გამეორებას გულისხმობს, შედარებით ნაკლებად, ვიდრე „ხოლ-
მე“ ნანილაკიანი ფორმებია, მაგრამ მაინც გვხვდება თანამე-
დროვე ქართული ლიტერატურის ძეგლებში, მაგალითად:

მე უნდა ამელო კალაძი და მეწერა, მეწერა გონების დაკარგ-
ვამდის, თვალების დაბრუცებამდის: ნ. ლორთქ., I,81; ამიტომ არის,
რომ გმირულ საქმეთა მაგიერ – ვსვამ, ვსვამ და ვსვამ: ნ. ლორთქ.,
I,30; მეც ამ პირუტყვსაგით მინდა ვიყვირო, ვიყვირო და მთელს
ქვეყანას შევატყობინო, რომ აქ ტყეში, ბნელში, კაცე კიოღია ხეზე:
კ. გამსახ., II,12; ამ წუთში გარედ სთოვს, სთოვს, სთოვს: კ.
გამსახ., IV,598; და სტირის, სტირის და ჰკოცნის თარამ ეშვა-
რის ნატერფალს ამ ცივ და გაუხარებელ მიწაზე აღმოფხვნილს:
კ. გამსახ., IV,591; დღე სულსა ლაფავს ჭოუხებში გადაგდებული და
მესმის, სადღაც საწყალობლად წივის როჭო, წივის და წივის:
კ. გამსახ., IV,595;

¹ აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973. გვ. 264.

ზმნების გამეორებით მრავალჯერადი მოქმედების გამოხატვა შეიძლება, ზოგჯერ გაფართოვდეს და წინადადების სფეროს გასცდეს, მაგალითად:

სვეი ამოვიარე, მაგრამ სულ სხვა ზეგანზე ავედი, მერმე ვირბინე თოვლში (თოვლმა თვალის აქცევა იცის).

ვიარე,

ვიარე,

ვიარე,

ისევ დუმილი შეშეყარა ჭიუხებში და ბილიკებზე ორი საათი კიდევ ვიარე.

—და ერთადერთი მე დაურჩენილვარ ცოცხალი არსი, ამ გაქვავებულ ხმელის პირზე გამორიყული.

ისევ ვიარე,

ვიარე,

ვიარე

ოდნავ ეცვალა ბუნებას სახე: კ. გამსახ, IV, 595.

ზმნურ ფუძეთა გამეორება, ჩვენი აზრით, შედარებით მარტივი და უძველესი მეთოდია გზისობის შინაარსის გამოხატვის სფეროში.

ამ გზით უნდა იყოს მიღებული ფუძეგაორკეცებული რთული ზმნური და სახელური ფუძეები (კომპოზიტები) ქართულში.

რაკრაკ-ებ-ს — რაკრაკი

ბაჯბაჯებს — ბაჯბაჯი

ლივლივ-ებ-ს — ლივლივი

ჩუხჩუხ-ებ-ს — ჩუხჩუხი

ჭახჭახ-ებ-ს — ჭახჭახი და ა. შ.

ეს უკანასკნელი გარდა სიტყვის ძირითადი სემანტიკისა, აუცილებლად ატარებს დამატებით შინაარსსაც, რომელიც მარტივი ფუძით აღნიშნული მოქმედების განმეორადობას, ე. ი. მრავალგზისობას გულისხმობს.

ზემოთქმულის ნათელსაყოფად განვიხილავთ ზმნას „ბაჯბაჯებს“.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: ბაჯბაჯებს „ე. ი. ბაჯბაჯით დადის“, ბაჯბაჯი – „აქეთ-იქით ქანაობით უშნო სიარული“, ხოლო ბაჯი||ბიჯი – „ფეხის ერთი გადანადგამი, ნაბიჯი“.¹

მხეცნი, მათგან დაკოდინი, წალმა ბიჯსა ვერ წასდგმიდეს: ვუფხ.
75.

ამრიგად, „ბიჯ“ მარტივ ფუძესთან ფეხის მხოლოდ ერთი გადადგმა, ერთი ნაბიჯია დაკავშირებული, ხოლო მის გაორკეცებულ ფონეტიკურ ვარიანტთან – „ბაჯბაჯთან“ კი ბიჯის ერთზე მეტი შემთხვეუვა ანუ ბიჯებით, ნაბიჯებით სიარული.

ფუძეგაორკეცებული ზმნების დანვრილებითი ანალიზი მოცემულია ფ. ერთელიშვილის ნაშრომში „ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში“, რომელშიც ვკითხულობთ: „რედუპლიკაციის წესით მიღებული ყოველი ზმნური ფუძე ორი სეგმენტისაგან შემდგარი ერთეულია. ზღვარი სეგმენტებს შორის ხშირად ნაშლილია, ან იმგვარად არის ხოლმე სახეცვლილი რომელიმე მათგანი (ან ორივე ერთად), რომ ფუძეებში ორი ძირის დანახვა საერთოდ ჭირს. ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ ორმარცვლიანი ზმნური ფუძეების აბსოლუტური უმეტესობა სწორედ ერთმარცვლიანი ძირების რედუპლიკაციის შედეგად არის მიღებული“.²

აღსანიშნავია, რომ რედუპლიკაციის გზით მიღებული ზმნების უდიდესი ნაწილი წარმოშობით ქართული ფუძეებია, რადგან ისინი, ძირითადად, ხმაბაძვით ლექსიკას წარმოადგენენ და ამასთანავე „ცნობილია, რომ ზმნური ფუძეები ნაკლებად დაჰყვებიან სესხებას“.³

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., ტ. I, სვტ. 1075, 1950 წ.

² ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1970, გვ. 181.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ფუძის გაორკეცება არ არის მხოლოდ ზმნური მოვლენა და იგი სახელებშიც მოქმედებს, ამიტომ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ფუძის გაორკეცებით მიღებული რთული ფუძეები როგორც ზმნებში, ისე ზმნისაგან ნანარმოებ სახელებში ქართული ენის განვითარების გარკვეულ ისტორიულ პერიოდში მრავალჯერადი მოქმედების აღმნიშვნელი იყო. მათ ეს ფუნქცია თანამედროვე ქართულში შენარჩუნებული აქვთ. მოვიყვანოთ რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითს:

კაკანებს:

ეს ქათამი ჩვენსას კაკანებს და სხვაგან კი კვერცხსა სდებს: ი. გოგებ., დ-ენა, I, 39; ქათამსაც მოაქვს ჭია, კაკანებს: გალაკტ. XI, 215; სულ ახლოს ცეცხლი ედო შენობებს და კაკანებდა იქ ტყვიამფრქვევი: გალაკტ., VIII, 124.

კაკანებს – ფრინველთა მიერ გამოცემული ნაწყვეტ-ნაწყვეტი, საშუალო სიძლიერის ხმა. კაკანებს ქათამი, კაკაბი. გადატანითი მნიშვნელობით ადამიანი: ა) როცა მისი თქმულის სიძლიერე ქათმისას ჰგავს, ბ) როცა იგი ერთსა და იმავეს ლაპარაკობს ან სხვას არიგებს უადგილოდ: გადატ., იარაღი, უფრო ხშირად ტყვიამფრქვევი.

კიკინებს:

(თხა) --კიკინებს და იწვევს თავისთან დედა თხებსა თიკნე-ბითურთ: ი. გოგებ., საგანძ., 48.


კიკინებს – ცხოველის მიერ გამოცემული ნაწყვეტ-ნაწყვეტი, საშუალო სიძლიერის ხმა. კიკინებს თხა, გადატანით – ადამიანი, როცა იცინის და თხისმაგვარ ბგერებს გამოსცემს.

ყიყინებს:

(ბატებს)- ნისკარტები გაეღოთ და ყიყინებდნენ: ი. გოგებ, საგანძ., 52; ბულბულის წილ ბაყაყი ყიყინებენ! აკაკი, V, 53.

ყიყინებს - ცხოველთა და ფრინველთა მიერ გამოცემული ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყიყინის მსგავსი ხმა. ყიყინებს ბატი, იხვი, ბაყაყი. გადატანით - ადამიანი, როცა გაუგებრად ან მომბეზრებლად ლაპარაკობს.

მოცემული ზმნის შინაარსი სქემატურად ასე გამოისახება:



ჭიჭიკებს:

(ჩიტი)- ყველა დედალ-მამალი თავის ბუღესთან მიდის, გარშემო რამდენჯერმე უვლის, მერმე ზედა ჯღდება და კარგა ხანი ჭიჭიკებს: ი. გოგებ, საგანძ., 107; დედ-მამა (მერცხალი) გარს ეულება მათ, ფაცურობს, მოაქვს საჭმელი, უღებს პირში, შესჭიკ-ჭიკებს და შეჭარის: ი. გოგებ, საგანძ., 35; ჩიტი რომ ბუღეს იკეთებს, მაშინ ჭიჭიკობს, გალობსო: აკაკი, III, 28.

ჭიჭიკებს || ჭიჭიკობს - ფრინველთა მიერ გამოცემული ხმა. სასიამოვნოდ ტკბილ ხმაზე ხანგრძლივად მღერის, ჟღერტულებს. ჭიჭიკებს ჩიტი (უფრო მერცხალი). გადატანით - ადამიანი: ა) როცა სასიამოვნოდ საუბრობს, ბ) როცა სასიამოვნოდ, ტკბილად მღერის და გ) როცა ბავშვი ლაპარაკობს.

შენიშვნა: ჩვენ განსახილველად მხოლოდ მარტივი გაორკუ-
ცების შემთხვევები წარმოვადგინეთ, მაგრამ ნათქვამი ვრცელდება
გაორკუცებით მიღებული ფუძეების დანარჩენ მოდელზეც.

მრავალგზისობის გამოხატვის ზემოგანხილული შემთხ-
ვევები: 1. „ხოლმე“ ნანილაკიანი, 2. უწყვეტლისა და ხოლმეო-
ბითის მწკრივებით გადმოცემული გზისობის შინაარსი, 3. ზმ-
ნურ ფუძეთა გამეორება - ადასტურებს, რომ მრავალგზისობა
თანამედროვე ქართულში ასპექტის ფუნქციურ-სემანტიკური
კატეგორიაა და არავითარ შემთხვევაში არ არის მორფოლო-
გიური.

სხვაგვარად დგას საკითხი მარტივი ფუძის რედუპლიკაციით
მიღებულ რთულ ზმნურ ფუძეებთან, რომლებიც, როგორც
აღვნიშნეთ, წარმოშობით უძველესნი არიან და მათთან გზისო-
ბის გამოხატვის ფუნქცია ისეთივე არქაულია, როგორიც თვი-
თონ ეს ფუძეები.

აქვე უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი თავისებურება და
განსხვავებულობა, რომელიც რედუპლიცირებული ფუძეების
მრავალჯერადობასა და სხვა დანარჩენთა მრავალჯერადობის
შინაარსს შორის არსებობს.

მიმდინარე პროცესს თუ მთლიანი მოქმედების სახით
წარმოვიდგინოთ, მაშინ „ჭიკჭიკებს“ ტიპის ფორმები მთლიანი
მოქმედების გზისობას კი არ მიუთითებს (ჭიკჭიკებს ხოლმე),
არამედ მთლიან პროცესს მარტივ პროცესებად წარმოგვიდ-
გენს და ამ უკანასკნელთა მრავალგზისობას უჩვენებს.

ხოლო ხოლმეობითობის გამოხატვის დანარჩენ ვარიან-
ტებთან მრავალგზისობა მთლიანი მოქმედების განმეორადო-
ბას გულისხმობს (1. აკეთებდა ხოლმე; 2. უწყვეტელი: აკეთებ-
და; ხოლმეობითი: გააკეთებდა; 3. აკეთებდა... აკეთებდა...).

ამრიგად, რედუპლიკაციურ ფუძეთა მრავალჯერა-
დობის შინაარსი განსხვავდება საყოველთაოდ ცნობილი
მრავალჯერადობის ენობრივი შინაარსისაგან. განსხვავება
თავს იჩენს მის ფორმოებრივ გამოხატვაშიც. ერთი ზმნის
ფარგლებში მარტივ ფუძეთა გამეორება ჯერობის სემანტიკის
მორფოლოგიურ ნიშნად უნდა ჩაითვალოს.

§ 4. ერთი ჯგუფის ი-თავსართიანი ზმნებისათვის თანაგედროვე ქართულში

აქ ჩვენ ერთი სახის ზმნებს გვინდა შევეხოთ. „რიგი ზმნებისა (ისინი საშუალო გეარისანი არიან) მყოფადს ანარმოებენ ფუძის შეცვლით. ეს ზმნები მყოფადში იყენებენ სათავისო ქცევის ი-პრეფიქსიან ფორმებს, რომელთაც ქცევის გაგება აღარ მოეპოვებათ: ჭიკჭიკებს – იჭიკჭიკებს“.¹

ამგვარი ზმნები ქართულში არც ისე ცოტაა. ჩამოვთვლით ზოგიერთ მათგანს:

ანმყო		მყოფადი
ბობლავს	_____	ი-ბობლებს
ბრწყინავს	_____	ი-ბრწყინებს
გორავს	_____	ი-გორებს
ბაასობს	_____	ი-ბაასებს
კაშკაშებს	_____	ი-კაშკაშებს
ცახცახებს	_____	ი-ცახცახებს
ჭიჭყინებს	_____	ი-ჭიჭყინებს
ჭრიჭინებს	_____	ი-ჭრიჭინებს

როგორც ითქვა, ეს ზმნები სათავისო ქცევის ი-ნიშნის გამოყენებით ანარმოებენ მყოფადის ფორმებს და ეს ნიშანი მათ ნყვეტილის მწკრივშიც გადაჰყვებათ: ბობლავ-ს – ი-ბობლებ-ს – ი-ბობლა.

ამრიგად, მყოფადის წარმოება ამ ტიპის ზმნებში უზმნისნიწოდ, მაგრამ მაინც პრეფიქსურად ხდება. მათ, სხვა ზმნებისაგან განსხვავებით, შედარებით ნაკლებად, მაგრამ ი-თავსართთან ერთად მაინც აქვთ პრევერბების დართვის უნარი, ამიტომ თანამედროვე ქართულში ზოგიერთ მათგანთან სრული და უს-

¹ ნ. ჯანაშია, მყოფადის წარმოებისათვის ქართულში, ქართ. ენა და ლიტ. სკოლაში, 4, თბ., 1977, გვ. 57.

რული ასპექტური შინაარსების გარჩევის ტენდენცია შეიმჩნევა, მაგალითად:

ი-ბაბანებს	_____	და-ი-ბაბანებს
ი-ბარბაცებს	_____	და-ი-ბარბაცებს
ი-კაკანებს	_____	და-ი-კაკანებს
ი-რაკრაკებს	_____	და-ი-რაკრაკებს
ი-რახრახებს	_____	და-ი-რახრახებს
ი-ფანცქალებს	_____	და-ი-ფანცქალებს
ი-ქაქანებს	_____	და-ი-ქაქანებს

და ა. შ.

მყოფადში ერთმანეთის პარალელური – უზმნისნინო და ზმნისნინიანი – ფორმების გაჩენის შემდეგ, საერთო ენობრივი ტენდენციის გავლენით, ამ ფორმათა შინაარსობრივი განსხვავება შეიმჩნევა. ზმნისნინიანი ფორმები „ნაილილინებს“, „დაიჭიკჭიკებს“... ერთჯერად, სრულ მოქმედებას უჩვენებენ, ხოლო „ილილინებს“, „იჭიკჭიკებს“... – უსრულს.

ი-პრეფიქსიანი წარმოების ზმნების საკმაოდ დიდი ნაწილი არ იცნობს პრევერბიან მყოფადს:

- ი-ქათქათებს
- ი-ამაყებს
- ი-ანჩხლებს
- ი-არსებებს
- ი-ბურთავებს

და ა. შ.

ი-პრეფიქსიანი საშუალო გვარის ზმნები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1. უზმნისნინო და 2. ზმნისნინიანი წარმოების.

უზმნისნინონი არიან ისეთნი, რომელთაც ანმყოში -ავ და -ობ თემის ნიშანი აქვთ:

-ავ:

- ბობლ-ავ-ს – ი-ბობლ-ებ-ს
- ბჟუტ-ავ-ს – ი-ბჟუტ-ებ-ს

გმინ-ავ-ს - ი-გმინ-ებ-ს
გრგვინ-ავ-ს - ი-გრგვინ-ებ-ს
ფოფხ-ავ-ს - ი-ფოფხ-ებ-ს
ფშვინ-ავ-ს - ი-ფშვინ-ებ-ს
და ა. შ.

ობ:

ამაყ-ობ-ს - ი-ამაყ-ებ-ს
ანჩხლ-ობ-ს - ი-ანჩხლ-ებ-ს
გორა-ობ-ს - ი-გორ-ებ-ს
ჩქარ-ობ-ს - ი-ჩქარ-ებ-ს
ცხოვრ-ობ-ს - ი-ცხოვრ-ებ-ს
ხარ-ობ-ს - ი-ხარ-ებ-ს
ხუმრ-ობ-ს - ი-ხუმრ-ებ-ს
და ა. შ.

უზმნისნინო წარმოების პარალელურად ზმნისნინიან წარ-
მოებას ძირითადად ანმყოს -ებ თემისნიშნისიან ზმნების მყოფა-
დი იძლევა.

-ებ:

ზანზარ-ებ-ს - ი-ზანზარებს, და-ი-ზანზარებს
ლიღინ-ებ-ს - ი-ლიღინებს, და-ი-ლიღინებს
ჭიხვინ-ებ-ს - ი-ჭიხვინებს, და-ი-ჭიხვინებს
ხითხით-ებ-ს - ი-ხითხითებს, და-ი-ხითხითებს
და ა. შ.

თანამედროვე ქართულში იმდენად არის გაფართოებული
ზმნისნინის, როგორც სრული ასპექტის გამომხატველი მორ-
ფემის, გამოყენების არეალი, რომ მყოფადი, სადაც ნაკლებად
იყო მოსალოდნელი ზმნისნინიან და უზმნისნინო ფორმათა და-
პირისპირება (ვითვალისწინებთ მყოფადის ჩამოყალიბების გზას),
ერთი ტიპის ზმნებში, ი- პრეფიქსებთან, გაჩნდა თუ არა ურთ-
იერთსაპირისპირო პრევერბიანი და უპრევერბო ფორმები, ენამ

ისინი ერთმანეთისაგან ასპექტურადაც გამიჯნა და მყოფადში ასპექტური კორელაციის ისეთივე წყვილი მივიღეთ, როგორიც აორისტიკისა და თურმეობითის ჯგუფის მწკრივებში გვაქვს.

ზემოთქმული ჩვეულებრივი მოვლენაა სვანური ენისათვის, სადაც მომავალი დროის (თხრობითი კილოს) გადმოსაცემად დრო-კილოთა ორი სხვადასხვაგვარი ფორმა – ორი მწკრივი არსებობს: მყოფადუსრული და მყოფადსრული. „ამათგან მყოფადსრული გამოხატავს მომავალში შესასრულებელ მოქმედებას, რომელსაც ბოლო არ უჩანს, მყოფადში გრძელდება, უსრული ასპექტისაა“.¹ იგი ინარმოება ანმყოს ფუძისაგან, რომელსაც ბოლოსართები (ე, ი) აქვს მოკვეცილი და, სამაგიეროდ, ერთვის სუფიქსები -უნ-ი (უნ-ი, -ნ-ი) და -ინ-ი (ნ-ი), ლაშხურ დიალექტში ორივეს ნაცვლად იხმარება ჯნ-ი.

ვ. თოფურია ამავე საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს: „გარდამავალ ზმნათაგან მიღებულ მყოფადუსრულში -უნ-ი სუფიქსი გვაქვს, გარდაუვალთაგან მიღებულში კი – -ინ-ი“.² თუმცა ეს წესი ზოგჯერ დარღვეულია.

ანმყო	მყოფადუსრული
ათში	ათშ-უნ-ი (არჩევს)
აშხი	აშხ-უნ-ი (წვავს)
ასყი	ასყ-უნ-ი (ანყობს, აკეთებს)

და ა. შ.

ანმყო	მყოფადსრული
ტული	ი-ტულ-ინ-ი-ი-ტული-ნ-ი (იძახის, იყივის)
ხაჰურა	ხეჰურ-ინ-ი (ეცოტავება)
ხოსტუნი	ხესტუნინი (სტკივა)

და ა. შ.

¹ ზ. ჭუბურიძე, მყოფადსრული სვანურში, თსუ შრომები 142, თბ., 1972, გვ. 227.

² ვ. თოფურია, შრომები, I, თბ., 1967, გვ. 114.

მყოფადსრულისა და მყოფადუსრულის ზედმინევენიტი ანალიზი მოცემულია ზ. ჭუმბურიძის მონოგრაფიაში „მყოფადი ქართველურ ენებში“. სვანურ ენაში მყოფადსრულისა და მყოფადუსრულის არსებობა ჯერ კიდევ ვ. თოფურიამ შენიშნა და აღწერა.

ვ. თოფურია მყოფადუსრულისა და მყოფადსრულის ჩამოყალიბებას სვანურში ასპექტის ახალ სისტემაზე გადასვლას უკავშირებს. ქართულს საშუალება აღარა აქვს, განასხვავოს მომავლი დროის სრული და უსრული ასპექტი, სვანურს კი გამოუნახავს საამისო გზა და შეუმუშავებია მყოფადის ორი სახე – ორი მწკრივი: მყოფადუსრული და მყოფადსრული. ამათგან ქართული მყოფადის მწკრივთან ფუნქციითაც და წარმოების მხრივაც უფრო ახლოს დგას მყოფადსრული, მყოფადუსრული კი – იტირებს, იძახებს და სხვა ამგვარ ფორმებს უკავშირდება.¹

მყოფადსრულისა და მყოფადუსრულის არსებობა სვანურში რამდენადმე არღვევს თანამედროვე საერთოქართველურ ვითარებას, მაგრამ აშკარაა, ასპექტის გამოხატვის მხრივ სვანური ენა ბევრად შორს ნასულა, ვიდრე საკუთრივ ქართული; ეს კი მონათესავე ენების დამოუკიდებელ განვითარებაზე მიუთითებს, რაც აუცილებლად ახალი სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ დაწყებულა.

მყოფადსრული სვანურში სამი საშუალებით იწარმოება: 1. პრევერბი+ანმყოს ფუძე; 2. ანმყოს ფუძე+მყოფადსრულის მანარმოებელი სუფიქსი; 3. პრევერბი+ანმყოს ფუძე+სუფიქსი.² აქედან ყველაზე უფრო გავრცელებულია ზმნისწინიანი და ზმნისწინ-სუფიქსოვანი სახეობანი, გაცილებით იშვიათია ოდენსუფიქსოვანი წარმოება.³

¹ ზ. ჭუმბურიძე, უღვლილების სისტემისათვის სვანურში, თსუ შრომები 6-7, თბ., 1974, გვ. 94.

ვ. თოფურია, შრომები, I, თბ., 1967, გვ. 116.

ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986, გვ. 15.

ზმნისწინების დართვა ბევრ ფონეტიკურ სახეცვლილებას იწვევს ზმნაში, რაც კიდევ უფრო განასხვავებს მყოფადს ანმყო-საგან. ოდენ ზმნისწინდართული ზმნებია, მაგალითად:

ანმყო	მყოფადსრული
აბდაწუი	აბდადუი (გაბედავს)
აგლწუი	აგგალწუი (დაგლეჯს)
აკურემი	აკურერმი (გაყინავს)
აკლწუი	აკკალწუი (გალენავს)

და ა. შ.¹

ზმნათა დიდი ნაწილი მყოფადის სანარმოებლად ზმნის-წინებთან ერთად სუფიქსებსაც დაირთავს. გვაქვს რამდენიმე სუფიქსი -ი (ბქვ. -ისგაი-ის), -ინ-ე (→ნ-ე), ნ-ი და სხვ.

მყოფადს მოსდევს ხოლმეობითი და მყოფადის კავშირები-თი: თუ მყოფადი ზმნისწინით იწარმოება, ეს მწკრივებიც შესა-ბამისად ზმნისწინითვე განსხვავდებიან უწყვეტლისა და ანმყოს კავშირებითისაგან, თუ არა და - ისინიც ფორმათა შენაცვლების გზით არიან მიღებულნი.²

რაც შეეხება მეგრულს, მომავალ დროს იგი ძირითადად ქართულის მსგავსად აწარმოებს, ე. ი. ზმნისწინით, მაგრამ აქაც შეიმჩნევა ორი სახის მყოფადი: მყოფადსრული და მყოფადუს-რული. „მყოფადსრული ანმყოს ფუძისაგან იწარმოება ზმნისწინ-ის დართვით“,³ მყოფადუსრული კი ძირითადად აღწერიტად იწარმოება. მას ანმყოს კავშირებითის, ზოგჯერ მყოფადის კავ-შირებითისა და პირობითის პირველის მწკრივები გამოხატავენ, რომლებიც, თავის მხრივ, დაირთვენ მეშველ ზმნას: იყიიიყუაფუ, ქართ. იქნება (ეტიმ. იყოლება).

ჭანურშიც თითქმის ასეთივე მდგომარეობაა. მყოფადის სანარმოებლად ჭანური იყენებს: 1. პრევერბიან ანმყოს, 2. კავ-

¹ ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986., გვ. 187.

ზ. ჭუმბურიძე, იქვე, გვ. 217.

მ. მარგველაშვილი, მყოფადის წარმოებისათვის მეგრულში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრ., № 23, თბ., 1980, გვ. 164.

შირებით II-ს და III. კავშირებითი მეორისაგან ნანარმოებ თავისებურ ნაკეთს. პირველი ორი შედარებით იშვიათია, მესამე ტიპი დამახასიათებელია თანამედროვე ქანურისათვის.¹

მეორე კავშირებითის ფორმების მყოფადის ფუნქციით გამოყენება ძველი ქართულის საერთო ვითარებას უჩვენებს, ამიტომ ქანური ამ შემთხვევაში ძველ ქართულთან დგას ახლოს, ხოლო „მესამე საშუალება, ამჟამად გაბატონებული ნარმოება მყოფადისა: მინონ-ერე-ს დართვა კავშირებითზე არც მეგრულმა, არც ქართულმა, არც სვანურმა ასეთი ნარმოების მყოფადი არ იცის“.²

არნ. ჩიქობავა „მინდა“ ზმნის მყოფადის სანარმოებელ საშუალებად გამოყენებას ახალი ბერძნული ენის გავლენას უკავშირებს, სადაც ანალოგიურ ვითარებას აქვს ადგილი. „მყოფადის ნარმოების ასეთი ისტორია ქანურში საინტერესოა ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც, როგორც ნიმუში სხვადასხვა ნარმომავლობისა და სტრუქტურის ენათა ურთიერთგავლენისა და ამ ნიადაგზე „შინაგანი ფორმის“ („კალკის“) შეთვისებისა“.³

როგორც ვნახეთ, ასპექტის ნარმოების თანამედროვე სისტემა სამსავე ქართველურ ენაში იქით არის მიმართული, რომ მომავალ დროშიც გაიჩრეს უსრული და სრული შინაარსები, რაც ძირითადად უზმნისნინო და ზმნისნინიანი, მაგრამ ზოგჯერ აღწერიითი ფორმებითაც ხერხდება (ქანურში).

¹ არნ. ჩიქობავა, ქანური მყოფადის ნარმოებისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, V, 1, თბ., 1944, გვ. 113.


² იქვე, 115.

იქვე 164.

§ 5. განუსაზღვრელობა-განსაზღვრულობის კატეგორია ქართულში

როგორც აღვნიშნეთ, უსრული და სრული ასპექტების დაპირისპირება თანამედროვე ქართულში ასპექტის მორფოლოგიური კატეგორიის ძირითად სემანტიკურ ნიშანს შეადგენს, მაგრამ ასპექტურობის ზოგადი კატეგორიის წარმოდგენა ბევრი მნიშვნელოვანი ასპექტური შინაარსის გათვალისწინების გარეშე, ჩვენი აზრით, აფერმკრთალებს და აღარიბებს ამ მეტად მდიდარი ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიის შინაარსობრივ შესაძლებლობებს, ამიტომ საჭიროდ მივიჩნით, ყურადღება გაგვემახვილებინა ზოგიერთ მათგანზე.

თუკი ასპექტურ დაპირისპირებას უფრო მკაცრი მოთხოვნებით მივუდგებით, ვიდრე უსრული და სრული შინაარსებია, დავინახავთ, რომ, ერთი მხრივ, არასწორია ისეთი სახის დაპირისპირება, როგორსაც ვახდენთ ზემოდასახელებული ასპექტური კორელაციის დროს. ნათქვამის ნათელსაყოფად ნებისმიერი მაგალითი გამოდგება.



სრული ასპექტის ჯგუფში წარმოდგენილი ზმნები სრული მოქმედების ჩვენების გარდა კონკრეტულ ლექსიკურ მნიშვნელობასაც გამოხატავენ:

ა-თლ-ი-ს – 1. თლით აცლის|აკუნავს

2. თლით აჭრის, აცლის
 გა-თლ-ი-ს - 1. თლით ზედაპირს გაასწორებს,
 თლით გამოჭრის|კანს გააცლის.
 2. თლით გააკეთებს, გამოთლის|თლით
 ნვერს გაუკეთებს, ნათლის.

მო-თლ-ი-ს - თლით მოსჭრის, მოაცლის, მოათლის.

ჩა-თლ-ი-ს - დათლის და ჩაჭრის, რამეში დათლის

ნა-თლ-ი-ს - თლით ნვერს გაუკეთებს

და ა. შ.*

ცნობილია, რომ ამ მნიშვნელობათა გამოხატვა ზმნისნინის დახმარებით ხორციელდება, რადგან ახალ ქართულში ზმნისნინს აქვს უნარი, ანარმოს სრულიად ახალი ზმნა (აკ. შანიძე), მაგრამ აქ ერთი საყურადღებო მომენტი იჩენს თავს. „თლის“ ზმნის უღლების დროს მყოფადის მწკრივის პარადიგმაში ზმნისნინიანი ფორმებიდან შინაარსობრივად მას ზუსტად მხოლოდ „გათლის“ ფორმა შეესატყვისება და არა რომელიმე სხვა - მოთლის, ნათლის, ჩამოთლის - ფორმა. თუ ასპექტურ დაპირისპირებას კონკრეტული, ლექსიკური მნიშვნელობის ფარგლებში მოვახდენთ, აღმოჩნდება, რომ ანმყო დროში კონკრეტული მნიშვნელობის დიდ ნაწილს მათი ზუსტი შესატყვისები არ აღმოაჩნდებათ, მაგრამ ექნებათ „თლის პროცესთან“ - დაკავშირებული ზოგადი მნიშვნელობის მატარებელი ფორმა: თლის.

აღამიანი უამრავ შთაბეჭდილებას იღებს გარე სამყაროდან, მაგრამ მას, როგორც გონიერ არსებას, უნარი შესწევს, ამ შთაბეჭდილებებიდან მისთვის არსებითი, მნიშვნელოვანი გამოარჩიოს, საგნები და მოქმედებები გამოაცალკევოს, დაანაწევროს და დააჯგუფოს. ენობრივი ელემენტების შექმნისას აღამიანის აზროვნება მთელი თავისი სიგრძე-სიგანითაა ჩართული, ამიტომ გარე სამყარო ჩვენ მიერ ისე აღიქმება, როგორც ენობრივი ყოფიერება.

* დასახელებული ზმნების მნიშვნელობები ამოღებულია ქეკელიდან.

მოცემულ შემთხვევაშიც ის შინაარსობრივი განსხვავებულ-ობანი, რომლებიც თითოეული ზმნის გარშემო არსებობს და რომლებიც აკონკრეტებს ზოგად ჭრილში მოცემულ მოქმედებათა დახასიათებას, ენობრივი აზროვნების უტყუარ შედეგს წარმოადგენს.

